საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით მთის მდგრადი განვითარებისათვის

მარიკა ტატიშვილი, მაია მელაძე,
გიორგი მელაძე, ნოე ხოზრევანიძე

გამომცემლობა "სამშობლო"

თბილისი
2024

მონოგრაფიაში **ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით მთის მდგრადი განვითარებისათვის** თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომპლექსურადაა შესწავლილი ამინდის წარმოქმნის და ცვალებადობის გამომწვევი ბუნებრივი ფაქტორები, ასევე თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კლიმატის ცვლილება. მონოგრაფიაში თანმიმდევრეობითაა განხილული დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე ამინდწარმომქმნელი პროცესები, ამინდის საპროგნოზო მოდელები, გამოყენებულია მიწისპირა ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის და დედამიწის სადამკვირვებლო მისიის თანამგზავრული დაკვირვების მონაცემები. განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიური მოვლენები. აღსანიშნავია, რომ მთები უზრუნველყოფს აუცილებელ საქონელს და მომსახურებას, მათ შორის მტკნარი წყლის უზარმაზარ რესურსებს, მდიდარ ბიომრავალფეროვნებას, და სხვ. მთები აუცილებელია გლობალური მდგრადი პრაქტიკული გამოყენების მიზნით. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრინციპების შესაბამისად, შეფასებულია საქართველოს მთიანი რეგიონების აგროკლიმატური რესურსები; კლიმატის ცვლილების ზემოქმედება აგრარულ სექტორზე; განხილულია ეკოლოგიური მიწათმოქმედების ასპექტები მაღალმთიანი აგროკლიმატური პირობებისათვის.
მონოგრაფიას აქვს, როგორც სამეცნიერო და სასწავლო, ისე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომი შედგენილია ორ ქართულ და ინგლისურ ენაზე, რაც განაპირობებს მის პოპულარიზაციას.
მონოგრაფია განკუთვნილია ამ დარგში მომუშავე სპეციალიტებისა და ფართო საზოგადოებისათვის. იგი შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

რედაქტორები
ლიანა ქართველიშვილი - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

გივი ჯაფარიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

რეცენზენტები
ზაურ ჩანქსელიანი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტ., პროფესორი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

დემურ დემეტრაშვილი-ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. პროფესორი

მონოგრაფია გამოიცა **შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით **გრანტი # SP-23-917**

ISBN 978-9941-9884-7-9

სარჩევი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მონოგრაფიაში ,,ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით მთის მდგრადი განვითარებისათვის'' თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომპლექსურადაა შესწავლილი ამინდის წარმოქმნის და ცვალებადობის გამომწვევი ბუნებრივი ფაქტორები, ასევე თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კლიმატის ცვლილება. სამეცნიერო ნაშრომში თანმიმდევრეობითაა განხილული დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე ამინდწარმომქმნელი პროცესები, ამინდის საპროგნოზო მოდელები, გამოყენებულია მიწისპირა ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის და დედამიწის სადამკვირვებლო მისიის თანამგზავრული დაკვირვების მონაცემები. განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიური მოვლენები. აღსანიშნავია, რომ მთები უზრუნველყოფს აუცილებელ საქონელს და მომსახურებას, მათ შორის მტკნარი წყლის უზარმაზარ რესურსებს, მდიდარ ბიომრავალფეროვნებას, და სხვ. რაც აუცილებელია გლობალური მდგრადი პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრინციპების შესაბამისად, შეფასებულია საქართველოს მთიანი რეგიონების აგროკლიმატური რესურსები; კლიმატის ცვლილების ზემოქმედება აგრარულ სექტორზე; განხილულია ეკოლოგიური მიწათმოქმედების ასპექტები მაღალმთიანი აგროკლიმატური პირობებისათვის. ცნობილია, რომ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა ითვალისწინებს კლიმატური პარამეტრების მოსალოდნელ ცვლილებას და ხელს უწყობს ისეთი ფერმერული მიდგომების დანერგვას, რომელიც შეცვლილ პირობებს შეესაბამება და ზრდის მოსავლიანობას.

მონოგრაფიაში თავმოყრილია ავტორების მიერ შესრულებული მრავალწლიანი კვლევის მასალები. კვლევისთვის გამოყენებულია დაკვირვების მიწისპირა, თანამგზავრული და მოდელური მონაცემები. გამოთვლები შესრულებულია თანამედროვე პროგრამული პაკეტების გამოყენებით, კვლევაში გამოყენებულია ახლად შექმნილი ამინდის და კლიმატის მახასიათებელი ინდექსები, მოყვანილია ამინდის თანამედროვე საპროგნოზო მოდელების თვლის შედეგები საქართველოს მთიანი ტერიტორიებისათვის. განხილულია დედამიწის მაგნიტური ველის მოდელი და მისი დაწყვილების პერსპექტივა ამინდის პროგნოზირებაში.

მონოგრაფია ,,ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით მთის მდგრადი განვითარებისათვის'' არის მსოფლიოში ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის

ინსტიტუტის და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ერთობლივი პროდუქტი, რომელშიც კომპლექსურადაა შესწავლილი მთიან პირობებში ამინდის წამოქმნის, ცვალებადობისა და კლიმატის ცვლილების საკითხები; აგროკლიმატური რესურსების შეფასება, გლობალური დათბობის გათვალისწინებით; მაღალმთიან აგროკლიმატურ პირობებში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების ასპექტები, რაც მის ღირებულებას და პრაქტიკულ მნიშნვლობას წარმოადგენს. ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მასში წარმოდგენილია საქართველოში პირველად კომპლექსურად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახლებურად შესწავლილი ამინდის ცვლილების კანონზომიერებები და კლიმატის მიმდინარე ცვლილების ტენდენციები მრავლწლიური მონაცემების დამუშავების საფუძველზე. დედამიწის სადამკვირვებლო მისიის (Earth Observing Mission) თანამგზავრული დაკვირვების მონაცემების გამოყენებით გამოვლენილია ამინდის ცვლილების მაპროვოცირებელი ფაქტორები. ამინდის შესწავლისთვის შემოტანილია ახალი ინდექსები როგორიცაა გეომაგნიტური ინდექსები, სრული ელექტრონების შემცველობა, თერმოსფეროს კლიმატური ინდექსი. თანამგზავრული დაკვირვების მონაცემები საშუალებას იძლევა ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები უფრო დეტალურად და ახლებურად შეფასდეს.

მონოგრაფიას აქვს, როგორც სამეცნიერო და სასწავლო, ისე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც განაპირობებს მის პოპულარიზაციას. იგი განკუთვნილია დედამიწის შემსწავლელი და აგრარული მეცნიერებების დარგში მომუშავე სპეციალიტებისა და ფართო საზოგადოებისათვის. მონოგრაფია შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო (სასწავლო მასალა) შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში. სასურველია ეს იყოს დედამიწის შემსწავლელი და აგრარული მეცნიერებების პროგრამის გაფართოვების წინაპირობა. იგი ხელს შეუწყობს ასევე, უმაღლეს სასწავლებელში ახალი სასწავლო პროგრამის შეტანას - გეომეცნიერების კურსის შექმნას, რომელიც აუცილებელია ისეთი რთული რელიეფის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

თავი1. ამინდის და კლიმატის შესწავლის თანამედროვე მეთოდები

1.2. ატმოსფერული პროცესების მოდელირება

ატმოსფერული პროცესების რთული, კომპლექსური და მრავალპარამეტრიანი ხასიათიდან გამომდინარე კვლევის კონცეფცია ითვალისწინებს ამ ტიპის ამოცანების გადაწყვეტის სხვადასხვა მიდგომებს. თეორიული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია შესასწავლი პროცესების ფიზიკური სიდიდეებით აღწერა, მათ შორის თვისობრივი და რაოდენობრივი თანაფარდობების დადგენა, ადექვატური მათემატიკური აღწერა და საუკეთესო შემთხვევაში მათემატიკური განტოლებების ანალიზური ამონახსნების გამოყენებით პროცესების ანალიზი [5]. ამ კონცეფციის საფუძველზე, პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს ატმოსფერული პროცესების მახასაითებელი ძირითადი პარამეტრების იდენტიფიცირება და მათი გამოყენებით პროცესების ფიზიკური და მათემატიკური მოდელების შემუშავება-შესწავლა. შემდგომ ეტაპზე, შემუშავებული მოდელების რეალიზაციისთვის ანალიზური ან რიცხვითი მეთოდების შერჩევა, ამოცანის კომპლექსურობიდან გამომდინარე თანამედროვე ინსტრუმენტების, გამოთვლითი ხერხების, კომპიუტერული პროგრამების გამოყენება.

ატმოსფერული პროცესები არაერთგვაროვანი და ანიზოტროპულია სივრცესა და დროში. ამის მიზეზია მზიდან მოსული ენერგიის არათანაბარი გადანაწილება დედამიწის ზედაპირზე. ატმოსფეროს ქვედა ფენებში სითბურ რეჟიმს უზრუნველყოფს დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი გრძელტალღოვანი ინფრაწითელი ანუ სითბური რადიაცია. დედამიწის ზედაპირი არაერთგვაროვანია - არათანაბრად არის გადანაწილებული ხმელეთი და წყალი დედამიწის ნახევარსფეროებს შორის, მრავლადაა მთა-გორიანი ადგილები, მდინარეთა ხეობები, ტბები და მყინვარები. ეს უსწორმასწორო განსხვავებული საფარი სინათლის სხივებს სხვადასხვა კუთხით არეკლავს, რაც იწვევს სითბური ველის არათანაბარ განაწილებას. სითბური ველის არაერთგვაროვნობა კი განაპირობებს ატმოსფერული წნევის არათანაბრად გადანაწილებას, მუდმივმოქმედი „ბარიული ცენტრების“ ჩამოყალიბებას. სწორედ ეს ცენტრები უზრუნველყოფენ ჰაერის მოძრაობას, უმთავრესად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაახლოებით 8-12 მ/წმ სიჩქარით, და სხვა ზონალურ ნაკადებს [9].

ატმოსფერული პროცესებზე დაკვირვებისას ატმოსფეროს ზედა ფენებში განლაგებული სადგურების/სატელიტების, რადიოზონდების გამოყენებით ტემპერატურის, ტენიანობის, წნევის, ქარის სიჩქარის და მიმართულების გაზომვების დროს გასათვალისწინებელია ამ ფიზიკური სიდიდეების დამოკიდებულება დედამიწის ზედაპირიდან სიმაღლეზე.

ატმოსფერული პროცესების დინამიკის შესწავლის გამარტივების მიზნით, განიხილება ატმოსფერო უძრავ მდგომარეობაში დედამიწის ზედაპირის მიმართ. ამგვარი დაშვება სამართლიანია, ჰიდროსტატიკური ბალანსის პირობა სრულდება საკმარისი სიზუსტით, რადგან ატმოსფერულ სისტემებში ძირითადად განიხილება მოძრაობები დიდ მასშტაბებში. ატმოსფეროს ამგვარ მდგომარეობას სტატიკური, ან ჰიდროსტატიკური წონასწორობა ეწოდება

ატმოსფერული პროცესების დინამიკის შესწავლის გამარტივების მიზნით, განიხილება ატმოსფერო უძრავ მდგომარეობაში დედამიწის ზედაპირის მიმართ. ამგვარი დაშვება სამართლიანია, ჰიდროსტატიკური ბალანსის პირობა სრულდება საკმარისი სიზუსტით, რადგან ატმოსფერულ სისტემებში ძირითადად განიხილება მოძრაობები დიდ მასშტაბებში [2, 8, 9.18]. ატმოსფეროს ამგვარ მდგომარეობას სტატიკური, ან ჰიდროსტატიკური წონასწორობა ეწოდებააქ g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა, t - დრო, ρ_{a_0}- ღრუბლის გარემომცველ სივრცეში ჰაერის სიმკვრივე, U, V, W - სიჩქარის რადიალური, ტანგენციალური, ვერტიკალური მდგენელებია შესაბამისად; r, λ, z - რადიალური, ტანგენციალური, ვერტიკალური კოორდინატებია, T_v - ვირტუალური ტემპერატურა, T_v=T(1+0,608Q_v), სადაც Q_v 1გრ. ჰაერში არსებული წყლის ორთქლის მასაა გრამებში, განტოლებაში შემავალი სიდიდე T_0 არის გარემოს ტემპერატურა, T არის ღრუბლის განივკვეთის მიმართ გასაშუალოებული ტემპერატურა $T \overline{=T}$.

$$\frac{\partial T}{\partial t} = -W\left(\frac{\partial T}{\partial z} + \Gamma_0\right) + \frac{2a^2}{a}|W|(T_0 - T) + \frac{2}{a}\widetilde{U_a}\left(T - \widetilde{T_a}\ \right) + \left[\frac{L_e}{C_p}(P1 + P6 - P7 - P9) + \frac{L_s}{C_p}(P4 - P8) + \frac{L_f}{C_p}(P3 - P5)\right]$$

საერთო ტენშემცველობის განტოლება [8]:

$$\rho_{a0}\ \frac{\partial Q}{\partial t} = -\frac{\partial(\rho_{a0}\ QW)}{\partial z} + \frac{\partial(\rho_{a0}\ V_w Q_r + \rho_{a0}\ V_i Q_i)}{\partial z} - \frac{2}{a}\rho_{a0}\ \widetilde{U_a}\widetilde{Q_a} + \frac{2a^2}{a}\rho_{a0}\ |W|(Q_0 - Q)$$

ზემოთ მოყვანილი განტოლებები წარმოადგენს ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის მოდელის ნიმუშს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა რთული ფორმით ჩაიწეროს, რაც უფრო ართულებს მის რიცხვით ამოხსნას და დამატებით დიდი მანქანური დროის და რესურის დახარჯვას იწვევს [24].
სხვადასხვა მიახლოებაში მოდელების შემუშავებისას ითვალისწინებენ მოძრაობის, ეილერის, მომენტების განტოლებებს, სისტემაზე მოქმედ გრავიტაციის, კორიოლისის ძალებს, გეოსტროფიკული ნაკადების, კვაზი-გეოსტროფიკული მოძრაობების აღწერისას ტეილორ-ფრედმანის თეორემას, გრიგალური ნაკადებისთვის ქარის გრადიენტის და ბალანსის განტოლებებს,

თერმოდინამიკის განტოლებებს, ერთგვაროვანი ან ბრუნავი ნაკადებისთვის რელევანტურ განტოლებებს, სხვადასხვა ტიპის ტალღების და ტალღის ფრონტების ეფექტებს, მარგულეს და დევის მოდელებს და სხვა, რომელთა გამოყენება მოითხოვს რთული მათემატიკური აპარატის, შრომატევადი ფუნქციონალური გარდაქმნების გამოყენებას, რასაც მივყავართ ამონახსნების სხვადასხვა რიგის აპროქსიმაციებთან და რიცხვითი მეთოდების გამოყენებასთან.

1.2 პარამეტრიზაციის პრობლემები

კლიმატის, ამინდის პროგნოზირების და ატმოსფერული პროცესების მოდელებში მნიშვნელოვანია ღრუბლების გავლენის გათვალისწინება ატმოსფეროსა და დედამიწის ზედაპირზე. ცირკულაციის და ამინდის რიცხვითი პროგნოზირების მოდელები იყენებენ ჰიდროდინამიკური განტოლებების რიცხვით სქემებს. ღრუბლის აღმწერი უწყვეტი დიფერენციალური განტოლებები სხვადასხვა სივრცულ-დროითი რიგისაა. ღრუბლის დინამიკის აღმწერი განტოლებები უფრო დაბალი რიგისაა ვიდრე გლობალური ატმოსფერული მოდელების. ჩვეულებრივ ჰორიზონტალური ბიჯი გლობალურ მოდელში 50კმ-ია, ხოლო რიცხვით პროგნოსის მოდელში 250კმ. ამ მასშტაბზე დაბალი რიგის პროცესები ქვე-ბადურ როცესებში გადადის და არ არის ჩართული საბოლოო გამოთვლებში. თუმცა ეს პროცესები ძლიერად მოქმედებენ ატმოსფეროს თერმოდა ჰიდროდინამიკაზე. რადგან ამ ქვე-ბადურ პროცესებს ეკრძალება დეტალური აღწერა, ამიტომ მათი მხოლოდ სტატისტიკური გავლენა გაითვალისწინება ბადურ დონეზე. ამ ტექნიკას პარამეტრიზაცია ეწოდებ [2]ა.

ღრუბლები წრმოიქმნება იქ სადაც კუთრი სინოტივე აჭარბებს გადაჯერების სიდიდეს, რაც ხდება, თუ არსებოს საკმარისი რაოდენობის ღრუბლის კონდენსაციის ბირთვები. მოდელში კი გარკვეული ბადის უჯრები გადაჯერებული აღმოჩნდება სხვებზე ადრე. ამით აღმოჩნდება, რომ ღრუბლები წარმოიქმნება უჯრედებში ვიდრე, ბადის საშუალო სინოტივე 100%-ს გადააჭარბებს. ღრუბლის ფრაქციის სხვა გათვალისწინება ისაა, რომ უნდა არსებობდეს განაწილება ლოკალური გაჯერების წერტილიდანმოდელის ბადის უჯრაში. ამით მოხდება ტემპერატურის და სინოტივის ვარიავია მათი საშუალო მნიშვნელობიდან [2, 25,18].

ერთ-ერთი მიკროფიზიკური პროცესი რომელიც ყველა პარამერტულ სქემაში აღიწერება არის კონდენსაცია. ის ორი პროცესის აღწერას მოითხოვს: ღრუბლის ნაწილაკების ნუკლეაციას და მათ კონდენსაციურ ზრდას, წყლის ორთქლის ხარჯზე [2].

ადრეულ ზოგად ცირკულაციურ მოდელებში ლატენტური სითბური ეფექტი კონდენსაციურ პროცესებში გაითვალისწინებოდა. კონდენსაციის სქემის იდეა იყო ის, რომ ნებისმიერი გადაჯერებული მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნებოდა უჯრედის მასშტაბით, მაშინვე

ნალექად ჩათვლილიყო. ამიტომ მოდელი აღწერდა არა ღრუბელს, არამედ ნალექის გამოყოფას. იგივე სქემა გამოიყენებოდა კონვექციისთვისაც. ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი გაჯერებულ უჯრედში არ უნდა ყოფილიყო ნოტიონ ადიაბატურზე მეტი. ნებისმიეერი კონდენსატი ასევე ნალექად იყო ჩათვლილი. რადგან ყველა კონდენსატი ნალექად ითვლებოდა და მოდელიდან ვარდებოდა, მიკროფიზიკის აღწერაც საჭირო აღAr ხდებოდა. ასე, რომ ადრეული კლიმტის გლობალური მოდელები აღწერდნენ მხოლოდ კონდენსაციის პროცესს და არა ღრუბლის ურთიერთქმედებას [2, 9.18].
როგორც აღმოჩნდა ღრუბლის რადიაციულ ეფექტებს შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციაში. ღრუბლის პარამეტრიზაციის მეორე თაობა დამიზნული იყო მოდელის ცვლადებისა და ღრუბლიანობის ურთიერთქმედებაზე. ეს მიიღწეოდა ღრუბლის ფრაქციის პარამეტრიზაციით, როგორც ფარდობითი ტენიანობის ფუნქციისა. ეს მიდგომა 1980-მდე არ გამოიყენებოდა გლობალურ ცირკულაციურ მოდელებში.
ფარდობითი ტენიანობის სქემები ეყრდნობოდა კონცეფციას, რომ თუ ბადის საშუალო ფარდობითი ტენიანობა აჭარბებს კრიტიკულ მნიშვნელობას, დაახლოებით 80%, არსებობოს ალბათობა, რომ ბადის რაღაც მოცულობამ მიაღწია გაჯერებას და დაიწყება ღრუბლების წარმოქმნა. თუ ბადის საშუალო ფარდობითი ტენიანობა მიაღწევს 100%, მაშინ ბადე მთლიანად ღრუბლლითაა დაფარული. კონვექციის უფრო რთული პარამეტრიზაცია ღრუბლებს კონვექციურად წრამოქმნიდა. ეს მიიღწეოდა ღრუბლის ფრაქციის გაერთიანებით კონცექციით წარმოქმნილ ნალექებთAნდა ისევ მიეწერრებოდა კონდენსაციას. ღრუბლის პარამეტრიზაციის ამ ტიპს დიაგნოსტიკური ეწოდა. დიაგნოსტიკური მიდგომის მთავარი სიძნელე ღრუბლის ლატენტური სითბური ეფექტის და რადიაციული ეფექტების დაუკავშირებლობაა. სანდკვისტმა შემოიტანა დამატებითი პროგნოსტული მოდელი, ღრუბლების კონდენსატისთვის, რომელიც გამოიყენებოდა ღრუბლების მოდელირებისთვის. ის ზუსტად წინასწარმეტყველებდა წარმოქმნილი კონდენსატის რაოდენობას, რითაც შესაძლებელი იყო ღრუბლის რადიაციული ეფექტის დაკავშირება რადიაციასთან. ხოლო ღრბულის ფრაქცია იყო უჯრედის საშუალო ფარდობითი ტენიანობის ფუნქცია, რომელზეც კონდენსაციის პროცესს უკვე ჰქონდა გავლენა. სანკვისტის პარამეტრიზაციასთან ერთად წარმოიმნა მეორე მიდგომა, რომელიც ეყრდნობოდა ახალ იდეებს, რომლებიც მაღალი რეზოლუციის ბადეებში გამოიყენებოდა. ქვე-ბადურ დონეზე ღრუბლის არსებობა მოითხოვს რომ ტენოანობა და მისი გაჯერებულობის სიდიდე რაღაცნაირად იყოს განაწილებული უჯრედის საშუალო მნიშვნელობის მიმართ. განაწილების ალბათობის ფუნქციის ცოდნა საკმარისია ღრუბლის ფრაქციის და კონდენსაციის აღწერისთვის უჯრედში. ზოგადად ამას იყენებენ ტემპერატურის და ტენიანობის ცვლადების გაერთიანებული განაწილების ალბათობის ფუნქციის მიმართ.

1990-ს დასაწყისში წარმოიქმნა ღრუბლის პარამეტრიზციაში ახალი მიდგომა, რომელშიც ღრუბლის კონდენსაციის განვითარების დრო და ღრუბლის ფრაქცია აღიწერებოდა პროგნოსტული განტოლებებით. ამას საფუძველი ჩაუყარა ტიდკემ. სრულ პროგნოსტულ მიდგომაში უჯრედის საშუალო კონდენსატის და ღრუბლის ფრაქციის ნაცვლად შემოდის ალბათობის სიმკვრივის ფუნქციის მომენტები, როგორც პროგნოსტული მოდელის ცვლადები და ღრუბლის შესაბამისი პარამეტრები გამოითვლება განაწილების ალბათობის ფუნქციიდან.

ორივე მიდგომის მთავარი პრობლემა კვლავ რჩებოდა: ისინი ვერ ჩართავდნენ ღრუბელს როგორც კონვექციის პროცესის შედეგად წარმოქმნილს. მრავალი მიდგომა განვითარდა.ყველაზე გავრცელებული, რომელიც სქემებში გამოიყენებოდა კონდენსაციის აღწერისთვის თხევადი სითხის წყაროდ განიხილავდა კონვექციური აღმავალი ნაკადით შეტაცებულს. ეს შეტაცება კი სხვადასვა სქემებში სხვადასხვანაირადიყო განმარტებული [9].

მხოლოდ ახლახან ყურადღება მიექცა ღრუბლის მიკროფიზიკას. თუმცა ამან კიდევ წარმოქმნა სიძნელეები, რადგან გლობალური ცირკულაციური მოდელის და მიკროფიზიკის მასშტაბები სხვადასვანაირია. თანაც მიკროფიზიკური პროცესები არაწრფივია და მათი პარამეტრიზაცია მოითხოვს კონდენსაციის ლოკალური რაოდენობის ცოდნას. გცმ-ებში უჯრედის საშუალო კონდენსაციის მნიშვნელობაა ცნობილი. ამან მოითხოვა მიკიროფიზიკური კონსტანტების მნიშვნელოვანი ცვლილება, რათა არ მიეღოთ დიდი განუზღვრელობები კონდენსირებულ წყალსა და ნალექების რაოდენობებში. მიკროფიზიკის დეტალური აღწერა მოითხოვს ძალიან მოკლე დროით ბიჯებს [18,24]. ასეთის გამოყენება კი გცმ და ამინდის რიცხვით პროგნოზებში აკრძალულია. მაღAლი რეზოლუციის მოდელებში დაიწყეს რთული და უფრო რეალური პარამეტრიზაციის გამოყენება.

გლობალური მოდელები დაწყებული ამინდის რიცხვითი პროგნოზირებიდან, სეზონური პროგნოზიდან და კლიმატის მოდელირებამდე. თუმცა მრავალი მნიშვნელოვანი ატმოსფერული პროცესი როგორიცაა სასაზღვრო ფენის პროცესები, კონვექცია და ღრუბლის პროცესები რჩება გადუჭრელი. საჭიროა, ქვე-ბადური პროცესების როგორც ბადის მასშტაბის ცვლადების ისე წარმოდგენა. ამ ტექნიკას პარამეტრიზაცია ეწოდება (სტენსრუდი 2007). როგორც მიწისპირა ისე კოსმოსური დაკვირვებების სიტემებიდან მიღებულმა დაკვირვებებმა (აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის ატმოსფერული რადიაციის გაზომვების პროგრამა, 2003, ევროპული CLOUDNET ქსელი, 2007) დააგროვეს საკმარისი მასალა პარამეტრიზაციის სადარ პროცესებზე გასარკვევად. ამასთან ერთად მოდელირებაში მიღწეულმა წარმატებებმა უსაზღვროდ განავითარა პარამეტრიზაცია (გრაბოვსკი 2001, რენდალი 2003). მოდელების განვითარება რთული პროცესია. ამინდის და კლიმატის განვითარების პროგნიზირების იარაღები არის დედამიწა-ატმოსფერო გლობალური სისტემის რიცხვითი მოდელები. ატმოსფერულ კომპონენეტს საერთოდ ატმოსფეროს ზოგადი

ცირკულაცია ეწოდება. ამ მოდელებს სჭირდებათ ატმოსფეროში არსებული ღრუბლების აღწერა. გცმ ხსნის კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებს, რომლებიც მართავენ ატმოსფეროს მდგომარეობის განვითარებას დისკრეტულ ფორმაში, რადგან ყოფენ ატმოსფეროს ფინიტური ზომის უჯრედებად. რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მიკროფიზიკური პროცესები მცირე მასშტაბისაა, მათი აღწერა მოითხოვს მოდელის რეზოლუციას რამოდენიმე ან უფრო მცირე მეტრს. თანამედროვე ტექნიკა გლობალურ მოდელებში ასეთ რეზოლუციას ვერ უშვებს. თანამედროვე გცმ-ს რეზოლუცია 50-დან 100კმ-მდეა, როცა გამოიყენება ამინდის გლობალური პროგნოსის სისტემაში და 200კმ-ზე მეტი როცა გამოიყენება კლიმატურ მოდელებში. ამ რეზოლუციაზე ღრუბლები შეუძლებელია განიხილებოდეს. ტექნიკა, რომელიც ღრუბლებს გცმ-ში შეიყვანს არის პარამეტრიზცია. პარამეტრები, რომლებიც ამოირჩევა ღრუბლის დასახასიათებლად არის ღრუბლის დაფარვის არის ჰორიზონტალური ფრაქცია ანუ ღრუბლის ფრაქცია და ღრუბლის საშუალო კონდენსაციის შემცველობა უჯრედში (არაკავა 1975).

განხილული პარამეტრული სქემებიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთგანზომილებიან მოდელში შექმნილი პარამეტრული სქემები უფრო დაზუსტებულია, მოყვანილ სქემებთან შედარებით. რაც მის გამოყენებას უფრო მიზანშეწონილს ხდის [2].

ღრუბელთა ფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა არის საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის ფორმირება ნალექების გამოყოფით, ანუ საღრუბლო ნაწილაკების განაწილების ფუნქციის ცვლილება სივრცესა და დროში. ეს საკითხი დაკავშირებულია კოაგულაციის კინეტიკის განტოლების ამოხსნასთან და მის კავშირზე სხვადასხვა პროცესებთან, რომლებიც ურთიერთგადაჯაჭვულია, რაც შესაბამისი კინეტიკის განტოლებების არაწრფივობაში გამოიხატება. გარდა ამისა საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ასევე ნალექწარმოქმნის თეორიის და აქტიური ზემოქმედებისთვისაც.Aამ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები ჩნდება იმის გამოც, რომ არასაკმარისად არის შესწავლილი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის როგორც ანალიზური ასევე რიცხვითი მეთოდები. კინეტიკური განტოლების ანალიზური ამოხსნები მიიღება მხოლოდ მცირე რაოდენობის განტოლებებისთვის, თუმცა მათი საშუალებითაც შეიძლება საკმარისი რაოდენობის მოვლენების ახსნა. ამასთან ანალიზური ამოხსნები შეიძლება გახდეს ამოსავალი წერტილი ამ პრობლემის უფრო დეტალური შესწავლისა [5,8].

კონვექციური ღრუბლის სტრუქტურის და განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება შეიძლება საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის განაწილების და მისი ინტეგრალური მახასიათებლების (კონცენტრაცია, წყლიანობა, ყინულიანობა) გამოკვლევით, ამასთან არ არსებობს ერთიანი შეხედულება ღრუბლის სრულ სტრუქტურაზე. კონვექციური ღრუბლების განვითარების თეორიის, მისი

ურთიერთქმედების გარემოსთან და ნალექწარმოქმნის თეორიის განვითარებისთვის საჭირო ხდება ნალექწარმოქმნის მათემატიკური მოდელების შექმნა კოაგულაციის კინეტიკის ანალიზური და რიცხვითი მეთოდების სრულყოფასთან ერთად. ამასთან ანალიზური ამოხსნები გამოდგება როგორც დამოუკიდებლად ნალექწარმოქმნის მოდელისთვის, ასევე რიცხვითი მეთოდების განვითარებისთვისაც

კონვექციური ღრუბლების წარმოქმნა, განვითარება და ნალექების ფორმირება მეტეოროლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემის შესწავლას მრავალი თეორიული და ექსპერიმენტალური გამოკვლევა მიეძღვნა. ამ გამოკვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს ამინდის პროგნოზირების ახალი მეთოდების შექმნისა და სრულყოფისათვის. მაგალითად, რადიოლოკაციური მონაცემების გამოყენება ღრუბლიანობის და ნალექების მოკლევადიანი პროგნოზირებისთვის, საშუალებას იძლევა ატმოსფეროს კონვექციის ისეთი საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თავიდან აცილებისა, როგორებიცაა, ძლიერი და თავსხმა წვიმა, სეტყვა, ქარიშხალი, მეწყერი და სხვ.

ღრუბლის და ნალექწარმოქმნის მექანიზმების, ასევე თხევადი და მყარი ნალექების ფორმირების ეფექტურობის შესწავლა, აუცილებელია ნალექწარმომქმნელი პროცესების ხელოვნური რეგულირების მეთოდების განვითარებისთვის, მძლავრი კონვექციის ღრუბლებში სეტყვის პროცესების შესუსტება-შეჩერებაში, ელექტრულ პროცესებზე ზემოქმედებაზე ღრუბლებში, ნისლის შექმნის ან გაფანტვისთვის ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში და სხვ [8].

მიუხედავად მრავალრიცხოვანი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებისა, ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმომქმენი პროცესების პრობლემა, ჯერ კიდევ სრულად არ არის გადწყვეტილი. ამ პრობლემის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ღრუბლების, ასევე ნალექების წარმომქმნელი პროცესები სხვადასხვა ხასიათის და სივრცულ-დროითი მასშტაბებისაა- მიკროფიზიკური პროცესებიდან (წყლის ფაზური გადასვლები, კონდენსაცია, კრისტალიზაცია, კოაგულაცია) დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პროცესებით დამთავრებული (ღრუბლის დინამიკა და თერმოდინამიკა).

ნალექწარმოქმნის თეორიის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა მიიღო მათემატიკური მოდელების შექმნამ, კონვექციური ღრუბლებისთვის, რომლებიც აღწერდნენ ღრუბლის ბუნებრივ და ხელოვნურ ევოლუციას, ზემოქმედების სქემებს და სხვადასხვა რეაგენტის გავლენას. ძირითადად განვითარდა ორი ტიპის მოდელების შექმნის ტენდენცია: რთული და მარტივი. მარტივ-ერთგანზომილებიან მოდელებში თერმოჰიდროდინამიკის, მიკროფიზიკის და მათი ურთიერთქმედების აღმწერი განტოლებების სრული სახით ჩართვა მათში ვერ ხერხდებოდა. ამიტომ ხშირად გამოიყენება მიკროფიზიკური

პროცესებისთვის პარამეტრიზებული სქემები, ხოლო ძირითადი ყურადღება გადატანილია ღრუბლის თერმოჰიდროდინამიკაზე [8].
მიუხედავად ამისა ნალექის წარმოქმნის ეფექტურობის შესწავლასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. მათ ეკუთვის კერძოდ, წვეთების და კრისტალების მსხვილი ნაწილაკების ფორმირება, მათი შემდგომი ზრდა ღრუბლის სხვადასხვა პარამეტრების და მასში მიმდინარე პროცესების გავლენით.
ატმოსფეროს მათემეტიკური მოდელების გამოყენებით, მთელი დედამიწის სფეროსათვის ამინდის რიცხვითი მეთოდებით პროგნოზირება მოითხოვს მონაცემთა უზარმაზარი მასივების გარდაქმნასა და ურთულეს გაანგარიშებებს, რაც შეუძლებელია განხორციელდეს მძლავრი კომპიუტერული ტექნიკის გარეშე. ასეთი სიმრავლის ინფორმაციის გამოყენება განაპირობებს შესასწავლი ატმოსფერული პროცესების შესაბამისი (დასაშვები) გარჩევის უნარის მქონე, რთული მოდელების საფუძველზე მისაღების შედეგების მართვას. ამინდის პროგნოზის დასმული ამოცანის აღნიშნული სპეციფიკა მოითხოვს ძვირად ღირებულ (რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი და უფრო მეტი) მაღალტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, რაც დღევანდელ პირობებში მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისთვისაა შესაძლებელი. ამინდის გლობალური მოდელები, რომლებიც ამინდის ფართომასშტაბიან (1000კმ და მეტი) პროცესებს აღწერენ, იძლევიან პროგნოზს ერთი კვირის წინასწარობით. ანუ, იძლევიან ინფორმაციას ამინდის ფონური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვერ იჭერენ შედარებით მცირემასშტაბიან პროცესებს, მით უფრო, როდესაც ადგილობრივი ამინდი ყალიბდება ისეთი პროცესებით, როგორიცაა მაგ. კონვექცია. ასეთი ატმოსფერული პროცესები ვერ აღიწერება გლობალური მოდელებით, რომელთა სათვლელი ბადის ზომა საკმაოდ დიდია და შესაბამისად, კონკრეტული ვადისათვის ამინდის ადგილობრივი თავისებურებების გარჩევის უნარი დაბალია. დღეისათვის არსებული მძლავრი კომპიუტერული სისტემების გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, ამინდის ადგილობრივი გამოვლენის გარჩევის მისაღები სიზუსტის მიღწევა დედამიწის მთელი სფეროსათვის, მხოლოდ გლობალური მოდელის საშუალებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარად, ადგილობრივი რეალური ამინდის წინასწარმეტყველებისათვის დღის წესრიგში დგება რეგიონული (შემოსაზღვრული ტერიტორიის მქონე არის) მოდელების დამუშავების აუცილებლობა.

აღნიშნული აუცილებლობის რეალურ პირობებში მიღწევისა და დასმული ამოცანის გადასაწყვეტად დამუშავებული მოდელის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პროგრამულ-ტექნიკურ (ტექნოლოგიურ) უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით მონაცემთა პარალელური დამუშავების ტექნოლოგიების განვითარებამ და ფართომასშტაბური პარალელური პროცესირებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნამ, გამოთვლითი

ტექნიკის (მათ შორის: პერსონალური კომპიუტერის) შესაძლებლობები ზევრად გაიზარდა და ეკონომიკური დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა. ზევრი ქვეყნის ეროვნულ მეტეოროლოგიურ სამსახურებში ოპერატიული მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის ხელმისაწვდომი გახდა შემოსაზღვრული არის მქონე მოდელების გამოყენება [9]. ამ მოდელების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ მეზომასშტაბური მოდელები, აგრეთვე ატმოსფეროს დინამიკური მოდელები, რომელთაც აქვთ ხელოვნური საზღვრები, სადაც მოდელის ცვლადების მნიშვნელობები განისაზღვრება უფრო უხეშ ბადეზე გლობალური მოდელების გაშვების შედეგებიდან. ეს მოდელები აღწერენ გლობალური მოდელებისათვის შეუმჩნეველ ამინდის რეალურ პირობებს, რომლებიც ხშირად ყალიბდება ატმოსფეროში მიმდინარე მცირე მასშტაბიანი პროცესებით. WRF-EMS (გარემოს მოდელირების სისტემა) და WRF-ARW (ამინდის გაუმჯობესებული კვლევა). აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება საშუალებასიძლევა, რომ რეალურ დროში განხორციელდეს წამყვანი ქვეყნების ერთ-ერთი საპროგნოზო ცენტრის მიერ უკვე დანერგილი გლობალური მოდელის (GFS) ამოხსნის შედეგების გადათვლა შემოსაზღვრული არისათვის ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრებისა და რიგი მეზო და მიკრომასშტაბური ატმოსფერული, ბიოლოგიური და ქიმიური პროცესების გათვალისწინებით [9].
დედამიწის მაგნიტური ველის მოდელი WMM5, რომლითაც მთელი დედამიწისთვის წარმოებს მაგნიტური ველის მდგენელების გამოთვლა და პროგნოზირება, მნიშვნელოვანია, რადგან ელექტრო მოწყობილობების გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დედამიწის შეუშფოთებელი მაგნიტური ველი და ამინდის ზუსტი პროგნოზისთვის საჭიროა მისი გაწყვილება ამინდის რიცხვით მოდელთან. ეს ეტაპი საქართველოში ჯერ არ სრულდება. წარმოდგენილი მონოგრაფია დააჩქარებს ამ პროცესს.
2013 წელს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გამოაცხადა ფართომასშტაბიანი ინვესტიცია პროექტში „დიდი მონაცემების გამოყენება მეცნიერებაში“, განსაკუთრებით გარემოსდაცვით სექტორში და დაიწყო პროგრამის დაფინანსება სახელწოდებით CEMS (კლიმატის და გარემოს მონიტორინგი კოსმოსიდან) [9]. ამან შესაძლებელი გახადა უფრო დიდი მონაცემთა ბაზების შექმნა, რაც საშუალებას მისცემს კვლევით ორგანიზაციებს იმუშაონ მეტი მონაცემით და მიიღონ უკეთესი შედეგი. კლიმატის ცვლილებასა და პლანეტების მონიტორინგზე ფოკუსირებით, CEMS-მა აღმოფხვრა უზარმაზარი მონაცემთა ნაკრების ჩამოტვირთვის აუცილებლობა, ხოლო წვდომის ღირებულება შეამცირა. ღრუბლის მონაცემებთან (Cloud data) ერთად, ის ახლა გლობალური სტანდარტია მსოფლიოს ზოგიერთი წამყვანი კვლევითი ინსტიტუტისთვის.

გარემოსდაცვითი მონაცემები გროვდება სხვადასხვა წყაროდან:

1. მონაცემთა დიდი რაოდენობა გროვდება დისტანციური ზონდირების, სატელიტური ან საჰაერო ხომალდის ზონდირების საშუალებით, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდების მზარდი გამოყენების ჩათვლით. ეს მოიცავს პასიურ ზონდირებას, როგორიცაა ფოტოგრაფია ან ინფრაწითელი გამოსახულება და აქტიური ზონდი, როგორიცაა RADAR/LIDAR [9]. ღია თანამგზავრული მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებების მთავარი ტენდენციაა. მაგალითად, ევროკავშირის კოპერნიკის პროგრამა და მასთან დაკავშირებული Sentinel მისიები ან NASA Earth Observing System-ის თანამგზავრები, LandSat არქივი რეგულარულად ივსება სხვადასხვა აპლიკაციების მონაცემების მისაღებად.

2. სხვა მონაცემები გროვდება დედამიწის მონიტორინგის სისტემების მეშვეობით, რომლებიც შედგება სენსორული ტექნოლოგიების სპექტრისგან, რომლებიც ზომავენ სხვადასხვა ფიზიკურ ობიექტებს [14]. კერძოდ, ამინდის სადგურები და მონიტორინგის სისტემები
3. მოდელის თვლის შედეგები ასევე არის გარემოსდაცვითი მონაცემების მნიშვნელოვანი გენერატორი და მოდელის წინა გაშვების შედეგები ხშირად ინახება შემდგომი ანალიზისთვის [9,18].
ტერმინი Big Data პოპულარული გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების წყალობით, რომლებიც გაჩნდა გასული ათწლეულის განმავლობაში, დიდი მოცულობის და სწრაფად წარმოქმნილი ჰეტეროგენული მონაცემების ანალიზის საჭიროების გათვალისწინებით, ამიტომ შეგროვება და დამუშავება ხდება მაღალი სიჩქარით. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის დიდი მონაცემების ინტეგრირებას პროგნოზირებად და დანიშნულების მართვის ინსტრუმენტებში კლიმატის სისტემების მდგრადობის გასაუმჯობესებლად [9].
დიდი მონაცემები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კლიმატთან დაკავშირებულ რისკებზე მოქმედებებს მონაცემთა დიდი მოცულობის, მრავალფეროვნებისა და ხარისხის მიწოდებით შაბლონების იდენტიფიცირებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის მიზნით. ამრიგად, დიდი მონაცემების მიდგომა შეიძლება გახდეს ძირითადი ინფორმაციის წყარო გადაწყვეტილების მიმღებთათვის შესაბამისი სტრატეგიების შექმნისა და ადაპტაციის, მიმდინარე და მომავალი პრობლემების იდენტიფიცირების და დროული მოქმედებისთვის აღდგენის ეტაპების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. დიდი მონაცემების მეთოდები მანქანურ სწავლებასთან დაკავშირებით საშუალებას იძლევა განისაზღვროს ადამიანების დამოკიდებულება გარემოს ცვლილებებთან და აღიაროს ისინი (Park et al., 2020). დიდი მონაცემები და მანქანათმცოდნეობის მიდგომები

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰეტეროგენული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ნაკრების ყოვლისმომცველი შერწყმისთვის.

1.3 თანამგზავრები

მიწის ზედაპირის ტემპერატურა

მიწის ზედაპირის ტემპერატურა უჩვენებს, თუ რამდენად ცხელდება დედამიწის „ზედაპირი“ კონკრეტულ ადგილას შეხებისას. თანამგზავრის თვალსაზრისით, "ზედაპირი" არის ის, რასაც ის ხედავს, როდესაც ატმოსფეროს მეშვეობით იყურება მიწაზე. ეს შეიძლება იყოს თოვლი და ყინული, ბალახი გაზონზე, შენობის სახურავი ან ფოთლები ტყის საფარში. ამრიგად, მიწის ზედაპირის ტემპერატურა არ არის იგივე, რაც ჰაერის ტემპერატურა, რომელიც შედის ამინდის ყოველდღიურ ანგარიშში [16,17].
ტემპერატურის რუკები სრულდება ნასას თანამგზავრ Terra-ზე ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრის (MODIS) მიერ დღის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების გამოყენებით. ტემპერატურა მერყეობს -25 გრადუს ცელსიუსიდან (ღრმა ლურჯი) 45 გრადუს ცელსიუსამდე (ვარდისფერი ყვითელი). შუა და მაღალ განედებზე, მიწის ზედაპირის ტემპერატურა შეიძლება განსხვავდებოდეს მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეკვატორული რეგიონები მუდმივად თბილია, ხოლო ანტარქტიდა და გრენლანდია მუდმივად ცივი რჩება. სიმაღლე გადამწყვეტ როლს ასრულებს ტემპერატურის ველის განვითარებაში.
მეცნიერები აკონტროლებენ მიწის ზედაპირის ტემპერატურას, რადგან დედამიწის ლანდშაფტიდან ამომავალი სითბო გავლენას ახდენს გარემოს ამინდსა და კლიმატზე. მეცნიერებს სურთ თვალყური ადევნონ, თუ როგორ მოქმედებს ატმოსფერული სათბურის გაზების მზარდი ზემოქმედება მიწის ზედაპირის ტემპერატურაზე და როგორ მოქმედებს მიწის ზედაპირის ტემპერატურის მატება მყინვარებზე, ყინულის ფურცლებზე, მუდმივ ყინულზე და დედამიწის ეკოსისტემების მცენარეულობაზე.
კომერციულ ფერმერებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მიწის ზედაპირის ტემპერატურის რუქები, რათა შეაფასონ წყლის მოთხოვნები მათი კულტურებისთვის ზაფხულში, როდესაც ისინი მიდრეკილნი არიან სითბური სტრესისკენ. და პირიქით, ზამთარში ეს რუკები ფერმერებს ეხმარება დაადგინონ სად და როდის შეიძლება იყოს ფორთოხლის კორომები საზიანო ყინვის მიმართ.

სრული ნალექი

გლობალურად, წვიმა არის მტკნარი წყლის მთავარი წყარო მცენარეებისა და ცხოველებისთვის. ნალექი აუცილებელია დედამიწის ლანდშაფტებში სიცოცხლისთვის. დედამიწის ატმოსფეროში წყლის უზარმაზარი რაოდენობის გადაადგილების გარდა, წვიმის ღრუბლები ასევე უზარმაზარი ენერგიის მატარებლები არიან. როდესაც წყალი ორთქლდება ზედაპირიდან და ორთქლის სახით ადის ატმოსფეროში, იგი ატარებს სითბოს მზისგან გამთბარი ზედაპირიდან. მოგვიანებით, როდესაც წყლის ორთქლი კონდენსირდება და ქმნის ღრუბლის წვეთებს და წვიმას, სითბო გამოიყოფა ატმოსფეროში. ეს გათბობა დედამიწის ენერგეტიკული ბიუჯეტისა და კლიმატის ძირითადი ნაწილია [16,17].



ნალექის რუკები აჩვენებს სრულ ყოველთვიურ ნალექს მილიმეტრებში NASA-ს ინტეგრირებული მრავალსატელიტური ძიების GPM (IMERG) მონაცემთა ნაკრებიდან. წვიმის მაღალი ჯამები წარმოდგენილია მუქი ლურჯით, ხოლო მცირე ნალექის ჯამები ნაჩვენებია თეთრ ფერში [15].
ნალექების სრულ რუკებში ყველაზე აშკარად ჩანს სეზონური ცვლილება. ძლიერი წვიმის არხი სეზონურად მოძრაობს ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით. სინამდვილეში, წვიმის დაახლოებით ორი მესამედი მოდის ეკვატორის გასწვრივ ან მის მახლობლად, და ამ განედების ქვეყნებში ხშირად რამდენიმე თვე თითქმის ყოველდღიური წვიმაა, რასაც მოჰყვება თვეების განმავლობაში სიმშრალე, როდესაც წვიმის ზოლი ჩრდილოეთით და სამხრეთით მოძრაობს. აზიის მუსონს წვიმა მოაქვს ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთში აპრილიდან სექტემბრამდე. ოქტომბრიდან მაისამდე სამხრეთ ამერიკა გადის წვიმიან სეზონს, მაგრამ ამაზონის ტროპიკული ტყის ნაწილიც კი ყოველწლიურად რამდენიმე თვე მნიშვნელოვანი წვიმის გარეშეა.

გამოსხივება

დედამიწის გამოსხივება, რომელსაც ზოგჯერ ნაკადს უწოდებენ, არის ბალანსი ატმოსფეროს ზედა ნაწილში შემომავალ და გამავალ ენერგიას შორის. ეს არის მთლიანი ენერგია, რომელიც ხელმისაწვდომია კლიმატზე ზემოქმედებისთვის. ენერგია შემოდის სისტემაში, როდესაც მზის შუქი აღწევს ატმოსფეროს ზედა ნაწილში. ენერგია გაედინება ორი გზით: ღრუბლების, აეროზოლების ან დედამიწის ზედაპირიდან არეკვლით; და თერმული გამოსხივებით - ზედაპირიდან და ატმოსფეროდან, ღრუბლების ჩათვლით გამოსხივებული სითბო. გლობალური საშუალო გამოსხივება უნდა იყოს ნულთან ახლოს ერთი წლის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საშუალო ტემპერატურა მოიმატებს ან დაიკლებს 15,16,17].

რუკები აჩვენებს ყოველთვიურ გამოსხივებას ვატებში კვადრატულ მეტრზე. ადგილები, სადაც შემომავალი და გამავალი ენერგიის რაოდენობა დაბალანსებულია- თეთრია. ადგილები, სადაც მეტი ენერგია შემოდიოდა, ვიდრე გადიოდა (დადებითი გამოსხივება) არის ნარინჯისფერი. ადგილები, სადაც მეტი ენერგია გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა (ნეგატიურიგამოსხივება) არის მეწამული. გაზომვები განხორციელდა ღრუბლებისა და დედამიწის სხივური ენერგიის სისტემის (CERES) სენსორებით ნასას თანამგზავრებზე Terra და Aqua.

ერთი წლის განმავლობაში, ყველაზე აშკარა რადიაციის ცვლილება სეზონური ცვლილებებია. შემომავალი მზის შუქი იზრდება ნახევარსფეროში ზაფხულში, რაც ენერგიის დისბალანსს ძლიერ დადებითად აქცევს (მეტი ვატი ენერგია შემოდის, ვიდრე გადის). სექტემბრის ბუნიობის მოახლოებასთან ერთად, დადებითი გამოსხივების ზონა თითქმის ორიენტირებულია ეკვატორზე და ენერგეტიკული დეფიციტი პოლუსებზე ხვდება. როდესაც სეზონი იცვლება ზამთარში, გამოსხივება ხდება უარყოფითი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს დიდ ნაწილზე და დადებითი სამხრეთ ნახევარსფეროში. მდგომარეობა იცვლება მარტის ბუნიობაზე.



წელიწადში საშუალოდ, არის ენერგიის სიჭარბე ეკვატორზე და დეფიციტი პოლუსებზე. ეკვატორისა და პოლუსის ენერგიის ეს დისბალანსი ატმოსფერული და ოკეანის ცირკულაციის ფუნდამენტური მამოძრავებელია.

თოვლის საფარი

თოვლი არის ნალექი, რომელიც წარმოიქმნება წყლის ორთქლის გაყინვისას. იმის გამო, რომ თოვლი ძალიან ამრეკლავია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის რეგულირებაში: ის აირეკლავს შემომავალ მზის შუქს უკან კოსმოსში, აგრილებს პლანეტას. თოვლი ასევე ხელს უწყობს სიცოცხლეს. სეზონური თოვლის დნობა (ისევე, როგორც მყინვარები) უზრუნველყოფს სასმელ და სარწყავ წყალს კულტურებისთვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თოვლის დნობა ატენიანებს ნიადაგს და ამცირებს ტყის ხანძრის რისკს. თუმცა, ზედმეტმა თოვლმა შეიძლება გამოიწვიოს გაზაფხულის წყალდიდობა, როდესაც თოვლი დნება.

თოვლის საფარის რუკები შედგენილია ნასას თანამგზავრ Terra-ზე ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრის (MODIS) მიერ შეგროვებული დაკვირვებებიდან. თოვლის საფარის მნიშვნელობები მერყეობს საშუალო ლურჯიდან (0 პროცენტზე მეტი) თეთრამდე (100 პროცენტი). მიწის მასები, რომლებიც არ ინარჩუნებენ თოვლის საფარს და ადგილები, სადაც MODIS არ აგროვებდა მონაცემებს, ნაცრისფერია. იმის გამო, რომ MODIS ეყრდნობა ხილულ შუქს თოვლის საფარის შესაფასებლად, სენსორი ვერ აგროვებს მონაცემებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უმაღლეს განედებზე ზამთრის პერიოდში, როდესაც მზის შუქი არ აღწევს ამ რეგიონებს [15].

თოვლი და ყინული მთელი წლის განმავლობაში მოიცავს დედამიწის პოლარული რეგიონების უმეტეს ნაწილს, მაგრამ ქვედა განედებზე დაფარვა

დამოკიდებულია სეზონზე და სიმაღლეზე. მაღალი სიმაღლის რელიეფები, როგორიცაა ტიბეტის პლატო, ანდები და კლდოვანი მთები, თითქმის მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს თოვლის გარკვეულ რაოდენობას. მიწის ფართობი უფრო დიდია და თოვლის საფარი უფრო ცვალებადია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ვიდრე სამხრეთ ნახევარსფეროში.

ღრუბლის საფარი

დედამიწის წყლის ციკლში წვიმისა და თოვლის გამომწვევი როლის გარდა, ღრუბლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დედამიწის ენერგეტიკულ ბიუჯეტში - ენერგიის ბალანსი, რომელიც შედის და ტოვებს კლიმატის სისტემას. ღრუბლებს შეიძლება ჰქონდეთ დათბობის ან გაგრილების გავლენა მათი სიმაღლის, ტიპისა და წარმოქმნის მიხედვით. ღრუბლები ირეკლავენ მზის შუქს უკან კოსმოსში, რაც იწვევს გაგრილებას. მაგრამ ასევე შეუძლია შთანთქას სითბო, რომელსაც ასხივებს დედამიწის ზედაპირი, რაც ხელს უშლის მის თავისუფალ გასვლას კოსმოსში. გაურკვევლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყარო კომპიუტერულ მოდელებში, რომლებიც პროგნოზირებენ მომავალ კლიმატს, არის ის, თუ როგორ მოქმედებს ღრუბლები კლიმატურ სისტემაზე და როგორ შეიძლება შეიცვალოს მათი როლი კლიმატის დათბობასთან ერთად.



რუკები გვიჩვენებს, დედამიწის რა ნაწილი იყო მოღრუბლული ყოველთვიურად. გაზომვები შეგროვდა ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრით (MODIS) ნასას თანამგზავრზე Terra [15]. ფერები მერყეობს ლურჯიდან (ღრუბლების გარეშე) თეთრამდე (მთლიანად მოღრუბლული). ციფრული კამერის მსგავსად, MODIS აგროვებს

ინფორმაციას ქსელურ უჯრებში ან პიქსელებში. ღრუბლის ფრაქცია არის თითოეული პიქსელის ის ნაწილი, რომელიც დაფარულია ღრუბლებით. ფერები მერყეობს ლურჯიდან (ღრუბლების გარეშე) თეთრამდე (მთლიანად მოღრუბლული).

თვიდან თვემდე ღრუბლების საფარი ზოლად ევრის ეკვატორს. მდგრადი ღრუბლების ამ ჯგუფს ეწოდება ინტერტროპიკული კონვერგენციის ზონა, ადგილი, სადაც ხვდება აღმოსავლეთის ქარები ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში. ქარების შეჯახება ატმოსფეროში აწვება თბილ, ტენიან ჰაერს. ჰაერი ფართოვდება და ცივდება, წყლის ორთქლი კი ღრუბლებად და წვიმად კონდენსირდება. ღრუბლის ზოლი სეზონებთან ერთად ეკვატორის ოდნავ ჩრდილოეთით და სამხრეთით გადადის. ტროპიკულ ქვეყნებში, ინტერტროპიკული კონვერგენციის ზონის ეს ცვლილება იწვევს წვიმიან და მშრალ სეზონებს.

კიდევ ერთი ხშირად მოღრუბლული ადგილი არის სამხრეთ ოკეანე. მიუხედავად იმისა, რომ მაღალ განედებში არ არის იმდენი აორთქლება, როგორც ტროპიკებში, ჰაერი ცივია. რაც უფრო ცივია ჰაერი, მით უფრო ადვილად შეიწოვება ჰაერში არსებული წყლის ორთქლი ღრუბლებში.

აეროზოლი

ატმოსფეროში შეკიდულ წვრილ მყარ და თხევად ნაწილაკებს აეროზოლები ეწოდება. ქარის მტვერი, ზღვის მარილები, ვულკანური ფერფლი, ტყის ხანძრის კვამლი და ქარხნების დაბინძურება აეროზოლების მაგალითია. მათი ზომის, ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, აეროზოლებს შეუძლია ზედაპირის გაციება ან გახურება. მათ შეუძლიათ დაეხმარონ ღრუბლების წარმოქმნას, ან პირიქით შეაჩერონ ღრუბლების წარმოქმნა. ზოგიერთი აეროზოლი შეიძლება საზიანო იყოს ადამიანების ჯანმრთელობისთვის.



რუკები აჩვენებს აეროზოლის საშუალო თვიურ რაოდენობას მთელს მსოფლიოში, ნასას თანამგზავრ Terra-ზე ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრის (MODIS) დაკვირვების საფუძველზე [15]. აეროზოლების სატელიტური გაზომვები, რომელსაც ეწოდება აეროზოლის ოპტიკური სისქე, ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ნაწილაკები ცვლის ატმოსფეროს მიერ გამოსხივებულ და შთანთქმულ ხილულ და ინფრაწითელ სინათლეს. 0.1-ზე ნაკლები ოპტიკური სისქე (ყველაზე ღია ყვითელი) მიუთითებს კრისტალურად სუფთა ცაზე მაქსიმალური ხილვადობით, ხოლო მნიშვნელობა 1 (მოწითალო ყავისფერი) მიუთითებს ძალიან ბუნდოვან პირობებზე.

აეროზოლის მაღალი რაოდენობა დაკავშირებულია სხვადასხვა პროცესთან წელიწადის სხვადასხვა ადგილას და დროს. აეროზოლის მაღალი რაოდენობა მაგ. სამხრეთ ამერიკაში ხდება ივლისიდან სექტემბრამდე. ეს გამოწვეულია მიწის გაწმენდით და სასოფლო-სამეურნეო ხანძრებით, რომლებიც გავრცელებულია ამაზონის აუზსა და სერადოს რეგიონებში მშრალ სეზონზე. აეროზოლებს მსგავსი სეზონური განაწილება ფიქსირდება ცენტრალურ ამერიკაში (მარტი-მაისი), ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში (ივნისი-სექტემბერი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (იანვარი-აპრილი).

თუმცა, სხვა შემთხვევებში, აეროზოლის კონცენტრაცია არ არის დაკავშირებული ხანძრებთან. მაგალითად, ყოველი წლის მაისიდან აგვისტომდე, აეროზოლის რაოდენობა მკვეთრად იზრდება არაბეთის ნახევარკუნძულზე და მიმდებარე ოკეანეებში მტვრის ქარიშხლების გამო. აეროზოლის მაღალი რაოდენობა რამდენიმე თვეში დაიკვირვება ჰიმალაის

მთების მთისწინეთში ჩრდილოეთ ინდოეთში და ჩერდება აღმოსავლეთ ჩინეთში მთელი წლის განმავლობაში. აეროზოლის ეს მომატებული რაოდენობა გამოწვეულია ადამიანის მიერ წარმოებული ჰაერის დაბინძურებით.

მცენარეული საფარი

თანამგზავრები აკვირდებიან გლობალური მასშტაბის მცენარეულ საფარს, რომლებსაც შემდეგ იყენებენ მცენარეთა ზრდის ცვლილებების შესასწავლად კლიმატის და გარემოს ცვლილებების, ისევე როგორც ადამიანის საქმიანობის შედეგად. ფოტოსინთეზი დიდ როლს ასრულებს ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის მოცილებაში და მის ხესა და ნიადაგში შესანახად, ამიტომ მცენარეულობის რუკების შედგენა ნახშირბადის ციკლის შესწავლის მთავარი ნაწილია. ფერმერები და რესურსების მენეჯერები ასევე იყენებენ სატელიტზე დაფუძნებულ მცენარეულ რუკებს, რათა დაეხმარონ მათ აკონტროლონ ტყეების და სასოფლო-სამეურნეო მიწების ჯანმრთელობა [1,9].

ამ რუკებზე მცენარეულობა გამოსახულია, როგორც სიმწვანეს მასშტაბი ან მაჩვენებელი. სიმწვანე ეფუძნება რამდენიმე ფაქტორს: მცენარეების რაოდენობას და ტიპს, რამდენად ფოთლოვანი და რამდენად ჯანმრთელია. იმ ადგილებში, სადაც ფოთლები მკვრივია და მცენარეები სწრაფად იზრდებიან, ინდექსი მაღალია, წარმოდგენილია მუქი მწვანეში. რეგიონებს, სადაც მცენარეები იზრდება, აქვთ დაბალი მცენარეულობის ინდექსი, რომელიც ნაჩვენებია რუკაში. ინდექსი დაფუძნებულია ნასას თანამგზავრ Terra-ზე ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრის (MODIS) გაზომვებზე. უბნები, სადაც სატელიტი არ აგროვებდა მონაცემებს, ნაცრისფერია.

ყველაზე აშკარა ნიმუში, რომელსაც რუკები აჩვენებს, არის გლობალური: მცენარეული სიმწვანე მაღალია ეკვატორის გარშემო მთელი წლის განმავლობაში, სადაც უხვადაა ტემპერატურა, ნალექი და მზის შუქი. ეკვატორსა და პოლუსებს შორის მცენარეული სიმწვანე მატულობს და ეცემა სეზონების ცვლასთან ერთად.

ვეგეტაციის ინდესები

საქართველოს ტყეები კავკასიის ეკორეგიონის ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც გლობალურ დონეზე იდენტიფიცირებული 200 მნიშვნელოვანი ეკორეგიონის რიცხვში შედის. ტყეების 90%-ზე მეტი განლაგებული მთების (დიდი და მცირე კავკასიონი) კალთებზე, რის გამოც მათი სამეურნეო გამოყენება შეზღუდულია. საქართველოს ტყეების ძირითადი დანიშნულებაა ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, წყალმარეგულირებელი, ზვავსაწინააღმდეგო და სხვ.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტყეების მდგომარეობა არსებითად გაუარესდა: დიდი მოცულობით ხდებოდა ხე-ტყის უკანონო ჭრა, ტყეების მართვა არ იყო ეფექტური, საძოვრები ინტენსიურად გამოიყენებოდა, რის გამოც არ იყო უზრუნველყოფილი ტყის რესურსების მდგრადობა, ტყეების გარემოსდაცვითი, ეკონომიური და სოციალური ღირებულებები მნიშვნელოვნად გაუარესდა. გაიზარდა ეროზია, დაირღვა ეკოლოგიური მთლიანობა და ლანდშაფტები სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უარყოფითი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფორმებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლითაც დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სატყეო მეურნეობის მოწყობა. მაგრამ ეს მცდელობები არასაკმარისია ტყეების შენარჩუნებისთვის. მეორე ეროვნული შეტყობინების (2009) მიხედვით 200წ. საქართველოში ნახშირბადის ნეტოს შთანთქმა იყო 1097,9გგ.-C, ანუ 4025,5გგ-CO_2, რაც 1990 წელთან შედარებით გაზრდილია 286,7გგ- CO_2-ით [1,6]. ტყეების საძოვრებად გადაქცევაზე ზუსტი მონაცემი არ არსებობს. თანამედროვე ტექნოლოგიების როგორიცაა თანამგზავული ინფორმაცია, GIS ტექნოლოგიები, აერული გაზომვები სართოდ არ გამოიყენება.

ტყე ნახშირბადის საკუჭნაოა და ისინი ნახშირორჟანგს ამცირებენ, როდესაც იზრდება მათი სიხშირე ან გავრცელების ტერიტორია. კანადის ჩრიდოეთ ტყეების სრული ნახშირბადის 80% ინახება ნიადაგში, როგორც მკვდარი ორგანული მატერია . აფრიკის, აზიის და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ტყეების მიერ ლიდსის უნივერსიტეტის 40 წლიანი კვლევა, გვიჩვენებს ტროპიკული ტყეები შთანთქავს ყველა წიაღისეული საწვავის .დაახლოებით 18% ნახშირორჟანგს. ტროპიკულ ტყეებს შეუძლია გლობალური დათბობის შესუსტება მანამდე სანამ ყველა არსებული მიწის გატყიანება არ მოხდება. მიუხედავად ამისა, გლობალური გაგრილების ეფექტი ნახშირბადის სეკვესტრით ნაწილობრივ წონასწორდება გატყიანებით რადგან მას შეუძლია შეამციროს მზის არეკვლადობა (ალბედო). საშუალოდან მაღალი გრძედის ტყეებს აქვს გაცილებით დაბალი ალბედო თოვლი სეზონის დროს, ვიდრე მიწას, რაც ხელს შეუწყობს დათბობას [1,6].

ტყის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასახვაა დედამიწაზე და იცვლება ხეთა სახეობების, ადგილის პირობების და ბუნების მიხედვით. ზოგიერთ ტყეში ნახშირბადი საუკუნეები ინახება, ზოგში კი გამოთავისუფლდება ხშირი ხანძრების გამო.

მიწის საზღვრების და ფორმის დადგენის მრავალი მეთოდი და ინსტრუმენტი არსებობს. მათ შორის დისტანციური ზონდირების, მაგალითად,

სატელიტური სურათები, ოპტიკური ან რადარული კონტროლის სისტემები, საჰაერო ფოტოგადაღება, GPS, ტოპოგრაფიული რუკები და მიწის ჩანაწერები. დიდი ტერიტორიების მასშტაბის ლანდშაფტისთვის შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული საზღვრის აღწერილობები GPS-ზე დაფუძნებული კოორდინატებით, წლის ტოპოგრაფიული რუკებით ან სხვა შესაფერისი საშუალებით [7].

სივრცული საზღვრები კონკრეტული ტერიტორიისთვის მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რაც ხელს შეუწყობს ზუსტ გაზომვებს, მონიტორინგს, აღრიცხვას, და გადამოწმებას. სივრცული საზღვრები განისაზღვრება გლობალური პოზიციონირების სისტემის [GPS] აპარატის და / ან სხვა მეთოდებით. ისეთი პროგრამები, როგორიცაა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), ARC GIS (ESRI პროგრამული უზრუნველყოფის) ARC ჰიდრო გაგრძელების, ARC GIS (ESRI პროგრამული უზრუნველყოფის)

სატყეო მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებიდან წარმატებით გამოიყენება დისტანციური ზონდირება, რომელიც ასევე აქტუალურია ნახშირბადის სეკვესტრის ხშირი მონიტორინგისთვის აგრომეტყევეობაში [1]. დისტანციურად გადმოცემული ინფორმაცია უზრუნველყოფს ალტერნატიული სახის მონაცემებს. ყველაზე ხშირად გამოიყენება ხილულ-ახლო ინფრაწითელი (VIS-NIR) დეტექტორები მცენარეული საფარისთვის. ხილულ-ახლო ინფრაწითელი წყაროების ყველაზე გავრცელებული პროდუქტია ვეგეტაციის ინდექსის ნორმალიზებული სხვაობა (NDVI), რომელის საშუალებითაც ხდება დაკვირვება ვეგეტაციაზე [9]. პანქრომატული (PAN) მონაცემები ყველაზე ხშირად გამოიყენება საზღვრის დელიმიტაციის ან ტყის ტიპების არეალის გამოვლენისთვის აერული გადაღებების მსგავსად. მიწისპირა მონაცემები ყოველთვის საჭიროებს ნებისმიერი დისტანციური ზონდირების ტექნიკის მონაცემს. დისტანციური ზონდირების საშუალებით შეიძლება შეგროვდეს შემდეგი მონაცემები: ტყის ხემცენარეთა ჯიში, ვარჯის გვირგვინი, მიწის ზედა ბიომასა, დაცემული რადიაცია, ფენოლოგია, დომინანტური ხემცენარეების ფოთლის ორიენტაცია და დაკვირვების სხვა მონაცემები.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული რადარული მონაცემები შეიძლება იყოს სასარგებლო ტყის საფარის ტექსტურისა და არაერთგვაროვნების შეფასებისას. მცენარეული ანალიზის დროს ვეგეტაციის ინდექსი NVDI ყველაზე ხშირად გამოყენებადი პროდუქტია დისტანციურად ზონდირებული მონაცემების გამოყენებისას [6]. ამ მაჩვენებელის (და ყველა სხვა მცენარეული მაჩვენებლების) საფუძველია ის, რომ ყველა მცენარეულ საფარს აქვს დამახასიათებელი ზოგადი სპექტრები. ეს ტიპიური ამრეკვლადობა მცენარეული სპექტრის მხრიდან ძირითადად არის მცენარეული ქლოროფილის

შემცველობის, მცენარის უჯრედოვანი სტრუქტურის და მცენარეში წყლის შემცველობის ფუნქცია. ქლოროფილი შთანთქავს სინათლის ენერგიას 680 ნმ-ზე, რომელიც მიეთითება სპექტრის არხით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფოთოლის სტრუქტურის უჯრედშიდა სივრცე აირეკლავს ახლო ინფრაწითელ ენერგიას 790 ნმ-ზე. ყველაზე ხშირად იყენებენ მცენარეული შეფასების მონაცემებს წყაროებიდან: AVHRR, LANDSAT (MSS და TM), SPOT, AVIRIS, CASI, RADARSAT. თითოეულ მათგანს შეუძლია გადმოსცეს მონაცემები პიქსელის სხვადასხვა ზომებით, დროითი სიხშირით, და დონის ტექნიკური სირთულის მიხედვით [7].

კლიმატის რისკის ყოვლისმომცველი მენეჯმენტი (CRM) არის სისტემური ჩარჩო, რომელიც ცდილობს განჭვრიტოს, თავიდან აიცილოს და თავიდან აიცილოს ყველა სახის კლიმატური რისკი, ასევე აითვისოს ექსტრემალური ამინდის მოვლენებისა და ნელი ცვლილებებისგან დარჩენილი ზემოქმედება. ამრიგად, იგი აერთიანებს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის (CCA) და კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) კვლევის ორ მიმართულებას მდგრადი განვითარების ჩარჩოში.

კლიმატის რისკების ყოვლისმომცველი მენეჯმენტი მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგების მოგვარებას და შემცირებას კლიმატის რისკების თავიდან აცილებით სათბურის გაზების ემისიების შემცირებით, კლიმატის რისკების მინიმიზაციის გზით ადაპტაციის გზით და რისკების მართვის ან ნარჩენი კლიმატის რისკების მართვის ინსტრუმენტების საშუალებით, როგორიცაა კლიმატის რისკის დაფინანსება ან ტრანსფორმაციული. ზომები

როგორც საჯარო და პოლიტიკის საკითხი, კლიმატის ცვლილება ოთხ ძირითად საკითხად იშლება: 1) კლიმატი იცვლება; 2) ადამიანები იწვევენ კლიმატის ცვლილებას; 3) კლიმატის ცვლილების სოციალური შედეგები ძალზე გაურკვეველია, მაგრამ მოიცავს სერიოზული ზემოქმედების პოტენციალს; და 4) კლიმატის ცვლილების რისკის მართვის მრავალი პოლიტიკის ვარიანტი არსებობს, რომელთა უმეტესობა კარგად არის დახასიათებული (ანუ ცნობილია ძლიერი და სუსტი მხარეები). ეს ოთხი დასკვნა ეფუძნება მეცნიერული გაგების

ყოვლისმომცველ შეფასებას და თითოეული არის მრავალი დამოუკიდებელი მტკიცებულების შედეგი.
კლიმატის ცვლილების რისკის მართვის მიდგომები, როგორც წესი, იყოფა ოთხ ფართო კატეგორიად: 1) შერბილება - მალისხმევა სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად; 2) ადაპტაცია - საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდა კლიმატის ცვლილებებთან გამკლავებისთვის; 3) გეოინჟინერია ან კლიმატის ინჟინერია-დედამიწის სისტემის დამატებითი, მიზანმიმართული მანიპულირება, რომელიც გამიზნულია სათბურის გაზების გამონაბოლქვის ზოგიერთი ზემოქმედების წინააღმდეგ მაინც; და 4) ცოდნის ბაზის გაფართოება - კლიმატის სისტემის შესახებ მეტის შესწავლისა და გაგების მცდელობები, რაც ხელს შეუწყობს რისკის პროაქტიული მართვის მხარდაჭერას.
ემისიების შემცირებით, შერბილება ამცირებს საზოგადოების სამომავლო წვლილს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციაში. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების ოდენობის შემცირებას და ამით გაზრდის პოტენციალს, რომ საზოგადოების ზემოქმედება დარჩეს მართვადი. ემისიების შემცირების მიდგომები რამდენიმე კატეგორიად იყოფა. ეს მოიცავს 1) რეგულაციას; 2) ახალი ტექნოლოგიების კვლევა, განვითარება და დანერგვა; 3) კონსერვაცია; 4) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მალისხმევა; 5) პოზიტიური სტიმულები წაახალისოს არჩევანი, რომელიც ამცირებს ემისიებს; და 6) სათბურის გაზების ემისიებზე ფასის დამატება, რაც ქმნის სტიმულს ემისიების ფართოდ შემცირებისთვის.
ადაპტაცია გულისხმობს კლიმატზე ზემოქმედების დაგეგმვას, ამ ზემოქმედებისადმი მდგრადობის გაზრდას და საზოგადოების რეაგირებისა და აღდგენის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ეს ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზიანის და შეფერხებების შემცირებას. ადაპტაციის პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს რეგულირებას მოწყვლადობის შესამცირებლად (მაგ., მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და სამშენებლო კოდების მეშვეობით); რეაგირების დაგეგმვა; კატასტროფის აღდგენა; კრიტიკული სისტემებისა და რესურსების ზემოქმედების შეფასება (მაგ. წყალი, ჯანმრთელობა, ბიოლოგიური სისტემები, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა); დაკვირვება და მონიტორინგი; და მალისხმევა შემცირდეს ისეთი სტრესები, როგორიცაა ჰაერის ტრადიციული დაბინძურება, ჰაბიტატის დაკარგვა და დეგრადაცია, ინვაზიური სახეობები და აზოტის დეპონირება.
გეოინჟინერია გულისხმობს კლიმატის სისტემის მიზანმიმართულ, ხშირად გლობალური მასშტაბის მანიპულაციებს. გეოინჟინერიის ორი კატეგორია ყველაზე გავრცელებულია სამეცნიერო და პოლიტიკის დისკუსიებში: მზის რადიაციის მენეჯმენტი (სათბურის გაზების გამოსხივების გამო ადამიანის მიერ გამოწვეული დათბობის კომპენსირება კოსმოსში შემომავალი მზის შუქის ასახვით) და ნახშირბადის მოცილება და სეკვესტრი (ნახშირორჟანგის ამოღება ჰაერიდან და მისი შენახვა). მიწის ან ოკეანის სიღრმეში).

გეოინჟინერიას შეუძლია ხელი შეუწყოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის შემცირებას, სათბურის გაზების კონცენტრაციის გაზრდის დათბობის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას, კლიმატის ცვლილების სპეციფიკურ ზემოქმედებას, ან შესთავაზოს სასოწარკვეთის სტრატეგიები იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი, კატასტროფული ან სხვაგვარად მიუღებელი კლიმატის ცვლილების ზემოქმედება გახდება აშკარა. გეოინჟინერიას ასევე შეუძლია შექმნას რისკის ახალი წყაროები, რადგან დედამიწის სისტემის ფართომასშტაბიანი ინჟინერიის მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი და უარყოფითი შედეგები.

კვლევებმა, დაკვირვებებმა, სამეცნიერო შეფასებებმა და ტექნოლოგიების განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კლიმატის სისტემასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენას და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებას კლიმატის ცვლილების რისკის მართვასთან დაკავშირებით. ცოდნის ბაზის გაფართოება პოლიტიკის შემქმნელებს საშუალებას აძლევს გაიგონ, შეარჩიონ და დახვეწონ რისკის მართვის კონკრეტული სტრატეგიები და ამით გაზარდონ რისკის მართვის ძალისხმევის ეფექტურობა. ცოდნის ბაზის გაფართოებამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე შეიძლება გამოავლინოს სრულიად ახალი შესაძლებლობები კლიმატის სისტემის დასაცავად ან კლიმატის ცვლილების ზემოქმედების რისკების შესამცირებლად. შედეგად, ცოდნის ბაზის გაფართოების პოლიტიკამ შეიძლება მხარი დაუჭიროს და მხარი დაუჭიროს ზემოთ აღწერილ რისკების მართვის პროაქტიულ სტრატეგიებს (შერბილება, ადაპტაცია და გეოინჟინერია).

რისკის მართვის არც ერთი ვარიანტი არ არის ურთიერთგამომრიცხავი. მართლაც, კლიმატის ცვლილების რისკის ყოვლისმომცველი მართვა თითქმის რა თქმა უნდა მოიცავს პოლიტიკის პასუხების კომბინაციას. თუმცა, პოლიტიკის არჩევანი აუცილებლად აერთიანებს როგორც ობიექტურ ინფორმაციას კლიმატის სისტემის შესახებ და ჩვენი ურთიერთობის შესახებ, ასევე სუბიექტური ღირებულებითი განსჯები, როგორიცაა კლიმატის ცვლილებების რისკების ან პოლიტიკის პასუხების მიმართ, თუ როგორ ვაფასებთ სამართლიანობის საკითხებს. ერები და ხალხები და ყურადღება, რომელსაც ჩვენ ვაქცევთ კულტურულ მემკვიდრეობას ან არაადამიანურ სახეობებს. ეს ქმნის რისკის მართვის რთულ და ხშირად სადავო გამოწვევას.

შერბილება გლობალურ დონეზე:

კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია გლობალური ემისიების გზაზე მომდევნო წლებში და ათწლეულებში. თუნდაც ყველაზე ამბიციური ადაპტაციის ქმედებებით, ჩვენ მოგვიწევს კლიმატის ნარჩენი ზემოქმედების წინაშე. კლიმატის ცვლილების მართვადი შესანარჩუნებლად, კლიმატის ცვლილების შერბილება, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია. ამბიციური ზომების მიღება გლობალური დათბობის შესანარჩუნებლად 2°C-ზე დაბლა პრეინდუსტრიულ დონეებთან შედარებით და

მისი 1,5°C-მდე შეზღუდვის მიზნით, ამგვარად მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიმატთან დაკავშირებული რისკის მართვისთვის და, ალბათ, ადაპტაციის საუკეთესო ფორმა.

მდგრადი განვითარება ყველა დონეზე:

მდგრადი განვითარება მიზნად ისახავს მიმდინარე და მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სიცოცხლის შენარჩუნების დედამიწის შესაძლებლობის გადაჭარბების გარეშე და სოციალურად სამართლიანი გზით. ამრიგად, მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მოსაზრებებს. ეს მიდგომა მოიცავს, მათ შორის, განახლებადი ენერგიის გამოყენებას ან დაბალ ნახშირბადის ტრანსპორტირებასა და ცხოვრების წესზე გადასვლას. მდგრადი განვითარების გზები გვთავაზობს მრავალ სარგებელს, როგორიცაა ჰაერის უკეთესი ხარისხი და სუფთა ენერგიაზე წვდომა. ადაპტაციის ღონისძიებები, როგორიცაა მანგროს ტყის გაშენება და აგროტყეობა, ხშირად იწვევს თანასასარგებლო სარგებელს, როგორიცაა ქარიშხლის წყალდიდობისგან ან ექსტრემალური სიცხისგან დაცვა, მაშინ როცა კლიმატისთვის ჭკვიანი სოფლის მეურნეობა აუცილებელია მომავალი სასურსათო უსაფრთხოებისთვის.
ადაპტაციისა და კატასტროფის რისკის შესამცირებლად უკვე გამოყენებული დადასტურებული ინსტრუმენტების ჭკვიანი კომბინაცია:
ხელსაწყოები, რომლებიც უკვე გამოიყენება კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სფეროში, როგორიცაა გვალვაგამძლე კულტურები, კლიმატის მდგრადი ქალაქები და ინფრასტრუქტურა ან ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაცია, კომბინირებულია კატასტროფების რისკის შემცირების ინსტრუმენტებთან, მაგ. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა და ადრეული გაფრთხილების სისტემები. ადაპტაციასა და კატასტროფების რისკის შემცირების ზომებს შორის სინერგიების კაპიტალიზაციას აქვს დიდი პოტენციალი, რათა თავიდან აიცილოს ძალისხმევის გაორმაგება და ამგვარად გამოიყენოს შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები, არა მხოლოდ კატასტროფებზე უკეთ მზადყოფნაში და რეაგირებაში, არამედ ზიანის შეზღუდვით ან შემცირებით. პირველ რიგში.
ინოვაციური ადაპტაციის ინსტრუმენტები, მაგ. რისკის დაფინანსება და დაზღვევა, ასევე ტრანსფორმაციული მიდგომები:
ნარჩენი რისკების განხილვა, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია შერბილებისა და ადაპტაციის ვარიანტებით, არის ყოვლისმომცველი CRM-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი. რისკის დაფინანსების მექანიზმებს, როგორიცაა კლიმატის რისკის დაზღვევა, საგანგებო ფონდები და სოციალური დაცვის სქემები, შეუძლია ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას სხვადასხვა აქტორებზე, გეოგრაფიებსა და დროში რისკების გავრცელებით. ეს მექანიზმები ასევე იძენს მნიშვნელობას ნარჩენი რისკების მოსაგვარებლად. დარჩენილი რისკების უწყვეტი მართვისთვის, არსებობს ორი

ვარიანტი: რისკის გადაცემა ან ნარჩენი რისკის ხელახალი შესვლა რისკის მართვის ციკლში.

L&D მიმართვის ინსტრუმენტები არ არის მხოლოდ დამატებითი ხასიათისა. გარდა ამისა, საჭიროა ტრანსფორმაციული მიდგომები, როგორიცაა საარსებო საშუალებების დივერსიფიკაცია და ადაპტირებული მენეჯმენტი ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და დანაკარგებისა და ზიანის რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, ადამიანთა მობილურობა იყო და იქნება განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი – კლიმატის ცვლილებასთან ერთად ან მის გარეშე. ის უკვე ფართოდ გამოიყენება კლიმატის ცვალებადობის მქონე რეგიონებში, მაგ. სეზონური შრომითი მიგრაცია. მიგრაცია და დაგეგმილი გადაადგილება, როგორც უკანასკნელი საშუალება, შეუძლია შეამციროს დანაკარგების და ზიანის რისკი.

რისკის გადაცემის მექანიზმები:

დაბოლოს, ნარჩენი რისკის დასაძლევად, რისკის გადაცემის მექანიზმებმა, როგორიცაა კლიმატის რისკის დაზღვევა და სოციალური დაცვის სქემები, შეიძლება ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას სხვადასხვა აქტორებზე, გეოგრაფიებსა და დროში რისკების გავრცელებით. გარდა ამისა, კატასტროფის შემდგომ სიტუაციებში ელასტიური აღდგენა ხელს უწყობს „უკეთესად აღდგენას" და მომავალი კლიმატის რისკებისთვის მომზადებას.

კლიმატის ცვლილების გამო, პროგნოზირებულია კლიმატთან დაკავშირებული რისკების ხანგრძლივობა, სიდიდე, სიდიდე და სიხშირე გაიზრდება და გაუარესდება [22]. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული HMR მოიცავს ექსტრემალურ ტემპერატურას, ქარს, გვალვას, ძლიერ ნალექს, ჭექა-ქუხილს, სეტყვას, წყალდიდობას და მეწყერს; მათი სიხშირე და მასშტაბები მომავალში მოსალოდნელია, რომ გაიზრდება. კლიმატური რისკების და კატასტროფების რისკის შემცირებისთვის, აუცილებელია ამ კატასტროფებზე მაქსიმალური რაოდენობის ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი [20,21]. ასევე მნიშვნელოვანია სტიქიური მოვლენების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და შესაძლო პროგნოზის გაკეთება .ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ერთ-ერთი ასეთი გამომწვევი მიზეზი-გეო-შტორმი. ეს მოვლენა წინა თავებშია განხილული, ამ თავში კი წარმოდგენილია მისი გავლენა მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე.

კვლევები

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია **kp** გეო-მაგნიტური ინდექსი და შემდეგი მეტეოპარამეტრების: **ტემპერატურა, ნალექი, წნევა, ქარი** მონაცემები 2014-19წ-თვის. კვლევა ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ყველა მეტეოსაგურისთვის, რომლებისთვისაც გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჰქონდა დაკვირვების უწყვეტი რიგი. გამოყენებულია ყველა მახასიათებელი

სადგურის მონაცემი, რომლებმაც სრულად მოიცვა საქართველოს ტერიტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალმთიანი სადგური, რადგან კვლევისთვის მისი მონაცემი მნიშვნელოვანია. წნევის, ტემპერატურის და ქარის დინამიურობიდან გამომდინარე გეო-შეშფოთებებზე ისინი დაგვიანების გარეშე რეაგირებენ: უმეტესად იზრდება მათი სიდიდე და ინტენსივობა [9,2225,26,27,28].

ქვემოთ მოყვანილია ატმოსფერული წნევის ცვალებადობის გრაფიკები გეო-შტორმებზე დამოკიდებულებით მთა-საბუეთის მაგალითზე



ნახ.2.1. წნევის დამოკიდებულება **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე მთა-საბუეთისთვის 2014წ.

Fig. 2.1. Variation of pressure depending on the kp geo-magnetic index for Mta-Sabueti in 2014



ნახ.2.2. წნევის დამოკიდებულება **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე მთა-საბუეთისთვის 2015წ

Fig. 2.2. Variation of pressure depending on the kp geo-magnetic index for Mta-Sabueti in 2015



ნახ.2.3. წნევის დამოკიდებულება **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე მთა-საბუეთისთვის 2015წ

Fig. 2.3. Variation of pressure depending on the kp geo-magnetic index for Mta-Sabueti in 2015



ნახ.2.4. წნევის დამოკიდებულება **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე მთა-საბუეთისთვის 2016წ

Fig. 2.4. Variation of pressure depending on the kp geo-magnetic index for Mta-Sabueti in 2016

ასევე მოყვანილია ქარის სიჩქარის დამოკიდებულება გეო-ინდექსებზე.



ნახ.2.5. ქარის სიჩქარის ცვალებადობა **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე დამოკიდებულებით მთა-საბუეთისთვის 2015წ

Fig. 2.5. Variation of wind speed depending on the kp geo-magnetic index for Mta-Sabueti in 2015



ნახ.2.6. ქარის სიჩქარის და წნევის ცვალებადობის **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე დამოკიდებულებით მთა-საბუეთისთვის 2015წ

Fig. 2.6. Variation of wind speed and pressure depending on kp geo-magnetic index for Mta-Sabueti 2015



ნახ.2.7. ქარის სიჩქარის და წნევის ცვალებადობის **kp** გეო-მაგნიტური ინდექსზე დამოკიდებულებით მთა-საბუეთისთვის 2018წ

Fig. 2.7. Variation of wind speed and pressure depending on kp geo-magnetic index for Mta-Sabueti 2018

რაც შეეხება ნალექს-მას დროში დაგვიანება ახასიათებს, რადგან ნალექის წარმოქმნა და გამოყოფა დროში გაწელილი პროცესია.
ნალექების გაზრდა გამოწვეულია მზის ნაწილაკების შემოსვლით ატმოსფეროს დაბალ ფენებში, რომლებიც ამავდროულად ახშობს კოსმოსურ სხივებს, რაც ამცირებს ღრუბლის საფარს. თუმცა მიუხედავად ამისა. იმდენად ბევრი ნაწილაკი შემოიჭრებამზიდან, რომ ამ დანაკლისს აკომპენსირებს და ეს ნაწილაკები მოქმედებენ, როგორც კონდენსაციის ან კრიტალიზაციის ბირთვები. ასევე, გასათვალისწინებელია მათი ურთიერთქმედება ატმოსფეროში სხვადასხვა მოლეკულებთან, როდესაც მოხდება ამ მოლეკულებით მათი ჩაჭერა და წარმოიმქნება დიდი რაოდენობით ახალი ნაერთები. თან ამ ნაწილაკების დედამიწის მაგნიტური ველის გავლენა მათ აჩქარება/შენელებას გამოიწვევს, რაც ამ ურთიერთქმედებებს კიდევ უფრო გაართულებს [25,26,]. 27,28]
კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ამინდის პროგნოზისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პრედიქტორი, პროგნოზის შედგენამდე, მისი დაზუსტებისთვის.

გვალვა

გვალვა აგრეთვე საშიშ და ხშირად სტიქიურ მოვლენას წარმოადგენს. მას დიდი ზარალი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის და მოსახლეობისათვის კახეთის ტერიტორიაზე მკაცრი გვალვები ყველაზე ხშირია მდინარე იორის ქვემო წელში და ივრის ზეგანი უკიდურეს სამხრეთში, სადაც მისი განმეორადობა 30-40%-ია და ზოგ ადგილებში უფრო მეტიც. Eეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ რაიონებში მკაცრი გვალვები საშუალოდ 2 წელიწადში ერთხელაა. ივრის ზეგანის დანარჩენ ტერიტორიაზე, აგრეთვე საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მკაცრი გვალვების განმეორადობა 20-30%-ს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 10-20%-ს შეადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვალვიან თვეთა საშუალო რიცხვი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მერყეობს 0-დან 5-მდე ფარგლებში [19]. მისი უმცირესი მნიშვნელობები შეესაბამება კავკასიონის მაღალმთიან ზონას, ხოლო თვეთა უდიდესი რაოდენობა ფიქსირდება ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილზე [210]. კავკასიონის მაღალმთიან ზონაში გვალვიან თვეთა რიცხვი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში არსად არ აღემატება 1-ს. მდინარე ალაზნის აუზის ქვემო წელში და გომბორის ქედზე ეს მაჩვენებელი აღემატება 2-ს და არ აღწევს 3-ს. მდინარე ივრის აუზის ქვედა წელში გვალვიან თვეთა საშუალო ხანგრძლივობა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში შეადგენს 3-4-ს. ცხრილში 2.2.1 წარმოდგენილია გვალვების განმეორებადობა თვეების მიხედვით კახეთის ძირითად პუნქტებში. ცხრილი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ხასიათის სეზონური სვლა გააჩნია გვალვების განმეორადობას ამა თუ იმ პუნქტში, ან ამა თუ იმ რაიონში. ცხრილის განხილვიდან აშკარაა, რომ გვალვიანობის განმეორადობის შიდასეზონურ სვლაში მაქსიმუმები ყველგან სავეგეტაციო პერიოდის მეორე ნახევარში აღინიშნება. ამავე დროს, აბსოლუტური მაქსიმუმი, სხვადასხვა პუნქტში და სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონში განსხვავებულ თვეებზე მოდის.

გვალვის მაქსიმუმი სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში სხვადასხვა თვეებზე მოდის: საგარეჯოში და ახმეტაში ეს თვეები ივლისი-აგვისტოა, ხოლო ლაგოდეხში, შირაქში, ყვარელში და თელავში – აგვისტო-სექტემბერია.

გვალვის განმეორადობის მინიმუმი სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარზე მოდის, უმთავრესად ეს აპრილი და მაისია.

უამრავი კლიმატოლოგიური, მეტეოროლოგიური ან ჰიდროლოგიური ინდექსები გამოიყენება გვალვის დასადგენად, რაც საკმაოდ რთული პროცესია. გვალვის ინდექსებს შეუძლია ნათლად განსაზღვროს გვალვის გაჩენა და მშრალი პირობების განვითარება. გვალვის მაჩვენებლები მნიშვნელოვანია გვალვის პირობების დაწყების გამოვლენის თვალსაზრისით, გვალვის ინციდენტების გაზომვის და მონიტორინგის და გვალვის სტიქიის მასშტაბების განსაზღვრისთვის [19].

რეგიონისთვის შესაფერისი გვალვის ინდექსი შეიძლება შეირჩეს გეომორფოლოგიური, კლიმატოლოგიური, ჰიდროლოგიური, ეკოლოგიური და

რეგიონის ნიადაგის მახასიათებლების და გვალვის ტიპების (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, სოფლის მეურნეობა, სოციალურ-ეკონომიკური) მიხედვით.ზოგიერთი ინდექსები უფრო შესაფერისია მონიტორინგისთვის და ზოგი უფრო შესაფერისია გვალვის ისტორიული მოვლენების გასაანალიზებლად. ამ მიზეზით, რამდენიმე ინდექსის ან ინდიკატორის გამოყენება უფრო სასარგებლოა გვალვის კვალიფიკაციისა და შედარებისთვის. წარმოდგენილ ნაშრომში, SPI standardized precipitation index და SPEI standardized precipitation evapotranspiration index გვალვის ინდექსებია გამოყენებული, რომლებიც მიღებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო კვლევებში. SPI ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეტეოროლოგიური გვალვის მაჩვენებელია, რომელში გვალვის იდენტიფიცირება და მონიტორინგი ხდება ყოველთვიური ნალექების მონაცემების გრძელვადიანი პერიოდის გამოყენებით. SPEI გამოთვლა ემყარება ტემპერატურის რყევებით გამოწვეული აორთქლების ცვლილებებს და იყენებს აკუმულირებული წყლის ბალანსს და SPI– ის ჯერადი პერიოდის მახასიათებლების ერთობლიობას.

სტანდარტიზებული ინდექსები SPI და SPEI ახდენს ნალექების და წყლის ბალანსის ანომალიების კლასიფიკაციას გრძელვადიან ჩანაწერებთან მიმართებაში [19]. ინდექსის მნიშვნელობები პირდაპირ მიუთითებს, თუ რამდენად ხშირია არსებული ვითარება მოსალოდნელ ადგილას და სეზონზე გრძელვადიანი დაკვირვების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოემულია ამ ინდესების მნიშნელობების აღწერა და განმეორადობა.

ცხრ. 2.1 გვალვის ინდექსების აღწერა
Table 2.1 Description of drought indices

ინდექსის სიდიდე	აღწერა	სიხშირე (წწ.)
> 2	გამორჩეულად ნოტიო	1 ყოველ 50წ. ან ნაკლებ
1.6 bis 1.99	ესტრემალურად ნოტიო	1-2 – 40წ.
1.3 bis 1.59	ძლიერ ნოტიო	1-2 -x 20წ.
0.8 bis 1.29	ზომიერად ნოტიო	1-2- 10წ.
0.5 bis 0.79	მცირედ ნოტიო	1-2 -5 წ.

0.49 bis -0.49	ნორმალური	
-0.5 bis -0.79	მცირედ მშრალი	1-2- 5 წ.
-0.8 bis -1.29	ზომიერი გვალვა	1-2 – 10წ.
-1.3 bis -1.59	ძლიერი გვალვა	1-2 – 20წ.
-1.6 bis -1.99	ექსტრემალური გვალვა	1-2- 40 წ.
< - 2	გამორჩეული გვალვა	1 – 50წ. ან ნაკლებში

კვლევა ჩატარდა დედოფლისწყაროს, ხაშურის, თბილისის, საჩხერის, ზესტაფონის, წალკის, გორის და თელავის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების გამოყენებით 2000-2020წ. პერიოდისთვის (ნახ. 2.8-2.9)



ნახ. 2.8 გვალვის 12თვიანი ინდექსები SPI, SPEI დედოფლისწყაროსთვის 2000-2020წ. პერიოდისთვის
Fig. 2.8.-month drought indices SPI, SPEI for Dedoplistskaro for the 2000-2020 period



ნახ..2,9. გვალვის 12 თვიანი ინდექსები SPI, SPEI თელავისთვის 2000-2020წ. პერიოდისთვის.

Fig.2.9. 12-month drought indices SPI, SPEI for Telavi for the 2000-2020 period.

სტატისტიკაში კორელაციის ყველაზე გავრცელებული საზომია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი (PCC). იგი აჩვენებს,რომ SPI-SPEI-ს შორის წრფივი კავშირი საკმაოდ მაღალია, RMSE (SPI-SPEI) დაბალია განსაკუთრებით ხაშური და თელავისთვის [19];

PCC SPI-SPEI-სთვის მაღალია. R^2 დაბალია ყველა სადგურისთვის. RMSE (SPI-SPEI) დაბალია, რაც ნიშნავს სრულყოფილ თანხვედრას, (ცხრ.2.2).

ცხრილი 2.2 არჩეული სადგურების სტატისტიკური პარამეტრები (SPI-SPEI)-ს მიხედვით

Table 2.2 Statistical parameters of selected stations according to (SPI-SPEI).

სადგური	correll	covar	kurt	pearson	r2-spi	r2-spei	rmse
ზესტაფონი	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0027	0.0188	0.025909
წალკა	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0695	0.0695	0.009268
თელავი	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0013	0.0263	0.015006
თბილისი	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0058	0.0347	0.017471
საჩხერე	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0241	0.0016	0.021206
ხაშური	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0064	0.0918	0.009364
გორი	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0034	0.0315	0.000938
დედოფლისწყარო	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0233	0.0785	0.016065
ბოლნისი	0.942305	0.857534	-0.49676	0.942305	0.0006	0.0102	0.010778

მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების მოდელირებაში პროგნოზირების სისტემის განვითარებისათვის საქართველოში

თავი 3. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა აგრარულ სექტორში

სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს აგროკლიმატური რესურსების მეცნიერულ საფუძველზე შეფასებას და მის უნარიან გამოყენებას. აღნიშნულის გათვალისწინება სოფლის მეურნეობის მუშაკებს და ფერმერებს ხელსუწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის მიღებაში და მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფაში. მთიან და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მდგრადი განვითარებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგროკლიმატური პირობების მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება, ვინაიდან მრავალი სახის სასოფლო-სამეურენეო კულტურის გავრცელებას აფერხებს მათი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ტემპერატურის, თუ სხვა აგროკლიმატური ფაქტორის შეზღუდვა. ამიტომ რეგიონებისთვის შერჩეული უნდა იქნას ისეთი პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც კარგად ვითარდებიან შესაბამის აგროკლიმატურ პირობებში და იძლევიან მაღალხარისხიან მოსავალს. ასევე, ხასიათდებიან მაღალი რენტაბელობით და დამაკმაყოფილებლად იტანენ არახელსაყრელი მეტეოროლოგიური მოვლენების (წაყინვები, გვალვა, ძლიერი ქარები, სეტყვა და სხვა) ზეგავლენას.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, აზიანებს საარსებო გარემოს და ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. სტიქიური მოვლენების სიხშირემ გააძლიერა ნიადაგების დეგრადაცია, გამოიწვია მათი ეროზია და გამოფიტვა. ტემპერატურული და ნალექების რეჟიმის ცვლილებამ, სეზონების წანაცვლებამ და ამ სეზონებისთვის დამახასიათებელმა ვეგეტაციის პერიოდების, ევაპოტრანსპირაციის, ნიადაგის ტენიანობის ცვლილებებმა საგრძნობლად შეამცირა ტრადიციული მეთოდით სოფლის მეურნეობის დარგებში მოსავლის რაოდენობა და პროდუქციის წარმოება.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წესს განსაზღვრავს კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელი კლიმატი, რომლის ცვლილებასთან ერთად იცვლება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაც. ახლო მომავალში, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგად მაღალი ალბათობით შეიცვლება მცენარეული კულტურების პროდუქტიულობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2010 წელს ქ. ჰააგაში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ახლებური მიდგომა. რაც გულისხმობს დარგის გარდაქმნას იმგვარად, რომ გაიზარდოს მისი ეფექტურად მართვისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები. ეს ახალი მიდგომა ფორმულირებული იქნა, როგორც კლიმატგონივრული სოფლის

მეურნეობა, რომელიც პასუხობს კონკრეტული არეალისათვის დამახასიათებელ კლიმატის ცვლილების გამოწვევებს [1]. ამრიგად, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა არის გაუმჯობესებული სამეცნიერო მიდგომებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დარგის მდგარად განვითარებას. იგი ითვალისწინებს რა კლიმატური პარამეტრების მოსალოდნელ ცვლილებას ხელს უწყობს ისეთი ფერმერული მიდგომების დანერგვას, რომელიც შეცვლილ პირობებს შეესაბამება და ზრდის მოსავალს. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის ზრდა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. რაც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სფეროში რისკების იმგვარი მართვის საშუალებას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ არეალში კლიმატის ცვლილების თავისებურებებს. მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების ადაპტაციისას რეკომენდებულია ნიადაგის მართვის ისეთი საშუალებების გამოყენება, რაც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისგან ანუ მისი დეგრადაციისა და არიდაციისაგან დაიცავს ნიადაგს. ასევე, მნიშვნელოვანია კლიმატური პარამეტრების ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირება. მაგალითად, გვალვაგამძლე კულტურების მოყვანა, სარწყავი წლის რაციონალური მოხმარება, რესურსების კონსერვაცია და ეფექტური მართვა, კულტურების დივერსიფიკაცია, მავნებლებთან ბრძოლა თანამდეროვე საშუალებებით, ამინდის გაუმჯობესებული პროგნოზი და ა.შ.
ზემოაღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო ღონისძიება. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია: ,,კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე". კონფერენციაზე შემუშავდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და დებულებები, მათ შორის: სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატის გლობალური ცვლილების ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად წარმოჩენა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა სოფლის მეურნეობის ცალკეულ მიმართულებებში; სოფლის მეურნეობის სექტორში ერთიანი კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც გააერთიანებდა სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ საქმიანობას და უზრუნველყოფდა სამუშაოთა კოორდინაციას; კლიმატის ცვლილების პრობლემის შემეცნების დონის ასამაღლებლად სათანადო სისტემატური კურსების შემოღება, ხოლო სასწავლო პროგრამებში მათი აქტიურად ჩართვა.
CENN-ის მიერ ჩატარდა კონფერენცია ,,კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა საქართველოში'', რომლის მიზანს წარმოადგენდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრინციპების დანერგვა რეკომენდებული და პრიორიტეტული ქმედებებით. კერძოდ, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესწავლა სოფლის მეურნეობასა და საკვების

წარმოებაში, სოფლის მეურნეობის აგრომეტეოროლოგიური მომსახურების გაუმჯობესება, აგროკლიმატური მონიტორინგის გაძლიერება, საუკეთესო კლიმატგონივრული პრაქტიკის დანერგვა, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობაზე ხელმისაწვდომი საინფორმაციო პლატფორმის განვითარება, სასწავლო მასალების გავრცელება, ტრენინგ პროგრამების განხორციელება და ა.შ.
მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ბაზაზე პროექტის საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტის ,,საქართველოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზება (მეორე ფაზა),,-ის ფარგლებში მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო ,,კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა''. სახელმძღვანელოში განხილულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული და პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზი; კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის როლი სოფლის მეურნეობის სფეროში; სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასება და აღნიშნული რისკების შემამცირებელი, საადაპტაციო ღონისძიებები; კლიმატის ცვლილების გამომწვევი აირების გაფრქვევების შეფასება და მათი შემამცირებელი ტექნოლოგიები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს მთიანი რეგიონების აგროკლიმატური მახასიათებლების შეფასება, რათა რეგიონალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე იქნას განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული და პერსპექტიული მიმართულებები.

3.1 საქართველოს მთიანეთის ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლების რეგიონალური ასპექტები

კახეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. კახეთი წარმოადგენს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონს. იგი მთიან რელიეფურ პირობებში ზღ.დონიდან 1900 მ და მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან გამომდინარე, რეგიონი უაღრესად მნიშვნელოვანია.

სითბო, სასოფლო-სამერნეო კულტურების ზრდა-განვითარების და პროდუქტიულობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ტერიტორიაზე, სადაც სითბური რეჟიმი ნაკლებია, შედარებით სითბოსმოყვარული კულტურები ნორმალურად ვერ ვითარდებიან, მათი მოსავალი და ხარისხი

დაბალია. აქედან გამომდინარე სასურველია კახეთის რეგიონის მთიან რაიონებში, ჰაერის ტემპერატურის ჯამების (≥10°C) ცოდნა, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება აგროფერმერულ და სხვა კერძო სექტორის მიწათმოქმედთა მეურნეობებში, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარება [2, 3]. ნახაზზე 4.1.1 მოყვანილია სავეგეტაციო პერიოდში (თვეების მიხედვით) ჰაერის საშუალო ტემპერატურები.







ნახ. 3.1.1 ჰაერის საშუალო ტემპერატურები

Fig. 3.1.1 Average air temperatures

სავეგეტაციო პერიოდში თერმული პირობების შეფასებისათვის გამოიყენება აქტიური ტემპერატურის ჯამები (≥10°C). ეს უკანასკნელი ცალკეულ წლებში არსებითად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური ჯამისაგან (300-400°C-ით და მეტით). იმის დასადგენათ, მოცემულ რაიონში სითბოთი უზრუნველყოფილია თუ არა სასოფლო-სამეურნეო კულტურები აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით, შედგენილია რეგრესიის განტოლებები:

საგარეჯო $\sum T=-9.7n+3904$

დედოფლისწყარო $\sum T=-8.9n+3648$

მოცემულ განტოლებებში $\sum T$ - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 მარტიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში).

მოცემული განტოლებებით, შეიძლება შეფასდეს მიმდინარე წელს ტემპერატურის ჯამით უზრუნველყოფა. მაგალითად, საპროგნოზო ტემპერატურის ჯამი, თუ აღმოჩნდა 300-400°C-ით მეტი, რაიონის საშუალო მრავალწლიურ ტემპერატურის ჯამზე (ნიადაგის ტენის საკმარისი რაოდენობის შემთხვევაში), ასეთ პირობებში უნდა ველოდოთ ხარისხიან, მაღალ მოსავალს

და პირიქით. უნდა აღინიშნოს, რომ ვაზის საგვიანო ჯიში - რქაწითელი, მოითხოვს სრული სიმწიფის უზრუნველყოფის ტემპერატურის ჯამს 3400°C და მეტს. გამოირკვა, რომ საგარეჯოში აღნიშნული ვაზის სრული სიმწიფე უზრუნველყოფილია 90%-ით ყოველ ათ და მეტ წელში. დედოფლისწყაროში მოცემული ჯიშის სრული სიმწიფე უზრუნველყოფილია 60% [4, 5].

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და მაღალი პროდუქტიულობისათვის, სითბოს უზრუნველყოფასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ატმოსფერული ნალექების რაოდენობას და მის განაწილებას (ნახაზი 3.1.2).







ნახ. 3.1.2 ატმოსფერული ნალექები (მმ)

Fig. 3.1.2 Atmospheric precipitation (mm)

ცხადია, ნალექების შემცირება რამდენადმე აისახება, განსაკუთრებით ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალურ პროდუქტიულობაზე, მით უფრო თუ გვალვები აღინიშნა. ამიტომ, აქტიური ვეგეტაციის პერიოდში აუცილებელია მცენარეების ნიადაგის ტენით უზრუნველყოფა (ნიადაგის ზედაპირის კულტივაცია-გაფხვიერება, მორწყვა). განსაზღვრულია, რომ 600 მმ ნალექების ჯამები სავეგეტაციო პერიოდში კარგად უზრუნველყოფს კახეთის მთიანი რაიონების ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ზრდა-განვითარებას და პროდუქტიულობას. 600 მმ ატმოსფერული ნალექებით საგარეჯოს და ახმეტის რაიონები უზრუნველყოფილი იქნება 3-ჯერ, ყოველ ათ წელიწადში, ხოლო დედოფლისწყარო ერთხელ. ცხრილში 3.1.1 მოცემულია ატმოსფერული ნალექების უზრუნველყოფა (მმ) 10% და 90%-ით.

ცხრილი 3.1.1 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10% და 90%-ით უზრუნველყოფა

Table 3.1.1 10% and 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
საგარეჯო	152	208	200	144	98	124	149
დედოფლიწყარო	104	178	167	113	98	92	99

ახმეტა	152	119	200	128	115	108	132
90%-ით							
საგარეჯო	35	60	49	24	11	20	26
დედოფლიწყარო	21	48	39	15	11	11	12
ახმეტა	35	55	49	20	16	16	20

აქტიური ვეგეტაციის პერიოდში - ზაფხულში, განსაკუთრებით ივლის-აგვისტოს თვეებში ხშირია შემთხვევები, როცა სასოფლო-სამეურნეო კულტურები განიცდიან ნიადაგის ტენის ნაკლებობას. გამომდინარე აქედან, კულტურების გავრცელებისა და მოსავლის უდანაკარგოდ მიღებისათვის, ფერმერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (ივლის-აგვისტო), აღნიშნული ნალექების უზრუნველყოფები. რისთვისაც საჭიროა აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენება [6]. კახეთის მთიანი რაიონების აგროკლიმატური რესურსების შეფასებისათვის ცხრილში 3.1.2 მოყვანილია თბილ პერიოდში აგროკლიმატური მახასიათებლები.

ცხრილი 3.1.2 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში

Table 3.1.2 Main agroclimatic characteristics in the warm period

(IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
საგარეჯო	3420	550	68	1.6
დედოფლის-წყარო	3230	490	72	1.5
ახმეტა	3660	560	68	1.5

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, მოყვანილი აგროკლიმატური მახასიათებლები მაქსიმალურად და ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული კახეთის მთიანი რაიონების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხარისხიანი და უხვი მოსავლის მისაღებად. აღნიშნული მახასიათებლები ძირითადად ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

აგროკლიმატური ზონირება. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის რაცინალურად განლაგებას და მათ განვითარებას ძირითადად განსაზღვრავს აგროკლიმატური რესურსები. რაიონებში, მეურნეობების რენტაბელობისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურები განლაგებული იქნას აგროკლიმატური ფაქტორების მოთხოვნილების მიხედვით, ძირითადად სითბურ რეჟიმზე მათი დამოკიდებულების შესაბამისად. აგროკლიმატური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის (≥10°C) და ატმოსფერული ნალექების ჯამების მიხედვით, გამოყოფილია კახეთის რეგიონის მთიანი ტერიტორიის აგროკლიმატური ზონები [7, 8].

I - ზონა მოიცავს შედარებით მცირე ტერიტორიას. მდებარეობს ზღ.დონიდან 500-დან 900 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000°C-ზე მეტს. ატმოსფერული ნალექების ჯამი შეადგენს 650-750 მმ, თბილ პერიოდში - 550-650 მმ. ბოლო წაყინვები მოცემულ ზონაში დაიკვირვება საშუალოდ 6.IV-17.IV, პირველი წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ 23.X-30.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 222 დღეს. ზონის აგროკლიმატური პირობები ხელსაყრელია მემარცვლეობის (საშემოდგომო ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია) მევენახეობის (საადრეო ჯიშები), მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების, სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის.

II - ზონა მოიცავს კიდევ უფრო მცირე ტერიტორიას. ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 1000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000°C-ზე მეტია. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 750-950 მმ, ხოლო თბილ პერიოდში 650-700 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 9.IV-20.IV, პირველი წაყინვები 21.X-29.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 221-183 დღეს. მოცემული ზონის აგროკლიმატურ პირობებში, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის სიმცირის გამო, შესაძლებელია მხოლოდ მეხილეობის (საადრეო ჯიშები), მებოსტნეობის, მარცვლოვანებიდან შვრიის, ქერის წარმოება. აგრეთვე შესაძლებელია მეთამბაქოეობის, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების, სათიბ-საძოვრების განვითარება.

III - ზონა მოიცავს შედარებით დიდ ტერიტორიას. იგი 2000 მ სიმაღლემდე (ზღ. დონიდან). აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000°C-ზე ნაკლებია. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 800-1000 მმ შეადგენს.

ზონის თბილ პერიოდში ნალექების ჯამი 700 მმ-მდეა (ომალო), ხოლო ყვარელის და ლაგოდეხის ჩრდილოეთი 800 მმ და მეტი. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 14.V (ომალო), პირველი წაყინვები 5.X (ომალო). უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 143 დღეს (ომალო). მოცემულ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მაჩვენებლები აშკარად მცირეა, მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. თუმცა, ამ ზონაში შესაძლებელია ბოსტნეული კულტურების საკმაოდ მაღალი პროდუქტიულობა, ასევე მეცხოველეობის საკვები ძირხვენა კულტურების, სათიბ-საძოვრების განვითარება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. მცხეთა-მთიანეთის მთიანი რეგიონი ხასიათდება საკმაოდ რთული რელიეფური პირობებით. იგი მდებარეობს ზღ. დონიდან 2000 მ და მეტ სიმაღლემდე. აქ აწარმოებენ მარცვლეულს, ვაზს (800-1000 მ სიმაღლემდე), ხეხილოვანებს, ბოსტნეულ კულტურებს და სხვა. რეგიონში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული აგროკლიმატური რესურსების შეფასება და მათი ეფექტურად გამოყენება, გამოავლენს ზემოხსენებული კულტურების მოსავლის მეტ შესაძლებლობას. ცხრილში 3.1.3 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [2].

ცხრილი 3.1.3 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Table 3.1.3 Average air temperatures

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი, °C					
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ყაზბეგი	4.4	9.1	11.0	14.6	14.4	11.0	6.2
კობი	2.7	8.1	11.6	13.8	13.9	9.8	5.2
გუდაური	0.9	5.9	9.4	12.5	12.5	8.5	3.9
ქვეშეთი	5.9	11.4	14.6	17.6	17.4	13.2	8.3
წინხადუ	3.1	8.3	11.8	14.2	15.0	11.2	6.2
ფასანაური	7.9	11.5	15.6	18.6	18.2	14.4	9.2
დუშეთი	9.5	13.9	17.3	20.3	20.2	16.4	10.9
თიანეთი	7.5	12.4	15.7	18.6	18.2	14.3	9.1

სიონი	6.9	12.0	15.2	18.3	18.5	14.4	9.3

ცხრილის მიხედვით, ზაფხულში, აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII) ჰაერის საშუალო ტემპერატურის მახასიათებლები 1000 მ სიმაღლემდე დამაკმაყოფილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზი, ხეხილოვანი, მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა) გარანტირებული მოსავლის მისაღებად. მოცემული სიმაღლის ზევით (2200 მ და ცოტა მეტი) ჰაერის საშუალო ტემპერატურები აქტიური ვეგეტაციის პერიოდში შედარებით დაბალია. თუმცა, იგი აკმაყოფილებს მარცვლეული, ხილკენკროვანი, ბოსტნეული, კარტოფილის კულტურის ზრდა-განვითარების პირობებს. Aასევე, შესაძლებელია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სათიბ-საძოვრების განვითარება [55, 56].

სავეგეტაციო პერიოდში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიანი რაიონებისათვის ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრისათვის შედგენილია რეგრესიის განტოლებები:

დუშეთი $\sum T= -11.9n+3692$

თიანეთი $\sum T=-14.8n+2942$

ყაზბეგი $\sum T=-12.6n+2110$

განტოლებებში ∑T - ტემპერატურის ჯამია 10°C-ის ზევით თარიღის დადგომიდან, n - დღეთა რიცხვი 1 - მარტიდან დუშეთის და თიანეთის რაიონებისათვის, 1 - მაისიდან ყაზბეგის რაიონისათვის, ტემპერატურის 10°-ის ზევით გადასვლის თარიღამდე.

მაგალითისათვის, განვსაზღვროთ მოსალოდნელი ტემპერატურათა ჯამი დუშეთის მთიანი რაიონისათვის. დაუშვათ, ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით დადგომის თარიღი აღინიშნა 10 აპრილს. ამ შემთხვევაში დღეთა რიცხვი 1 მარტიდან 10 აპრილამდე იქნება - 41 დღე, რომელის ჩასმით შესაბამის განტოლებაში მივიღებთ:

$\sum T= -11.9\times41+3692$

ე.ი. სავეგეტაციო პერიოდისათვის ტემპერატურათა ჯამია 3204°C. მოცემულ შემთხვევაში, მიღებული ტემპერატურის ჯამი დუშეთის რაიონის საშუალო ტემპერატურის ჯამთან შედარებით 200°C-მდე მეტია. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარება სავეგეტაციო პერიოდში უკეთესად იქნება სითბოთი უზრუნველყოფილი.

რეგიონის ტერიტორიაზე 1000 მ სიმაღლეზე და ზევით ატმოსფერული ნალექები, სავეგეტაციო პერიოდში ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-

სამეურნეო კულტურების ნორმალურ განვითარებას. 2000 მ და ზევით იგი დამაკმაყოფილებელია მარცვლეული, ბოსტნეული და ხილ-კენკროვანი კულტურებისათვის. იმ ტერიტორიაზე, სადაც სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების ჯამი არ აღემატება 400-500 მმ და არათანაბრადაა განაწილებული, განსაკუთრებით მარცვლეული, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები გარანტირებული მოსავლის შენარჩუნებისათვის საჭიროებენ ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას. ცხრილში 3.1.4 მოცემულია მთიანი რაიონების ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ).

ცხრილი 3.1.4 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Table 3.1.4 Sums of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი					
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ყაზბეგი	73	105	99	87	85	68	51
კობი	101	139	135	122	98	91	77
გუდაური	142	192	171	139	118	106	105
ქვეშეთი	117	158	141	114	97	87	86
წინხადუ	118	158	141	114	97	88	86
ფასანაური	94	136	128	97	79	73	64
დუშეთი	71	114	98	59	49	47	53
თიანეთი	80	127	113	79	62	66	58
სიონი	71	112	99	69	55	58	51

დუშეთის რაიონი 600 მმ ატმოსფერული ნალექებით უზრუნველყოფილია 2-ჯერ ყოველ ათ წელში, ყაზბეგის და თიანეთის რაიონები 5-ჯერ. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის ყაზბეგში და თიანეთში სასურველია ნიადაგის მორწყვა 1-2-ჯერ, ხოლო დუშეთში და 3-4-ჯერ.

მოცემული რეგიონის მთიანი ტერიტორიისათვის, რაიონების მიხედვით მოცემულია თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10% და 90%-ით უზრუნველყოფები. რაც, ასახავს ტერიტორიაზე წლის განმავლობაში და სეზონურად, თუ რამდენი მილიმეტრითაა ნალექები უზრუნველყოფილი ამა თუ იმ რაოდენობით (ცხრილი 3.1.5).

ცხრილი 3.1.5 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10% და 90%-ით უზრუნველყოფა
Table 3.1.5 10% and 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
დუშეთი	112	203	168	108	98	101	112
ყაზბეგი	122	161	150	134	150	122	107
თიანეთი	121	200	192	138	126	122	108
90%-ით							
დუშეთი	33	44	38	16	4	18	10
ყაზბეგი	33	52	50	43	29	26	10
თიანეთი	38	52	40	30	15	20	13

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ ატმოსფერული ნალექებით სავეგეტაციო პერიოდში შედარებით უკეთ არის უზრუნველყოფილი ყაზბეგის და თიანეთის რაიონები, დუშეთის რაიონი - მაის-ივნისში. აქტიური ვეგეტაციის პერიოდში ნალექები ყველა რაიონში მცირდება. ამიტომ ნიადაგში ტენი აღდგენილი უნდა იქნას მორწყვით (2-3-ჯერ), წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოსავლის შემცირება. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიანი რაიონებისათვის გამოთვლილია [2] ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები (ცხრილი 3.1.6).

ცხრილი 3.1.6 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.6 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
დუშეთი	3050	500	70	1.6

წინხადუ	1570	800	-	5.0
ქვეშეთი	2280	800	73	3.5
ფასანაური	2570	670	73	2.6
გუდაური	1140	970	75	8.5
ყაზბეგი	1520	570	71	3.7
კობი	1370	760	72	5.5
თიანეთი	2560	580	76	2.2
სიონი	2490	520	77	2.1

ცხრილში მოცემული აგროკლიმატური მახასიათებლების პირობებში 1000 მ სიმაღლეზე და ცოტა ზევით, შესაძლებელია მარცვლეულის, ბოსტნეულის და ხეხილოვანების საკმაოდ მაღალი მოსავლის მიღება. 2000 მ სიმაღლემდე და ზევით სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის (კენკროვანები, მეცხოველეობის საკვები ძირხვენები) ნიადაგი საკმაოდ უზრუნველყოფილია საჭირო წყლის ბალანსით და ჰთკ შეადგენს 3.5-5.5 და მეტს. ამ უკანასკნელზე მეტი ჰთკ-ის მაჩვენებელი შეიძლება არახელსაყრელი აღმოჩნდეს მცენარეების პროდუქტიულობისათვის.

აგროკლიმატური ზონირება. მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვის ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით და ატმოსფერული ნალექების ჯამის (თბილ პერიოდში) საფუძველზე, გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები [7].

I - ზონაში ტემპერატურის ჯამი 4000°-დან 3000°C-მდეა. იგი მდებარეობს ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე. ტემპერატურის ჯამი 10°C-ის ზევით ზონის სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება და 1000 მ სიმაღლეზე აღწევს 3000°C და მეტს. აღნიშნულ ზონაში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ცივ პერიოდში (XI-III) საშუალოდ 120-180 მმ შეადგენს, თბილ პერიოდში (IV-X) - 390-500 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ 13.IV - 23.IV, ზღ.დონიდან 500-1000 მ სიმაღლეებზე, შესაბამისად. პირველი წაყინვები აღინიშნება იგივე სიმაღლეების მიხედვით 27.X-დან 3.XI-მდე. ზონაში წარმატებით შეიძლება განვითარდეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ვაზის (საადრეო, საშუალო სიმწიფის და საგვიანო ჯიშების) ხეხილოვანი და სხვა კულტურების წარმოება. სავეგეტაციო პერიოდში (IV-X), ატმოსფერული ნალექებით ზონა არ არის უზრუნველყოფილი, ამიტომ აღნიშნული კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მისაღებად, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII), საჭიროა ძირითადად ერთწლიანი კულტურების მორწყვა

(2-3-ჯერ), ნიადაგის გაფხვიერება. გახანგრძლივებული გვალვებისას აღნიშნული ღონიძიებების ჩატარების ინტენსიობა უნდა გაიზარდოს 1-2-ჯერ. ამავე რაოდენობით იქნება საჭირო მრავალწლიური კულტურების მორწყვა.

II - ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 1200 მ სიმაღლემდე. ტემპერატურათა ჯამი 10°C-ის ზევით შეადგენს 3000°-დან 2000°C-მდე და ცოტა მეტს. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში საშუალოდ შეადგენს 150-300 მმ, თბილ პერიოდში - 400-700 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა აღინიშნება საშუალოდ 13.IV-23.IV, 550-1200 მ სიმაღლემდე, შესაბამისად. პირველი წაყინვები ზონაში მოსალოდნელია საშუალოდ 22.X-დან 3.XI-მდე, იგივე სიმაღლეებზე, შესაბამისად. ზონაში შეიძლება მარცვლეული, ვაზი (საადრეო საშუალო სიმწიფის ჯიში), ბოსტნეული კულტურების წარმოება. ამ ზონაში ცალკეულ წლებში, განსაკუთრებით VI-VIII თვეებში სასურველია ნიადაგის მორწყვა (1-2-ჯერ) ან გაფხვიერება.

III - ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 1000-1800 მ სიმაღლემდე, ტემპერატურათა ჯამი 10°C-ის ზევით შეადგენს 2000°-დან 1000°C-მდე. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში საშუალოდ შეადგენს 400-500 მმ, თბილ პერიოდში 600-800 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა მოსალოდნელია საშუალოდ 28.IV-დან 12.V-მდე, ზღ.დონიდან სიმაღლის მატების შესაბამისად. პირველი წაყინვები აღინიშნება საშუალოდ 15.X-დან 3.X–მდე. ზონაში რამდენადმე შეზღუდულია კონტინენტალური ხეხილოვანების წარმოება, მაგრამ საადრეო ჯიშების გაშენება ხელსაყრელია. აქ შესაძლებელია ქერის, ჭვავის, შვრიის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სურნელოვან-არომატული კულტურების წარმოების განვითარება. ზონა ასევე, ხელსაყრელია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის.

IV - ზონა მდებარეობს 1200 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე და ცოტა მაღლა ზღ.დონიდან. ტემპერატურის ჯამი 10°C-ის ზევით 1000°C-ზე ნაკლებია. ატმოსფერული ნალექები ცივ პერიოდში შეადგენს 300-500 მმ, თბილ პერიოდში - 800-1000 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა მოსალოდნელია 28.IV-დან 9.VI-მდე. პირველი წაყინვები მოსალოდნელია 3.X-დან 21.X-მდე, გუდაურში 11.IX. ზონაში შეიძლება კარტოფილის, ბოსტნეულის, ყვავილოვანი და საადრეო კომბოსტოს წარმოება. Aასევე, შესაძლებელია კენკროვანების (შავი მოცხარი, ქაცვი, არონია), მეცხოველეობის საკვები ძირხვენების წარმოება და სათიბ-საძოვრების განვითარება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. სამცხე-ჯავახეთის მთიანი რეგიონი ზღ.დონიდან მდებარეობს დაახლებით 800-დან 2200 მ და მეტ სიმაღლემდე (გადადის სუბალპურ ზონაში). მისი აგროკლიმატური პირობები 800-დან 1300 მ

სიმაღლემდე ხელს უწყობს მარცვლეულის, ხეხილოვანების, ბოსტნეულის, საადრეო ვაზის ჯიშის და სხვა კულტურების განვითარებას. მაღალმთიან პირობებში (1400-2000 მ და მეტ სიმაღლეზე) მათი წარმოება ძალზე შეზღუდულია, ტემპერატურის ჯამზე მოთხოვნილების ნაკლებობის გამო. აღნიშნულ პირობებში დამაკმაყოფილბლად ვითარდება ნაკლებად სითბოსმოყვარული კულტურები: საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შვრია, კომბოსტო, კარტოფილი, ზოგიერთი ბოსტნეული კულტურა, ხილ-კენკროვანები. ცხრილში 3.1.7 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [2, 9, 10].

ცხრილი 3.1.7 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Table 3.1.7 Average air temperatures

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი, °C					
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
აბასთუმანი	6.0	11.0	14.1	17.2	17.1	13.1	7.7
ადიგენი	7.6	12.5	15.8	18.7	19.0	15.0	9.8
ახალციხე	9.2	13.8	17.0	20.3	20.1	16.0	9.9
ასპინძა	9.2	13.7	16.9	20.0	19.8	15.7	9.9
ბორჯომი	8.7	13.5	16.9	20.0	19.9	15.7	10.0
ბაკურიანი	4.1	8.9	12.0	14.7	14.5	10.7	5.8
ახალქალაქი	5.0	9.8	12.7	15.7	15.8	12.0	6.7
ეფემოვკა	0.9	7.2	10.0	13.1	13.3	9.6	4.6
ნინოწმინდა	4.9	10.1	13.2	16.1	15.9	12.2	7.7

რეგიონის მთიან და მაღალმთიან პირობებში აღნიშნული ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურები თბილ პერიოდში, ნიადაგის სათანადო ტენიანობისას არ არის მცენარეთა (მარცვლეულის, ბოსტნეულის, ვაზის (საადრეო, 1200 მ სიმაღლემდე), ხეხილოვანების (1300-1400 მ სიმაღლემდე), კენკროვანების, კარტოფილის, მეცხოველეობის ძირხვენების) ვეგეტაციის შემაფერხებელი.

სამცხე-ჯავახეთის მთიან და მაღალმთიან რაიონებში სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფის შეფასებისათვის, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლის

ფორმირებისათვის, მოცემული რეგრესიის განტოლებებით განისაზღვრება სავეგეტაციო პერიოდისათვის საპროგნოზო ტემპერატურის ჯამი.

ადიგენი $\sum T=-12.4n+3010$,

ახალციხე $\sum T=-10.7n+3244$,

აბასთუმანი $\sum T=-9.8n+2582$,

ახალქალაქი $\sum T=-11.7n+1984$,

ნინოწმინდა $\sum T=-8.6n+1372$,

განტოლებებში $\sum T$ - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 აპრილიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე იმ რაიონებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ზღ.დონიდან 800-1300 მ სიმაღლემდე, ხოლო 1 მაისიდან 2000 მ-მდე და ზევით მდებარე რაიონებისათვის (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში). ცხრილში 3.1.8 მოყვანილია სამცხე-ჯავახეთის მთიან და მაღალმთიან ზონებში ატმოსფერული ნალექების განაწილების ხასიათი თბილ პერიოდში, რაიონების მიხედვით.

ცხრილი 3.1.8 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Table 3.1.8 Sums of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი					
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
აბასთუმანი	6.0	11.0	14.1	17.2	17.1	13.1	7.7
ადიგენი	7.6	12.5	15.8	18.7	19.0	15.0	9.8
ახალციხე	9.2	13.8	17.0	20.3	20.1	16.0	9.9
ასპინძა	9.2	13.7	16.9	20.0	19.8	15.7	9.9
ბორჯომი	8.7	13.5	16.9	20.0	19.9	15.7	10.0
ბაკურიანი	4.1	8.9	12.0	14.7	14.5	10.7	5.8
ახალქალაქი	5.0	9.8	12.7	15.7	15.8	12.0	6.7

ეფემოვკა	0.9	7.2	10.0	13.1	13.3	9.6	4.6
ნინოწმინდა	4.9	10.1	13.2	16.1	15.9	12.2	7.7

ზაფხულის აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VII-VIII) ატმოსფერული ნალექები მაღალმთიან ზონაში, მთიან ზონასთან შედარებით მეტია. ამიტომ, მოცემულ პერიოდში მოსავლის შენარჩუნებისათვის ზოგჯერ საჭიროა ნიადაგის მორწყვა 2-3-ჯერ, სადაც ეს შესაძლებელია. იმავე პერიოდში, სასურველია მორწყვა (1-2-ჯერ) მაღალმთიან ზონაშიც. ცხრილში 3.1.9 მოცემულია რეგიონის მთიანი ტერიტორიისათვის, რაიონების მიხედვით თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.9 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა
Table 3.1.9 10% and 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
აბასთუმანი	82	140	155	124	95	91	98
ადიგენი	67	109	127	108	95	76	81
ახალციხე	82	109	127	93	95	76	98
ასპინძა	67	124	127	108	95	76	81
ბორჯომი	98	124	142	108	95	91	114
ბაკურიანი	144	184	183	140	123	106	130
ახალქალაქი	98	176	142	124	95	91	81
ეფრემოვკა	113	140	176	140	112	137	98
90%-ით							
აბასთუმანი	19	42	48	25	13	16	13
ადიგენი	15	32	36	20	13	12	9
ახალციხე	19	32	36	16	13	12	13

ასპინძა	15	37	36	20	13	12	9
ბორჯომი	23	37	42	20	13	16	17
ბაკურიანი	27	59	59	29	22	20	22
ახალქალაქი	23	42	42	25	13	12	9
ეფრემოვკა	28	42	53	29	18	16	13

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის მთიან და მაღალმთიან რაიონებში, მაის-ივნისის თვეებში, განსაკუთრებით ერთწლიანი კულტურები არ საჭიროებენ დამატებით წყლის მიწოდებას, ხოლო ივლის-აგვისტოს თვეებში გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის, საჭიროა 1-2-ჯერ მორწყვითი ღონისძიებების ჩატარება. ცხრილში 3.1.10 მოყვანილი ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლები აკმაყოფილებს სამცხე-ჯავახეთის მთიან და მაღალმთიან რაიონებში, ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას, როგორიცაა მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი და ზოგიერთი ხილ-კენკროვანი კულტურა.

ცხრილი 3.1.10 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.10 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
ახალციხე	3030	360	66	1.2
ადიგენი	2640	360	66	1.3
ახალქალაქი	1980	400	71	2.0
ბაკურიანი	1400	570	77	4.0
აბასთუმანი	2130	440	74	2.0
ასპინძა	3000	350	64	1.1
ბორჯომი	2670	420	76	1.5

ეფრემოვკა	1190	450	75	3.7

აგროკლიმატური ზონირება. I - ზონა მდებარეობს 800 მ-დან 1000 მ სიმაღლემდე, ზღ.დონიდან. ტემპერატურის ჯამი 10°C-ის ზევით შეადგენს 3000°C და მეტს. მრავალწლიური ატმოსფერული ნალექების ჯამი საშუალოდ შეადგენს 500-550 მმ, თბილ პერიოდში - 400-500 მმ. ბოლო წაყინვები საშუალოდ დაიკვირვება 20.IV-23.IV, პირველი წაყინვები - 18.X-20.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 179-187 დღეს. ზონაში შეიძლება მარცვლეულის, ვაზის (საადრეო და საშუალო სიმწიფის ჯიშები), ხეხილოვანების, კენკროვანების, ბოსტნეულის, სუფრის ჭარხლის, სურნელოვან არომატულის (უცხო სუნელი, ცერეცო, ქინძი, ქონდარი), კარტოფილის, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სხვა კულტურების წარმოება [7].

II - ზონა ზღ.დონიდან მდებარეობს 900 მ-დან 1300 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000°C და მეტს. ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ) საშუალოდ - 500-600 მმ, თბილ პერიოდში - 450-550 მმ. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 176-180 დღეა. ბოლო წაყინვები საშუალოდ დაიკვირვება 20.IV-24.IV. ზონაში შეიძლება მარცვლეულის, ვაზის (საადრეო), ხილ-კენკროვანების, ბოსტნეულის (თითქმის ყველა სახეობის), მეცხოველეობის საკვები ძირხვენების წარმოება.

III - ზონა საკმაოდ ვრცელია და მდებარეობს ზღ.დონიდან 1400-2000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 1000°C და მეტს. ატმოსფერული ნალექების საშუალო მრავალწლიური შეადგენს 550-650 მმ, თბილ პერიოდში - 500-600 მმ. ბოლო წაყინვები საშუალოდ დაიკვირვება 1.V-17.V, პირველი წაყინვები 14.X-3.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 165-137 დღეს. ზონაში ტემპერატურის ჯამი შემცირებულია და შეადგენს 1000°C და მეტს. ტემპერატურის (მალიმიტირებელი ფაქტორის) ასეთ პირობებში ზოგიერთი მრავალწლიანი კულტურის წარმოება შეზღუდულია. შესაძლებელია, მხოლოდ საადრეო ხეხილოვანების, კენკროვანების, მარცვლეულის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების განვითარება.

IV - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 2100-2200 მ სიმაღლეზე. აქტიური ტემპერატურის ჯამი საგრძნობლად შემცირებულია და შეადგენს 1000°C ნაკლებს. ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ჯამია 600-700 მმ, თბილ პერიოდში - 550-650 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 20.V-22.V, პირველი წაყინვები - 29.IX-1.X. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი შეადგენს 132-128 დღეს. ზონაში აქტიური ტემპერატურის სიმცირის გამო, მარცვლეული კულტურებიდან შეიძლება მხოლოდ ქერის, შვრიის, ხორბლის (საადრეო ჯიში), ბოსტნეულის, კარტოფილის, სუფრის ჭარხლის, ყვავილოვანი კომბოსტოს,

კომბოსტოს (საადრეო), მეცხოველეობის საკვები ძირხვენების წარმოება, აგრეთვე სათიბ-საძოვრების განვითარება.

ქვემო ქართლის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. ქვემო ქართლის რეგიონი ნაწილობრივ მთიან პირობებში იმყოფება, ზღვის დონიდან 1400 მ და მეტ სიმაღლემდე.

მის ტერიტორიაზე აწარმოებენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს - მარცვლეულს, ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ვაზს, ხეხილოვანებს, ეთერზეთოვან ტექნიკურ, მშრალ სუბტროპიკულ და სხვ. ნახაზზე 3.1.3 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [2].







ნახ. 3.1.3 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Fig. 3.1.3 Average air temperatures

ჰაერის საშუალო ტემპერატურის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება ზაფხულის აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (ივნის-აგვისტოში). მოცემული აქტიური ვეგატაციის პერიოდში, აღნიშნული ჰაერის საშუალო ტემპერატურები ხელშემწყობია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ვაზის, ხეხილოვანების და სხვა კულტურებისათვის, ნიადაგის ტენით უზრუნველყოფის შემთხვევაში.
რეგიონის რაიონებისათვის სავეგეტაციო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კულტურების სითბოს უზრუნველყოფის განსაზღვრის მიზნით, შედგენილია რეგრესიის განტოლებები:

დმანისი $\sum T=-16.7n+3018$,

წალკა $\sum T=-8.9n+2325$,

განტოლებებში $\sum T$ - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 მარტიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე, რაიონებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე, ხოლო 1 აპრილიდან 1500 მ-მდე და ცოტა ზევით მდებარე რაიონებისათვის (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სითბოთი

უზრუნველყოფის ქვეთავში). ნახაზზე 3.1.4 მოცემულია ქვემო ქართლის მთიან რაიონებში ატმოსფერული ნალექების განაწილება თბილ პერიოდში.







ნახ. 3.1.4 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Fig. 3.1.4 Sums of atmospheric precipitation (mm)

გაზაფხულზე ატმოსფერული ნალექები მატულობს, ხოლო ზაფხულის პერიოდში შედარებით მცირდება 1000 მ სიმაღლემდე. ნალექების შემცირებამ ზაფხულის აქტიური ვეგეტაციის პერიოდში, შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობაზე, განსაკუთრებით ერთწლიანებზე (მარცვლეული, ბოსტნეული, ბაღჩეული). ამიტომ აღნიშნულ პერიოდში კულტურები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ნიადაგის სათანადო ტენით (ნიადაგის კულტივაცია გაფხვიერება, მორწყვა 1-2-ჯერ). ცხრილში 3.1.11 მოცემულია რეგიონის მთიანი რაიონების თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.11 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა
Table 3.1.11 10% and 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
დმანისი	118	208	182	125	124	107	102
თეთრიწყარო	144	184	170	108	95	106	130
წალკა	113	199	170	124	112	121	98
90%-ით							
დმანისი	33	46	60	22	12	29	14

თეთრიწყარო	37	59	53	20	13	20	22
წალკა	28	64	53	25	18	25	13

რეგიონში 10%-ით აღნიშნული ნალექების რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით ზაფხულის აქტიური ვეგეტაციის პერიოდში, როცა ჰაერის ტემპერატურა მაღალია. რაც შეეხება 90%-ით ატმოსფერული ნალექებით უზრუნველყოფას მცირდება, განსაკუთრებით VII-VIII თვეებში. გამომდინარე აქედან, ფერმერულ და კერძო მიწათმოქმედთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები უნდა იყოს ნიადაგის ტენით უზრუნველყოფილი, რათა შენარჩუნებული იქნას მოსავალი. ცხრილში 3.1.12 მოყვანილია ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლები ქვემო ქართლის მთიანი რაიონებისათვის.

ცხრილი 3.1.12 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)

Table 3.1.12 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
დმანისი	2470	550	74	2.2
თეთრიწყარო	3230	560	69	1.7
წალკა	1920	560	74	2.9

ცხრილში მოცემული აგროკლიმატური მახასიათებლები, ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე რამდენადმე დამაკმაყოფილებელია ფერმერულ მეურნეობებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. მხოლოდ ვაზის კულტურის (საგვიანო ჯიში) წარმოებაა შეზღუდული, საჭირო ტემპერატურათა ჯამის ნაკლებობის გამო (თეთრიწყარო, დმანისი, წალკა). აღნიშნულ სიმაღლემდე ჰთკ ვერ უზრუნველყოფს კულტურების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამიტომ, იქმნება ნიადაგის ტენით უზრუნველყოფის საჭიროება გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის რაიონებში.

აგროკლიმატური ზონირება. I - მთიანი ზონა ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე მდებარეობს. ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000°C და მეტია. ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ჯამი 500-600 მმ შეადგენს. ბოლო

წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ 1.IV-5.IV, პირველი წაყინვები - 3.XI-13.XI. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 215-224 დღეს. აღნიშნულ ზონაში 800-900 მ სიმაღლემდე შესაძლებელია ვაზის ყველა ჯიშის, აგრეთვე ხეხილოვანების, მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების წარმოება. სასოფლო-სამეურნეო კულტურები საჭიროებენ 1-2-ჯერ მორწყვას, ცალკეულ შემთხვევებში 3-ჯერ, მაღალი მოსავლის შენარჩუნების მიზნით [7, 57].

II - ზონა მდებარეობს ზღვის დონიდან 1100-1400 მ სიმაღლემდე. მოცემულ ზონაში ტემპერატურის ჯამი 2000°C და მეტია. მრავალწლიური ატმოსფერული ნალექები შეადგენს 600-700 მმ, თბილ პერიოდში - 500-600 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 15.IV-20.IV, პირველი წაყინვები - 22.X-1.XI, უყინვო პერიოდი 199-184 დღეა. ზონაში არსებული ტემპერატურის ჯამი არ იძლევა ზოგიერთი მრავალწლიანი, სითბოსმოყვარული კულტურების (ატამი, გარგარი და სხვა) ნორმალური ზრდა-განვითარების შესაძლებლობას. ზონა ხელსაყრელია მარცვლეული, ზოგიერთი კონტინენტალური ხეხილოვანი, ბოსტნეული კულტურების და სათიბ-საძოვრებისათვის.

III - ზონა 1200-დან 1500 მ სიმაღლმდე ვრცელდება. ზონაში ტემპერატურის ჯამი მცირეა (1000°C). ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ჯამი წალკის რაიონისაკენ შედარებით მცირეა - 600-650 მმ. თბილ პერიოდში ნალექები 550-600 მმ-მდეა. ბოლო წაყინვები საშუალოდ დაიკვირვება 20.IV-2.V, პირველი წაყინვები 10.X-22.X. უყინვო პერიოდი 174-162 დღეა. მოცემულ ზონაში შესაძლებელია მარცვლეულის (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია), ზოგიერთი საადრეო ხეხილოვანების და მებოსტნეობის წარმოება. პერსპექტიულია მეცხოველეობის საკვები ძირხვენოვანი კულტურების წარმოება და სათიბ-საძოვრების განვითარება.

IV - ზონა ზღ.დონიდან მდებარეობს 1500-2000 მ და მეტ სიმაღლემდე. ტემპერატურის ჯამი აშკარად მცირეა, 1000°C-ზე ნაკლები. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 800-850 მმ (დმანისი), ხოლო წალკის რაიონის ტერიტორიისკენ მცირდება და შეადგენს 600-700 მმ. თბილ პერიოდში 500-700 მმ აღწევს. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 3.V-13.V, პირველი წაყინვები - 3.X-12.X. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვია 160-137 დღე. ზონაში არსებული ტემპერატურათა ჯამის სიმცირის გამო ფერმერულ მეურნეობებში მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების წარმოება არარენტაბელურია. აღნიშნულ ზონაში პერსპექტიულია ზოგიერთი ბოსტნეული კულტურის მაღალი მოსავლის მიღება. Aასევე, შესაძლებელია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების წარმოება და სათიბ-საძოვრების განვითარება.

შიდა ქართლის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. შიდა ქართლის რეგიონის მთიანი ტერიტორია მდებარეობს ზღ.დონიდან 2000 მ და მეტ სიმაღლემდე. მოცემულ რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ამაღლებისა და აგროფერმერული მეურნეობების რენტაბელობისათვის, საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული აგროკლიმატური რესურსების შეფასება და მათი ეფექტურად გამოყენება, რაც არსებითად გაზრდის მარცვლეული, ხეხილოვანი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოებას [2, 11]. ცხრილში 3.1.13 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში.

ცხრილი 3.1.13 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Table 3.1.13 Average air temperatures

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი, °C						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ახალგორი	9.5	14.2	17.6	20.5	20.2	16.4	10.8
ერმანი	1.0	5.9	9.3	12.5	12.1	8.3	3.5
როკა	2.0	7.7	11.0	13.8	13.7	10.0	5.7
ცხინვალი	8.7	13.9	17.3	12.3	20.5	16.3	11.1
ჯავა	7.8	12.3	15.4	18.4	18.3	14.4	9.0

ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაზაფხულზე მატულობს 1000 მ სიმაღლემდე. აქ ნიადაგის სათანადო ტენიანობისას, შესაძლებელია კარტოფილის და კენკროვანი კულტურების წარმოება, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სათიბ-საძოვრების განვითარება. სასოფლო-სამეურნეო კულტურები - ვაზი, ტექნიკური ეთერზეთოვანი და სხვა, ვეგეტაციას იწყებენ ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით თარიღის დადგომიდან. აღნიშნულ ტემპერატურაზე შესაძლებელია ზოგიერთი ბოსტნეული კულტურის ჩითილების გადარგვა ღია გრუნტში. შიდა ქართლის მთიანი რაიონებისათვის, პრაქტიკული გამოყენების მიზნით, შედგენილია რეგრესიის განტოლებები:

ახალგორი $\sum T=-12.4n+3682$

ერმანი $\sum T=-8.9n+1359$

ცხინვალი $\sum T=-12.4n+3682$

ჯავა $\sum T=-14.9n+2945$

განტოლებებში ∑T - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 მარტიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე, იმ რაიონებისათვის, რომლებიც ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდეა, 1 აპრილიდან 2000 მ სიმაღლემდე, ხოლო 1 მაისიდან - 2400 მ-მდე (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში). მოცემული წლის სავეგეტაციო პერიოდში, ტემპერატურის ჯამმა შეიძლება საშუალო სიდიდიდან გადაიხაროს ±400-500°C-ით და მეტით. დადებითი ანომალიისას (საშუალოზე მეტი ტემპერატურა), მცენარეები უკეთ იქნებიან უზრუნველყოფილი სითბოთი, რაც გაზრდის მათ პროდუქტიულობას, ჰაერის და ნიადაგის ტენიანობის შესაბამისი რაოდენობის შემთხვევაში. უარყოფითი ანომალური პირობებისას ადგილი ექნება საპირისპირო შემთხვევას. ცხრილში 3.1.14 მოყვანილია შიდა ქართლის მთიან რაიონებში ატმოსფერული ნალექების განაწილება თბილ პერიოდში [12].

ცხრილი 3.1.14 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Table 3.1.14 Sums of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ახალგორი	58	77	88	50	42	52	59
ერმანი	104	139	124	100	/86	77	76
როკა	96	128	110	83	70	86	99
ცხინვალი	53	72	61	46	39	48	55
ჯავა	86	115	99	74	63	77	89

ცხრილის ანალიზის მიხედვით, ნალექების ჯამი ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე ნაკლებია, ვიდრე აღნიშნული სიმაღლის ზევით, 2000 მ და ცოტა მაღლა. გაზაფხულიდან მატულობს და მაქსიმუმს აღწევს ივლისის დასაწყისამდე, ივლის-აგვისტოში იკლებს. ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII), როცა ჰაერის ტემპერატურა მაღალია, ნალექები ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფს მცენარეების ნორმალურ ზრდა-განვითარებას და დამაკმაყოფილებელ პროდუქტიულობას, განსაკუთრებით ერთწლიანი - მარცვლეული, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შემთხვევაში. ამიტომ, საჭირო ხდება ნიადაგის ტენით უზრუნველყოფა (მორწყვა 2-3-ჯერ, კულტივაცია). 1000 მ სიმაღლის ზევით ნალექები რამდენადმე დამაკმაყოფილებელია მაისიდან აგვისტოს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. ცალკეულ წლებში საჭირო იქნება აღნიშნული

აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. ცხრილში 3.1.15 მოცემულია რეგიონის მთიანი რაიონების თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.15 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა
Table 3.1.15 10% and 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ახალგორი	110	152	138	106	89	92	105
ცხინვალი	93	120	104	89	87	88	116
ჯავა	144	176	194	139	146	128	177
90%-ით							
ახალგორი	26	36	29	14	15	14	19
ცხინვალი	17	29	21	8	5	14	12
ჯავა	27	58	35	22	18	25	30

ცხრილიდან გამომდინარე, ფერმერულ და კერძო მიწათმოქმედთა მეურნეობებში, განსაკუთრებით ზაფხულში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალური პროდუქტიულობისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგში ტენის უზრუნველყოფას. ცხრილში 3.1.16 მოყვანილია ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლები შიდა ქართლის მთიანი რაიონებისათვის.

ცხრილი 3.1.16 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.16 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ

ახალგორი	3500	400	71	1.1
ერმანი	890	700	71	7.8
როკა	1210	670	76	5.5
ცხინვალი	3040	370	67	1.2
ჯავა	2490	600	72	2.4

ცხრილში მოყვანილი მახასიათებლები კონტინენტალური კლიმატური ზონისათვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული პირობებში დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება 1400-1500 მ სიმაღლემდე. მოცემული სიმაღლეების ზევით შესაძლებელია შედარებით ნაკლებად სითბოსმოყვარული კულტურების განვითარება. 900-1000 მ სიმაღლემდე ჰთკ შედარებით დამაკმაყოფილებელია მარცვლეული, ვაზის, კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურებისათვის. გარანტირებული მოსავლის მისაღებად სასურველია ჰთკ იყოს 1.5-1.8, რომელიც მცენარეებს შეუქმნის ნორმლური განვითარების პირობებს. ამიტომ, ნიადაგში უნდა გაიზარდოს ტენის მარაგი.

აგროკლიმატური ზონირება. I - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 900-1100 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000°-დან 2000°C-მდეა. ატმოსფერული ნალექების ჯამი შეადგენს საშუალოდ 600-900 მმ, თბილ პერიოდში - 450-550 მმ. ბოლო წაყინვები მოსალოდნელია საშუალოდ 17.IV-22.IV აღნიშნულ სიმაღლეებზე, შესაბამისად. პირველი წაყინვები მოსალოდნელია 22.X-19.X, უყინვო პერიოდი შეადგენს 195-188 დღეს, იმავე სიმაღლეებზე. მოცემულ ზონაში შეიძლება წარმატებით განვითარდეს მარცვლეული, ხეხილოვანი, ბოსტნეული, ვაზის საშუალო და საადრეო მწიფადი ჯიშები და სხვა კულტურები. ხსენებული კულტურების გარანტირებული მოსავლისათვის, სასურველია 1-2-ჯერ ნიადაგის მორწყვა [7, 13].

II - ზონა ვრცელდება ზღ.დონიდან 1100-1300 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-1000°C. მრავალწლიური ატმოსფერული ნალექების ჯამია 650-970 მმ, თბილ პერიოდში 500-650 მმ. ბოლო წაყინვები აღინიშნება საშუალოდ 18.IV- 28.IV მითითებული სიმაღლეების შესაბამისად. პირველი წაყინვები მოსალოდნელია 21.X-15.X, უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი შეადგენს 194-179 დღეს. ზონაში შესაძლებელია ზოგიერთი კონტინენტალური საადრეო ჯიშის ხეხილოვანების და კენკროვანების გავრცელება. ნორმალურად შეიძლება განვითარდეს ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, ბოსტნეული, კარტოფილი, სურნელოვან არომატული კულტურები. ხელსაყრელი პირობებია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სათიბ-

სამოვრების განვითარებისათვის. გვალვების შემთხვევაში სასურველია ნიადაგის მორწყვა 1-2-ჯერ.

III - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 1400-2000 მ და ცოტა მეტ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აშკარად შემცირებულია და შეადგენს 1000°C-ზე ნაკლებს, ატმოსფერული ნალექები შეადგენს 950-1100 მმ, თბილ პერიოდში - 600-700 მმ. ბოლო წაყინვები ძალზე გვიან წყდება 1.V-16.V, აღნიშნული სიმაღლეების შესაბამისად. პირველი წაყინვები საშუალოდ მოსალოდნელია 13.X-2.X. ზონა ხელსაყრელია კენკროვანი კულტურების განვითარებისათვის, ასევე შეიძლება საადრეო კარტოფილის, კომბოსტოს, ყვავილოვანი კომბოსტოს და სხვა ბოსტნეული კულტურების წარმოება. ზონაში ხელსაყრელი პირობებია სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის. ნიადაგის მორწყვა საჭიროა, მხოლოდ გვალვების შემთხვევაში.

აჭარის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. აჭარის მთიანი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ რთული რელიეფითაა წარმოდგენილი - საშუალო და მაღალი მთებით. საშუალო მთიანი ზონა 1000 მ სიმაღლემდეა, მაღალმთიანი 2000 მ და მეტ სიმაღლემდე. მთებსა და მთისწინებს უკავია 77.1%. იგი ზომიერ და კონტინენტალურ კლიმატურ პირობებშია. ამიტომ, აქ აგროკულტურების სხვადასხვა დარგია განვითარებული. კერძოდ, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მესიმინდეობა, ტექნიკური კულტურებიდან - მეთამბაქოეობა, ტუნგის წარმოება და სხვა. აჭარის მთიან ტერიტორიაზე, როგორც საკმაოდ რთულ რელიეფურ პირობებში მყოფი რეგიონისათვის, საჭიროა აგროკლიმატური რესურსების ეფქტურად გამოყენება ზემოღნიშნული კულტურების რაციონალურად განლაგებისა და ფერმერული მეურნეობების რენტაბელობისათვის [14]. ნახაზზე 3.1.5 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში.



ნახ. 3.1.5 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Fig. 3.1.5 Average air temperatures

აჭარის რეგიონში ჰაერის ტემპერატურის რეჟიმს ძირითადად განსაზღვრავს შავი ზღვის გავლენა, ოროგრაფიული თავისებურება, ატმოსფეროს ცირკულაცია და სხვა. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ტემპერატურა იცვლება 1000 მეტრამდე, რაც ახასიათებს ზომიერ კლიმატურ პირობებს. ხოლო 1000 მეტრის ზევით ტემპერატურა კონტინენტალური ტიპის კლიმატის დამახასიათებელია.

აჭარის მთიან ტერიტორიაზე, აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფილის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას სითბოთი უზრუნველყოფის საპროგნოზო რეგრესიის განტოლება:

ხულო $\sum T=-12.7n+3748$

განტოლებებში $\sum T$ - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია დღეღამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 - თებერვლიდან ტემპერატურის 10°-ის ზევით გადასვლის თარიღამდე.

სავეგეტაციო პერიოდში მოცემული სითბოთი უზრუნველყოფის პროგნოზის მეთოდს საფუძვლად უდევს კავშირი, რომელიც არსებობს დღეღამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღსა და ვეგეტაციის საერთო სითბოს რაოდენობას შორის (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. გურიის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში). აღნიშნული პროგნოზის მეთოდს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რადგან იგი იძლევა სხვადასხვა აგროკულტურის სითბოთი უზრუნველყოფის მოსალოდნელი პირობების შეფასების საშუალებას. მაგალითად, მიმდინარე წელს პროგნოზით

ტემპერატურის ჯამი, თუ საშუალოზე მეტი აღმოჩნდება, ამასთან ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობა შესაბამისი იქნება, ასეთი პირობები კულტურების ზრდა-განვითარებას და პროდუქტიულობას უფრო გააუმჯობესებს და პირიქით. ნახაზზე 3.1.6 მოყვანილია ატმოსფერული ნალექების განაწილება თბილ პერიოდში.



ნახ. 3.1.6 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Fig. 3.1.6 Sums of atmospheric precipitation (mm)
მთიანი აჭარის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების გაანალიზებისა და შეფასებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად აკმაყოფილებს აგროკულტურების ზრდა-განვითარებას. თუმცა ცალკეულ წლებში, აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII) ხულოს რაიონში ატმოსფერული ნალექების კიდევ უფრო შემცირებისას (50-40 მმ) შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა კულტურის ქვეშ ნიადაგის გაფხვიერება ან მორწყვა მოსავლის შენარჩუნებისათვის. ცხრილში 3.1.17 მოცემულია რეგიონის მთიანი ტერიტორიის თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10% და 90%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.17 ატმოსფერული ნალექების (მმ) 90%-იანი უზრუნველყოფა
Table 3.1.17 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	90%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ხულო	26	31	29	20	16	34	55

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე და ზევით, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების ნორმალური პროდუქტიულობისათვის, საჭიროა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება აგროკულტურებისათვის ტენის მარაგის შენარჩუნების მიზნით. ცხრილში 3.1.18 მოყვანილია ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლები [15].

ცხრილი 3.1.18 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.18 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
ხულო	3110	630	71	2.0

ცხრილში მოცემული დაკვირვებათა მონაცემები ასახავს მთიან ტერიტორიაზე არსებულ ძირითად აგროკლიმატურ მახასიათებლებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგროკულტურების ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობაში. 1000 მ სიმაღლემდე და ზევით სავეგეტაციო პერიოდში დამაკმაყოფილებელი პირობებია კონტინენტალური (ვაშლი, მსხალი) თხილის, თამბაქოს და ბოსტნეული კულტურებისათვის. თუმცა, ცალკეულ წლებში, შეიძლება საჭირო გახდეს ნიადაგის დამატებით დატენიანება.

აგროკლიმატური ზონირება. I - ზონა მოქცეულია რეგიონის შუა ნაწილში ზღ.დონიდან 500 მ-დან 1000 მ სიმაღლემდე და მოიცავს შუახევისა და ხულოს რაიონების ტერიტორიებს. ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-3000°C. ცივ პერიოდში ატმოსფერული ნალექების ჯამია 700-750 მმ, თბილ პერიოდში (IV-X) - 750-800 მმ. მოცემულ ზონაში ბოლო წაყინვები დაიკვირვება 30.III-15.IV, პირველი წაყინვები - 11.XI-1.XII. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი შეადგენს 202-247 დღეს. ზონაში პერსპექტიულია მარცვლეული, პარკოსანი, ბოსტნეული, ვაზის (საშუალო და საადრეო ჯიშის), ხეხილოვანი, თხილის, კენკროვანი და სხვა კულტურების წარმოების განვითარება. ზონა ასევე, ხელსაყრელია მეცხოველების საკვები ძირხვენების და სათიბ-საძოვრებისათვის [58].

II - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 1000-1500 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შემცირებულია 2000°-დან 1000°C-მდე. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში 700 მმ-მდეა, ხოლო თბილ პერიოდში 800 მმ-მდე. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 18.IV-8.V (სიმაღლის შესაბამისად),

პირველი წაყინვები - 14.X-7.XI. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 158-202 დღეს. აღნიშნულ ზონაში შესაძლებელია ხორბლის, ქერის, შვრიის, სამარცვლე სიმინდის (1000-1100 მ სიმაღლემდე), კარტოფილის, ბოსტნეულის, ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების წარმოება. შესაძლებელია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების, სათიბ-საძოვრების განვითარება.

III - ზონა ზღ.დონიდან 1500-2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ზონა სავეგეტაციო პერიოდში აშკარად მოკლებულია სითბოს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000°C და ნაკლებია. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში 650 მმ შეადგენს, თბილ პერიოდში 700 მმ-მდეა. მოცემულ ზონაში გაზაფხული ძალიან გვიან აღინიშნება, ამიტომ წაყინვებიც გვიან ფიქსირდება. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 12.V-28.V (სიმაღლის შესაბამისად), პირველი წაყინვები დაიკვირვება 20.IX-9.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა მცირეა (158-113 დღე). ზონაში გავრცელებისათვის პერსპექტიულია სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები (სუფრის ჭარხალი, ნიორი, ქინძი, უცხო სუნელი, და სხვა) კენკროვანები (შავი მოცხარი, არონია, ქაცვის კულტურული ჯიში და სხვა). Aასევე, ხელსაყრელია მეცხოველეობის საკვები წვნიანი ძირხვენების და სათიბ-საძოვრებისათვის.

გურიის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. გურიის მთიანი რეგიონი ხასიათდება ნაწილობრივ ბორცვიან-გორაკიანი, მაღალმთიანი რელიეფური პირობებით. მისი მთიანი ტერიტორია ვრცელდება 1000 მ სიმაღლემდე, საშუალო მთიანი - 1400 მ-მდე, მაღალმთიანი 2000 მ-მდე. საქართველოს სოფლის-მეურნეობის განვითარებაში გურიის რეგიონს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს. იგი აწარმოებს - მარცვლეულს, ჩაის, ციტრუსებს, ვაზს, სუბტროპიკულ, ტექნიკურ-ზეთოვან და სხვა სახის კულტურებს. რეგიონში აგროკულტურების განვითარება და წარმოება მიმდინარეობს ტენიანი სუბტროპიკული ზონის პირობებში. ნახაზზე 3.1.7 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [16].



ნახ. 3.1.7 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Fig. 3.1.7 Average air temperatures

რეგიონის მთიანი ტერიტორიაზე კლიმატური მახასიათებლებიდან, ჰაერის ტემპერატურის განაწილებაში დიდ როლს ასრულებს რელიეფის ფორმა. გამომდინარე აქედან ბორცვიან, ქვაბულებსა და ჩაკეტილ ადგილებში უფრო ცივა, რადგან ასეთ ადგილებში ცივი ჰაერის მასები მეტად გროვდება და შეფერხებულია ჰაერის მასების მოძრაობა. ზღ.დონიდან 2000 მ სიმაღლემდე ჰაერის ტემპერატურაც შესაბამისად დაბალია. მაღალმთის ზონისაკენ (ბახმარო) ტემპერატურა მეყეობს 10.0°-დან 1.2°C-მდე. 2000 მ სიმაღლეზე საკმაოდ მკაცრი კლიმატია (კონტინენტალური). აქ ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა შეადგენს 4.7°C (ბახმარო).

აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფილის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას სითბოთი უზრუნველყოფის საპროგნოზო რეგრესიის განტოლება:

$\sum T=-12.6n+4620$ ჩოხატაური

განტოლებაში $\sum T$ - საპროგნოზო ტემპერატურის ჯამია 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 თებერვლიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე [14].

სავეგეტაციო პერიოდისათვის სითბოს უზრუნველყოფის პროგნოზის შედგენისათვის, საჭიროა გაზაფხულზე დღეღამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენა, რომელიც შესაძლებელია განტოლებით:

$y=-2.4x+79$

სადაც y - საშუალო დღეღამური ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით დადგომის თარიღია, x - ადგილმდებარეობის მიხედვით, ორი თვის (თებერვალ-მარტის, მარტი-აპრილის ან აპრილი-მაისის) საშუალო ტემპერატურის ჯამია.

მაგალითად, მიმდინარე წელს, თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურამ თუ შეადგინა 10°C-ზე ნაკლები, დაუშვათ 7.4°C, ხოლო მარტის თვის საშუალო ტემპერატურამ 10°C-ზე მეტი 10.8°C, ეს მაჩვენებლები შეიკრიბება და იქნება 18.2°C, რომელიც ჩაისმევა განტოლებაში x-ის ნაცვლად და მიიღება 35. ეს უკანასკნელი (დღეთა რიცხვი 1 თებერვლიდან ტემპერატურის 10°C-ის დადგომის თარიღამდე) გადაითვლება 1 თებერვლიდან და ტემპერატურის 10°C-ის ზევით დადგომის თარიღი იქნება 7 მარტი. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ თვეებში ტემპერატურები აღმოჩნდება 10°C-ზე ოდნავ მეტი (10.3° ან 11.4°C), როგორც გამონაკლისი შეიკრიბება და ჩაისმევა განტოლებაში, თარიღის დასადგენად.

სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამმა (10°C-ის ზევით), შეიძლება გადაიხაროს მოცემული რაიონის საშუალო ჯამიდან ±300-400°C და მეტად. საშუალო ტემპერატურის ჯამზე მეტის შემთხვევაში, აგროკულტურები უკეთ იქნებიან უზრუნველყოფილი სითბოთი, რაც გააუმჯობესებს მათ ზრდა-განვითარებას, იმ შემთხვევაში თუ სითბოსთან ერთად ნიადაგიც ტენით იქნება უზრუნველყოფილი. ნახაზზე 3.1.8 მოყვანილია ატმოსფერული ნალექების განაწილება თბილ პერიოდში [17, 18, 19].



ნახ. 3.1.8 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Fig. 3.1.8 Sums of atmospheric precipitation (mm)

აგროკულტურების ზრდა-განვითარებისათვის ტემპერატურის ჯამთან ერთად დიდი როლი აქვს ატმოსფერულ ნალექებს. მათ რაოდენობაზე და განაწილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტენით უზრუნველყოფა. რეგიონში წლიური ატმოსფერული ნალექები მაღალმთისაკენ დაიკვირვება 800 მმ. ზოგჯერ, თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობამ და მათმა არათანაბარმა განაწილებამ, შეიძლება ვერ უზრუნველყოს ნიადაგში მცენარეებისათვის საჭირო ტენის რაოდენობა. აღნიშნულის შედეგად შეიძლება

შეფერხდეს მცენარეების ნორმალური განვითარება. ცხრილში 3.1.19 მოცემულია რეგიონის მთიანი ტერიტორიის თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 90%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.19 ატმოსფერული ნალექების (მმ) 90%-იანი უზრუნველყოფა
Table 3.1.19 90% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	90%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ბახმარო	26	37	49	33	40	56	76

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ რეგიონის მთიანი ტერიტორია განსაკუთრებით გაზაფხულზე (IV-V) ატმოსფერული ნალექებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი (90%), ვიდრე აქტიური ვეგეტაციის პერიოდში. აღნიშნული ნალექების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით გაზაფხულზე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად მარცვლეული და ბოსტნეული კულტურებისათვის. ამიტომ, ფერმერებმა და კერძო მიწათმოქმედებმა აღნიშნული კულტურების მოსავლის ფორმირებისათვის უნდა ჩაატარონ შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები, ნიადაგში ტენის უზრუნველსაყოფად. ცხრილში 3.1.20 მოყვანილია ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლები.

ცხრილი 3.1.20 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)

Table 3.1.20 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
ბახმარო (ჩოხატაური)	1180	840	74	7.1

მოცემული აგროკლიმატური მახასიათებლების მიხედვით, მთიან (1200 მ სიმაღლემდე) და მაღალმთიან (1400-1500 მ-მდე) ზონებში ხელსაყრელი

პირობებია მარცვლული და კონტინენტალური კულტურების (თესლოვანი, კურკოვანი, კენკროვანი) ზრდა-განვითარებისათვის.
აგროკლიმატური ზონირება. I - ზონა ვრცელდება ზღ. დონიდან 600-1000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-3000°C. ნალექების ჯამი ცივ პერიოდში - 800 მმ, ხოლო თბილ პერიოდში - 900 მმ. აღნიშნულ ზონაში ბოლო წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ 2.IV-18.IV, ხოლო პირველი წაყინვები - 8.XI-26.XI. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი შეადგენს 220-238 დღეს. მოცემულ ზონაში შეიძლება ვაზის (საშუალო და საადრეო ჯიშები), ხეხილოვანი, თხილის, კენკროვანების, მარცვლეულის, პარკოსნების და ბოსტნეული კულტურების წარმოება, ასევე მეცხოველეობის საკვები ძირხვენების, სათიბის-საძოვრების განვითარება [58].

II - ზონა ვრცელდება 1000-დან 2000 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-1000°C. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში შეადგენს 700 მმ და ცოტა მეტს, თბილ პერიოდში - 750-800 მმ. ზონაში ბოლო წაყინვები დაიკვირვება 18.IV-27.V (სიმაღლის შესაბამისად), პირველი წაყინვები - 7.XI-20.IX. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 202-113 დღეს შეადგენს. მოცემულ ზონაში აღნიშნული ტემპერატურის ჯამი არ იძლევა მრავალწლიანი სითბოსმოყვარული ხეხილოვანი კულტურების ნაყოფების ნორმალური მომწიფების საშუალებას. თუმცა, დამაკმაყოფილებელია კენკროვანი, მარცვლეული (სამარცვლე სიმინდი 1000-1200 მ სიმაღლემდე), ხორბალი, ქერი, შვრია, პარკოსანი, ბოტნეული კულტურების წარმოებისათვის. ასევე, ხელსაყრელია მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენოვანი კულტურებისა და სათიბ-საძოვრებისათვის.
III - ზონა გავრცელებულია ზღ.დონიდან 2000-2200 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მოცემულ ზონაში საგრძნობლად შემცირებულია (1000°C და ნაკლებია). ნალექები ცივ პერიოდში 650-700 მმ-მდეა, ხოლო თბილ პერიოდში - 700 მმ და ცოტა მეტია. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 28.V-5.VI (სიმაღლის შესაბამისად), პირველი წაყინვები - 20.IX-11.X. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი მცირეა, 96-113 დღე. მოცემულ ზონაში შესაძლებელია კენკროვანი (შავი მოცხარი, არონია, ქაცვი-უეკლო და სხვა) და ბოსტნეული კულტურების (უცხო სუნელი, კვლიავი, ნიორი, ხახვი, ოხრახუში, ნიახური, თვის ბოლოკი, ყვავილოვანი და საადრეო კომბოსტო, სტაფილო და სხვა) წარმოება, აგრეთვე მეცხოველეობის საკვები ძირხვენა კულტურების და სათიბ-საძოვრების განვითარება.

იმერეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. იმერეთის მთიანი ტერიტორია მდებარეობს ზღ.დონიდან 1500 მ სიმაღლეზე და ზევით. რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, იგი სახელდება ქვემო და ზემო იმერეთად. ზემო

იმერეთი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, დაბლობთან შედარებით უფრო რთული რელიეფით ხასიათდება. ზღ.დონიდან 800 მ სიმაღლეზე ტერიტორიის უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია დანაწევრებული ხეობებით. მხოლოდ მცირე სავარგულებზეა შესაძლებელი მემარცვლეობის მებოსტნეობის, მეხილეობის და მევენახეობა დარგების წარმოება. 1000 მ სიმაღლეზე ზევით მდებარე ტერიტორია დიდი დახრილობის გამო უმთავრესად წაროდგენილია ტყეებით და სათიბ-საძოვრებით [14, 19, 20]. ნახაზზე 3.1.9 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში.



ნახ. 3.1.9 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Fig. 3.1.9 Average air temperatures

ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზემო იმერეთში 1-2°C-ით მეტია ქვემო იმერეთთან შედარებით. თუმცა, აღნიშნული განსხვავება სავეგეტაციო პერიოდში არსებითად არ აისახება მარცვლეული, ხეხილოვანი, ვაზის, და ბოსტნეული კულტურების განვითარებაზე. ჰაერის ტემპერატურათა მაჩვენებლებიდან გამომდინარე, იმერეთის რეგიონის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ხასიათდება ზომიერად თბილი კლიმატით (ნახევრად ტენიანი სუბტროპიკული).

აგროკულტურების ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობას ძირითადად განსაზღვრავს სითბური რეჟიმი. ტერიტორიაზე, სადაც სითბო არასაკმარისია სითბოსმოყვარული კულტურების განვითარება ნორმალურად არ მიმდინარეობს, რის შედეგად მისი მოსავალი და ხარისხი დაბალია. ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლის ზევით შესაძლებელია საადრეო ხეხილოვანი, კენკროვანი და ბოსტნეული კულტურების გავრცელება, აგრეთვე პერსპექტიულია სათიბ-საძოვრების განვითარება. სავეგეტაციო პერიოდში

აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფის პროგნოზის პრაქტიკული გამოყენებისათვის შედგენილია რეგრესიის განტოლება:

საჩხერე, ტყიბული $\sum T=-13.4n+4635$

განტოლებებში $\sum T$ - საპროგნოზო (საწინასწარმეტყველო) ჰაერის ტემპერატურის ჯამია 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგომამდე; n - დღეთა რიცხვი 1 თებერვლიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღამდე (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. გურიის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში).

იმერეთის ტერიტორიაზე ნალექების განაწილება არათანაბარია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს აგროკულტურების პროდუქტიულობაზე. ნახაზზე 3.1.10 მოყვანილია ატმოსფერული ნალექების განაწილება თბილ პერიოდში.



ნახ. 3.1.10 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Fig. 3.1.10 Sums of atmospheric precipitation (mm)

ზემო იმერეთში ნალექები დამაკმაყოფილებელია სიმინდის ადგილობრივი ჯიშების განვითარებისა და მაღალი მოსავლისათვის.

ცხრილში 3.1.21 მოცემულია რეგიონის მთიანი ტერიტორიის თბილ პერიოდში ატმოსფერული ნალექების 10%-იანი უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.1.21 ატმოსფერული ნალექების (მმ) 10%-იანი უზრუნველყოფა

Table 3.1.21 10% provision of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
კორბოული (საჩხერე)	55	60	68	65	49	61	43

იმერეთის რეგიონში მთიანი ზონის აგროკლიმატური რესურსების შეფასებისათვის, გაანალიზებულია და დამუშავებულია მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემები, სადაც თბილი პერიოდისათვის წარმოდგენილია აგროკლიმატური მახასიათებლები (ცხრილი 3.1.22).

ცხრილი 3.1.22 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.22 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
საჩხერე	3730	460	72	1.2

ცხრილში მოცემული აგროკლიმატური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ზემო იმერეთის ნაწილი, ხასიათდება ზომიერი ტიპის კლიმატით. მოცემულ პირობებში შესაძლებელია ერთწლიანი (მარცვლეული, ბოსტნეულ-ბაღჩეული) და მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების წარმოება. ჰიდროთერმული კოეფიციენტის (1.2) სიმცირის გამო საჭირო იქნება ნიადაგში ტენიანობის გადიდება, კულტურების უკეთესი პროდუქტიულობისათვის.
აგროკლიმატური ზონირება. აგროკულტურების ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობას ძირითადად განსაზღვრავს აგროკლიმატური რესურსების ეფექტურად გამოყენებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აგროკულტურების რაციონალურად განლაგება, მათი აგროკლიმატური ფაქტორების მოთხოვნილების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა და სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების

ჯამის გათვალისწინებით გამოყოფილია იმერეთის მთიანი ტერიტორიის აგროკლიმატური ზონები [58].

I - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000°C და მეტს, ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში შეადგენს 600-750 მმ, თბილ პერიოდში - 640-850 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 2.IV-18.IV, პირველი წაყინვები - 31.X-18.XI. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 185-231 დღეს. ზონაში შესაძლებელია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ვაზის (საადრეო ჯიში), ხეხილოვანი კულტურების ნორმალურად განვითარება.

II - ზონა ვრცელდება 1000 მ-დან 1200 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 1000°C და მეტს. ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში 600-700 მმ და მეტია, ხოლო თბილ პერიოდში 900-950 მმ. ბოლო წაყინვები შესაძლებელია 23.IV-1.V, ხოლო პირველი წაყინვები - 17.X-27.X. უყინვო პერიოდი შეადგენს საშუალოდ 176-188 დღეს. აგროკულტურებიდან შესაძლებელია მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ზოგიერთი საადრეო ხეხილოვანი, კენკროვანი კულტურების წარმოება. ასევე, მეცხოველეობის სათიბ-საძოვრების განვითარება.

III - ზონა ვრცელდება რეგიონის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და უკიდურეს სამხრეთით ზღ. დონიდან 1200 მ და ზევით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ძლიერ შემცირებულია და შეადგენს 1000°C და ნაკლებს. ნალექების ჯამი ცივ პერიოდში დაახლოებით 800 მმ, თბილ პერიოდში 1000 მმ-მდე. ბოლო წაყინვები მოსალოდნელია გვიან 5.V, ხოლო პირველი წაყინვა საკმაოდ ადრე 13.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 158 დღეს. ზონაში შესაძლებელია გავრცელდეს პერსპექტიული ბოსტნეული, კენკროვანი კულტურები, მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენები, აგრეთვე შესაძლებელია სათიბ-საძოვრების ფართოდ განვითარება.

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი რთული მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება (ვაკე, მთები, მთის ფერდობები, ხეობები). რეგიონი ზღ.დონიდან 800-1000 მ სიმაღლემდე ზომიერ კლიმატურ პირობებშია, ხოლო აღნიშნული სიმაღლის ზევით გადადის კონტინენტალური კლიმატის ზონაში (მკაცრი კლიმატური ზონა). შედარებით მკაცრი კლიმატური და რთული რელიეფის პირობებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულები მცირეა, რის გამოც სოფლის მეურნეობის მრავალმხრივი დარგის ინტენსიური განვითარება შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, აქ შესაბამისი პირობების მიხედვით, წამყვანი კულტურებია ვაზი და ხეხილოვანები, მარცვლოვანი, ძირითადად

სიმინდი და პარკოსანი. ვაზის კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია, ძირითადად მთის ფერდობებზე ზღ.დონიდან 800 მ სიმაღლემდე. ზოგიერთი ჯიში ზღ.დონიდან 1500-1600 მ სიმაღლემდე ვრცელდება. ცხრილში 3.1.23 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [14, 21, 59].

ცხრილი 3.1.23 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Table 3.1.23 Average air temperatures

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი, °C						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ლაილაში (ცაგერი)	8.8	13.5	16.7	19.2	19.6	16.0	11.5
ლენტეხი	9.3	14.4	17.3	20.2	20.1	15.8	10.3
ონი	9.8	14.3	17.5	20.4	20.3	16.3	10.6
შოვი	3.8	9.6	12.8	15.6	15.6	11.4	6.6
ხარისთვალი (ამბროლაური)	5.1	10.8	13.8	16.6	17.4	13.5	8.1
ხერგა (ამბროლაური)	5.5	11.7	15.0	17.6	17.6	13.2	8.2

ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურების ცვლილება და განაწილება ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით, საყურადღებოა, რადგან აღნიშნულ სიმაღლეებზე დაფუძნებულია რეგიონის რაიონები და სოფლები, სადაც ცხოვრობს მოსახლეობა, რომლებიც ძირითადად დასაქმებული არიან სოფლის მეურნეობის სექტორში. ამიტომ, სასურველია ჰაერის საშუალო ტემპერატურათა მახასიათებლების ცოდნა, რათა შესაბამისად იქნას გამოყენებული სეზონების ტემპერატურები სამუშაოთა ეფექტურად ჩატარების მიზნით. სავეგეტაციო პერიოდში ზემოაღნიშნული ტემპერატურები საკმაოდ კარგად უზრუნველყოფს მარცვლეულის (სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია), ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ვაზის (800-1000 მ-მდე, საშუალო და საადრეო ჯიში), ხეხილოვანი და სხვა კულტურების განვითარებას.

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონის მთიანი რაიონებისათვის აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფის პროგნოზის პრაქტიკული გამოყენებისათვის შედგენილია რეგრესიის განტოლებები:

ამბროლაური $\sum T=-12.4n+4438$

ლენტეხი $\sum T=-14.5n+4176$

ონი $\sum T=-13.9n+4220$

მოცემულ განტოლებებში ∑T - საპროგნოზო ჰაერის ტემპერატურის ჯამია 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვია 1 - თებერვლიდან ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგომამდე (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. გურიის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში).

აგროკულტურების წარმოებისათვის მნიშვნელოვანი როლი აქვს ატმოსფერულ ნალექებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემულია ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მაჩვენებლები თბილ პერიოდში (ცხრილი 3.1.24).

ცხრილი 3.1.24 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Table 3.1.24 Sums of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ცაგერი	111	113	114	90	87	110	122
ლენტეხი	106	109	111	93	83	106	118
ონი	84	103	98	80	79	86	98
შოვი	101	122	114	91	92	102	118
ამბროლაური	177	215	202	164	163	177	202
ხერგა	110	134	125	102	101	109	126

ატმოსფერული ნალექები თბილ პერიოდში (IV-X) 800 მ-დან 1200 მ სიმაღლემდე მატულობს და საშუალოდ 800-900 მმ შეადგენს, ცივ პერიოდში (XI-III) 550-600 მმ. მოცემულ სიმაღლემდე სავეგეტაციო პერიოდში კულტურები სრულიად უზრუნველყოფილია ნალექებით და არ საჭიროებენ ნიადაგში დამატებით ტენის გაზრდას. 1200 მ-დან 1600 მ სიმაღლემდე ნალექები თბილ და ცივ პერიოდებში ოდნავ კლებულობს და შეადგენს 700-800 მმ და 500-550 მმ, შესაბამისად. აღნიშნული ნალექები თბილ პერიოდში სრულიად აკმაყოფილებს მარცვლეულის, ბოსტნეული, კარტოფილის, ხეხილოვანი და სხვა შესაბამისი კულტურების ნორმალურ განვითარებას.
თბილ პერიოდში 1600 მ-დან 2000 მ სიმღლემდე და ზევით ნალექები ოდნავ მატულობს - 800-850 მმ. აღნიშნულ სიმაღლეებზე თბილ პერიოდში საგაზაფხულო ხორბალის, ქერის, შვრის, ბოსტნეულის, აგრეთვე მეცხოველეობის საკვები ძირხვენა კულტურების და სათიბ-საძოვარების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია.

რეგიონის მთიანი რაიონების მიხედვით, სავეგეტაციო პერიოდისათვის ცხრილში 3.1.25 მოცემულია ატმოსფერული ნალექების უდიდესი - 10%-ით და უმცირესი - 90%-ით უზრუნველყოფები (მმ).

ცხრილი 3.1.25 ატმოსფერული ნალექების (მმ) უზრუნველყოფა თბილ პერიოდში
Table 3.1.25 Provision of atmospheric precipitation (mm) in the warm period

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ლაილაში	176	164	168	170	136	188	200
ონი	118	132	132	133	128	129	165
შოვი	154	180	169	162	192	147	215
ხერგა	168	167	157	142	150	180	253
90%-ით							
ლაილაში	46	56	54	26	39	39	41
ონი	36	56	49	26	30	37	27
შოვი	44	63	69	42	45	52	49
ხერგა	31	46	39	27	40	56	45

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზის მიხედვით, ზღ.დონიდან 800 მ-დან 1200 მ სიმაღლემდე ნალექების უდიდესი - 10%-ით და უმცირესი - 90%-ით დამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი. აქ აგროკულტურები არ საჭიროებენ დამატებით მორწყვითი ღონისძიების ჩატარებას (ლაილაში, ხერგა და სხვა), თუმცა ცალკეულ წლებში (გვალვა), შეიძლება საჭირო გახდეს მოსავლის შენარჩუნებისათვის. 1200 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე და ზევით ზონა კიდევ უფრო უკეთესად არის უზრუნველყოფილი აღნიშნული რაოდენობის ნალექებით. აქ ხეხილოვანი, კენკროვანი, ხორბლეული, ბოსტნეული კულტურების, ასევე მეცხოველეობის ძირხვენა კულტურებისა და სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის სრულიად დამაკმაყოფილებელი პირობებია.

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონის მთიანი ტერიტორიის აგროკლიმატური რესურსების შეფასებისათვის რაიონების მიხედვით, გაანალიზებულია და დამუშავებულია მრავალწლიური მეტეოროლოგიური

დაკვირვებათა მონაცემები და წარმოდგენილია აგროკლიმატური მახასიათებლები თბილი პერიოდისათვის (ცხრილი 3.1.26).

ცხრილი 3.1.26 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)

Table 3.1.26 Main agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
ლაილაში (ცაგერი)	2980	750	-	2.5
ლენტეხი	3030	730	74	2.4
ონი	3150	630	70	2.0
შოვი	1780	710	77	4.0
ხარისთვალი (ამბროლაური)	2170	1300	-	6.0
ხერგა (ამბროლაური)	2280	810	77	3.6

მთიან რეგიონში 800 მ სიმაღლის ზევით ტემპერატურის ჯამი მცირდება და ზოგიერთი კულტურის (ვაზი, ხეხილოვანი, ბაღჩეული) გავრცელება რამდენადმე იზღუდება. თუმცა, ასეთ მაღალ პირობებში კარგად ვითარდება საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შვრია, ბოსტნეული და სხვა.

აგროკლიმატური ზონირება. I - ზონა ზღ.დონიდან 800 მ-დან 1400 მ სიმაღლემდე მდებარეობს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2000-3000°C შეადგენს. ატმოსფერული ნალექები ცივ პერიოდში 550-800 მმ-მდეა, თბილ პერიოდში 800 მმ-დან 1300 მმ-მდე. ბოლო წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ 17.IV-5.V, პირველი წაყინვები - 9.X-29.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს საშუალოდ 155-193 დღეს. მოცემულ ზონაში შესაძლებელია მარცვლეულის (საშემოდგომო, საგაზაფხულო ხორბალი), სიმინდის ვაზის (საადრეო ჯიში), ხეხილოვანი, ბოსტნეული და სხვა კულტურების განვითარება [58].

II - ზონა ვრცელდება ზღ.დონიდან 1400 მ-დან 1800 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-1000°C. ატმოსფერული

ნალექების ჯამი ცივ პერიოდში შეადგენს 500-550 მმ, თბილ პერიოდში - 700-800 მმ. ბოლო წაყინვები დაკვირვება 6.V-20.V, პირველი წაყინვები - 23.IX-8.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 124-153 დღეს. აღნიშნულ ზონაში შესაძლებელია მარცვლეულის (საშემოდგომო, საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შვრია), კარტოფილის, ბოსტნეული, კენკროვანი კულტურების, ასევე მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების წარმოება, სათიბ-საძოვრების განვითარება.

III - ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 1800 მ-დან 2000 მ და მეტ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000°-დან 600°C-მდეა. ცივ პერიოდში ნელექების რაოდენობა თითქმის იგივეა რაც II ზონაშია (550 მმ), ასევე ანალოგიურია იგი თბილ პერიოდშიც (800 მმ). ბოლო წაყინვები მოსალოდნელია საკმაოდ გვიან 21.V-27.V, ხოლო პირველი წაყინვები - 15.IX-22.IX. უყინვო პერიოდის დღეთა რიცხვი აშკარად შემცირებულია (110-123 დღე). ზონაში შესაძლებელია გავრცელებული იქნას პერსპექტიული ბოსტნეული და კენკროვანი კულტურები, რომლებიც გამოცდილია მაღალმთის პირობებში და იძლევიან მაღალხარისხიან მოსავალს (უცხო სუნელი, ანისა, კარტოფილი, შავი მოცხარი და სხვა). პერსპექტიულია მეცხოველეობის წვნიანი ძირხვენა საკვები კულტურის ფართოდ განვითარება, ასევე სათიბ-საძოვრების გაფართოება.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი

სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი ხასიათდება მთიანი და მაღალმთიანი (ზღ.დონიდან 2000 მ და მეტ სიმაღლეზე) რელიეფით. ზემო სვანეთის საშუალო და მაღალმთიანი ადგილები ზომიერი და კონტინენტალური კლიმატის პირობებშია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზომიერად ცივი და ცივი კლიმატი, თოვლიანი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხული, შესაბამისად.

რეგიონს სოფლის მეურნეობაში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების მხრივ ქვეყნის მასშტაბით დიდი ხვედრითი წილი აქვს. მთიან და მაღალმთიან პირობებში საკმაოდ კარგად ვითარდება მარცვლეული, ბოსტნეული, კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურები, კარტოფილი და ასევე სათიბ-საძოვრები.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის განაწილება დამოკიდებულია შავი ზღვის სიახლოვესა და რელიეფის ფორმაზე. დაკვირვებათა მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტემპერატურა ზღ.დონიდან სიმაღლის შესაბამისად კანონზომიერად კლებულობს, როგორც ზომიერ კლიმატურ (1000 მ სიმაღლეზე) ასევე, ზემო სვანეთის კონტინენტალურ კლიმატურ ზონებში (1000-1500 მ და მეტი სიმაღლეზე). ცხრილში 3.1.27 მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურები თბილ პერიოდში [14, 22] .

ცხრილი 3.1.27 ჰაერის საშუალო ტემპერატურები
Table 3.1.27 Average air temperatures

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი, °C						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ბეჩო (მესტია)	5.9	11.5	14.4	17.2	17.0	12.6	7.7
ლებარდე (მარტვილი)	4.2	9.3	12.5	15.1	15.3	12.0	7.5
მესტია	5.7	10.8	13.8	16.6	16.1	12.0	6.8
ხაიში (მესტია)	10.7	15.3	18.2	20.7	20.7	16.8	11.1

საშუალო მთიან ზონაში ზღ.დონიდან 1200-1300 მ სიმაღლემდე, ტემპერატურები (11-15°C) გაზაფხულზე ხელსაყრელია შესაბამისი კულტურების თესვისა და ვეგეტაციის ნორმალურად წარმართვისათვის. ზაფხულში კულტურების აქტიური ვეგეტაციის პერიოდში, ტემპერატურები (18-20°C) სრულიად დამაკმაყოფილებელია მცენარეთა ზრდა-განვითარებისა და მაღალხარისხიანი მოსავლისათვის. მაღალმთიან ზონაში ზღ.დონიდან 1400-1500 მ და მეტ სიმაღლემდე ტემპერატურები (6-11°C) გაზაფხულზე დამაკმაყოფილებელია შესაბამისი კულტურების თესვის, აღმოცენებისა და განვითარებისათვის. ზაფხულში, ტემპერატურები (14°, 17°C) ხელშემწყობია მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის და კენკროვანი კულტურების წარმოებისათვის, აგრეთვე სათიბ-საძოვრების გაფართოებისათვის.
სამეგრელო - ზემო სვანეთის მთიანი ტერიტორიის სავეგეტაციო პერიოდში, აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფის პროგნოზის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მოცემულია რეგრესიის განტოლება:
მესტია $\sum T=-20.6n+3420$

მოცემულ განტოლებაში $\sum T$ - საპროგნოზო ჰაერის ტემპერატურის ჯამია 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღიდან, n - დღეთა რიცხვი 1 -თებერვლიდან ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგომამდე (ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღის დადგენის წესი იხ. გურიის რეგიონის სითბოთი უზრუნველყოფის ქვეთავში). პროგნოზის შედგენა მთიან ზონაში შესაძლებელია მაისის პირველ დეკადაში, ხოლო მაღალმთიანი ზონისათვის მაისის შუა რიცხვებში. პროგნოზის წინასწარობა მთიან და მაღალმთიან ზონაში შეადგენს 4-5 თვეს. განსაზღვრული საპროგნოზო ტემპერატურის ჯამი საშუალებას აძლევს აგროფერმერებს მიმდინარე სავეგეტაციო პერიოდში შეაფასონ აგროკულტურების სითბოთი უზრუნვეყოფა.

აგროკულტურების წარმოებისა და მოსავლის ფორმირებაში სითბოსთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფერული ნალექები. მოგვყავს რეგიონის მთიანი ტერიტორიის ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემები თბილ პერიოდში (ცხრილი 3.1.28).

ცხრილი 3.1.28 ატმოსფერული ნალექების ჯამები (მმ)
Table 3.1.28 Sums of atmospheric precipitation (mm)

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
ბეჩო	80	102	87	78	78	85	112
ლებარდე (მარტვილი)	174	175	178	149	135	151	190
მესტია	83	90	83	81	79	80	101
ხაიში	96	101	108	102	97	112	143

მთიან და მაღალმთიან ზონაში ნალექები ზამთარში, რამდენადმე ნაკლებია გაზაფხულის ნალექებთან შედარებით, ასევე ზაფხულის ნალექებიც, შემოდგომაზე კი ნალექები მატულობს სეზონის ბოლომდე. რეგიონში ნალექების მსვლელობა და მათი რაოდენობა დამახასიათებელია შესაბამისად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატისა და მთიანი (700-1300 მ ზღ.დონიდან) ზომიერი კლიმატის, აგრეთვე მაღალმთიანი კონტინენტალური კლიმატის. სამეგრელო - ზემო სვანეთის მთიანი ტერიტორიისათვის მოგვყავს ნალექების 10% და 90%-ით უზრუნველყოფები, მესტიის მაგალითზე (ცხრილი 3.1.29).

ცხრილი 3.1.29 ატმოსფერული ნალექების (მმ) უზრუნველყოფა თბილ პერიოდში
Table 3.1.29 Provision of atmospheric precipitation (mm) in the warm period

მეტეო-პუნქტი	თ ვ ე ე ბ ი						
	10%-ით						
	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
მესტია	128	130	121	123	135	133	177
90%-ით							

მესტია	30	42	40	41	29	39	41

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, გაზაფხულზე ატმოსფერული ნალექების უდიდესი უზრუნველყოფა 10%-ით ანუ განმეორდება ერთხელ ყოველ ათ წელში, მცენარეთა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში ოდნავ ჭარბობს ზაფხულის ატმოსფერულ ნალექებს. შემოდგომაზე მაჩვენებლები მატულობს. მაშასადამე, მოცემული რეგიონის ტერიტორიაზე უდიდესი (10%) და უმცირესი (90%) ნალექების რაოდენობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის მთიანი ტერიტორიის აგროკლიმატური რესურსების ძირითადი პარამეტრების შეფასებისათვის, რაიონების მიხედვით, გაანალიზებული და დამუშავებულია მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემები თბილი პერიოდისათვის, სადაც მითითებულია აგროკლიმატური მახასიათებლები (ცხრილი 3.1.30).

ცხრილი 3.1.30 ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)
Table 3.1.30 Basic agroclimatic characteristics in the warm period (IV-X)

მეტეო-პუნქტი	აქტიური ტემპერატუ-რის ჯამი (≥10°C)	ატმოსფერუ-ლი ნალექები (მმ)	ჰაერის ფარდებითი ტენიანობა (%)	ჰთკ
ბეჩო	2180	620	-	2.8
ლებარდე	1780	1170	76	6.5
მესტია	2040	600	72	2.9
ხაიში	3290	760	74	2.3

ცხრილში მოყვანილი მახასიათებლები ზომიერი (ხაიში) და კონტინენტალური კლიმატური (მესტია) ზონებისათვის დამახასიათებელია. აღნიშნული აგროკლიმატური მახასიათებლები სრულიად დამაკმაყოფილებელია ზომიერ კლიმატურ ზონაში მარცვლეული ხეხილოვანი კულტურებისათვის 700-1300 მ სიმაღლემდე, აგრეთვე კონტინენტალურ ზონაში მარცვლეული, კენკროვანი, მეცხოველეობის წვნიანი ძირხვენა კულტურებისათვის და სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის ზღ.დონიდან 2000 მ სიმაღლემდე და ზევით. მოცემული ცხრილის მიხედვით, ლებარდეში (მარტვილი) აღინიშნება მაღალი,

ჰიდროთერმული კოეფიციენტი, რაც გამოწვეულია 10°C-ის ზევით ტემპერატურათა ჯამის ნაკლებობით, რის შედეგად ფერხდება მოსული ნალექების სათანადოდ აორთქლება. ამიტომ, წყლის ბალანსიც მეტია და ცალკეულ შემთხვევებში, წარმოებულ კულტურებზე შეიძლება არასასურველი გავლენა ჰქონდეს, კერძოდ, მცენარეები ჭარბი ტენიანობის გავლენის ქვეშ იქნება.

აგროკლიმატური ზონირება. აგროკულტურების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმალური ზრდა-განვითარებისა და მათი სწორად განლაგებისათვის სავეგეტაციო პერიოდში 10°C-ის ზევით ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების მიხედვით, გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები [58].

I - ზონა მოიცავს ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიას, ხაიშისა და ლებარდეს ჩათვლით. იგი მდებარეობს ზღ.დონიდან 1000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შედაგენს 3700-2900°C. ატმოასფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდშია 660-990 მმ, თბილ პერიოდში - 620-1220 მმ. ბოლოო წაყინვები დაიკვირვება 30.III-11.IV, პირველი წაყინვები - 1.XI-24.XI. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 235-196 დღეს. მოცემული ზონა ხელსაყრელია მარცვლეულის, ვაზის (საგვიანო ჯიში, 800 მ სიმაღლემდე), პერსპექტიულია ვაზის (საადრეო და საგვიანო ჯიშები) განვითარება ზღ.დონიდან 800-900 მ სიმაღლემდე.

II - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 1000-1500 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2800-2000°C-მდე. ატმოსფერული ნალექების ცივ პერიოდში შეადგენს 400-420 მმ, თბილ პერიოდში - 600-620 მმ. ბოლოო წაყინვა აღინიშნება 12.IV-25.IV, პირველ წაყინვა - 9.X-31.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 195-156 დღეს შეადგენს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შედარებით ნაკლებია, ამიტომ ამ ზონაში სითბოს მოყვარული კულტურების წარმოება რამდენადმე შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ვაზის საადრეო ჯიშის გავრცელება 1200-1300 მ სიმაღლემდე (სამხრეთის ფერდობებზე), აგრეთვე მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, საადრეო სიმინდი), ბოსტნეულის, კარტოფილის, თხილის და ხილ-კენკროვანების.

III - ზონა მდებარეობს ზღ.დონიდან 1500-2000 მ სიმაღლემდე. მოცემულ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირეა (1900-1100°C -მდე). ატმოსფერული ნალექები ცივ პერიოდში აღწევს 870-1130 მმ, თბილ პერიოდში - 610-1130 მმ. ბოლოო წაყინვები დაიკვირვება 26.IV-8.V, პირველი წაყინვები - 16.IX-8.X. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 155-116 დღეს. მოცემული ზონის პირობებში შეიძლება საგაზაფხულო ხორბალის, ქერის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეულის და კენკროვანი კულტურების (შავი მოცხარი, არონია, ქაცვი), აგრეთვე მეცხოველეობისათვის წვნიანი საკვები ძირხვენების წარმოება, ასევე, შესაძლებელია სათიბ-საძოვრების განვითარება.

IV - ზონა უკიდურესად მაღალია, მდებარეობს ალპურ ზონაში 2000-2500 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აშკარად შემცირებულია (1100-1000°C და ნაკლებია). ატმოსფერული ნალექების ჯამი ცივ პერიოდში შეადგენს 390-490 მმ, თბილ პერიოდში - 650-790 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება 7.V-22.V, ხოლო პირველი წაყინვები 7.IX-15.IX. მოცემული ზონა მთლიანად ალპურ პირობებში იმყოფება. ამიტომ, აქ შესაძლებელია წარმოებული იქნას ისეთი სახეობის კულტურები, რომლებიც ნაკლებ ტემპერატურათა ჯამებს მოითხოვენ (1000-1100°C), კერძოდ, საადრეო კარტოფილი, შვრია, ქერი და ბოსტნეული კულტურები, ასევე კენკროვანები (შავი მოცხარი, ქაცვი), მეცხოველეობის ძირხვენა კულტურები და სათიბ-საძოვრები. აღნიშნული ტემპერატურათა ჯამი დაგროვდება ზღ.დონიდან 2100-2200 მ სიმაღლეებზე.

3.2 კლიმატის ცვლილება: საქართველოს აღმოსავლეთ მთიანი რეგიონების აგროკლიმატური მახასიათებლები და ზონები

კლიმატის თანამედროვე გლობალურმა ცვლილებამ საქართველოს ტერიტორიაც მოიცვა, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ მხარე, სადაც გამოიკვეთა ტემპერატურის მეტი მატების ტენდენცია. აღნიშნულზე მიუთითებს მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრინციპების გათვალისწინებით, სავეგეტაციო პერიოდში (ეს პერიოდი განსაზღვრავს მცენარეთა ზრდა-განვითარებას, მოსავლის ფორმირებას და პროდუქტიულობას) შეფასებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს ხუთი რეგიონის - კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის მთიანი და მაღალმთიანი ზონების აგროკლიმატური მახასიათებლების ცვლილება კლიმატის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით.

მითითებული მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების აგროკლიმატური შეფასებისათვის, გამოყენებულია და დამუშავებულია საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მრავალწლიური (70 წლიანი) მიმდინარე (საბაზისო) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემები - ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურები. ასევე, დამუშავებულია მომავლის სცენარის მონაცემები, ტემპერატურის 2°C-ით მატება (2020-2049 წწ.), რომელიც მიღებულია რეგიონალური კლიმატური მოდელით - RegCM-4 და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სცენარით - A1. ყველა ზემოაღნიშნული რეგიონის ზონებში ჰაერის ტემპერატურის >10°C-ის ზევით <10°C-ის ქვევით გადასვლის თარიღის დადგენა წარმოებდა შესაბამისი განტოლებებით:

$y=-2.4x+79$ (გაზაფხულზე)
$y=3.2x-33$ (შემოდგომაზე)

განტოლებებში - y არის გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტემპერატურის >10°C-ის ზევით <10°C-ის ქვემოთ გადასვლის თარიღები; x - გაზაფხულზე და შემოდგომაზე ორი თვის ანუ თითოეული თვის საშუალო ტემპერატურების შეკრებილი ჯამი (გაზაფხულზე მარტი-აპრილის, შემოდგომაზე ოქტომბერ-ნოემბრის), პირველი თვის საშუალო ტემპერატურა უნდა იყოს 10°C-ზე ნაკლები, მეორე თვის - 10°C-ზე მეტი [23].

შემუშავებული სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას, ჰაერის დღეღამური თვის საშუალო ტემპერატურების დაკვირვებათა მონაცემების ანალიზისა და დამუშავების შედეგად, დადგენილი იქნა გაზაფხულზე ტემპერატურის 10°C-ის ზევით და შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ მდგრადი გადასვლის თარიღები. მიღებულ თარიღებს შორის განისაზღვრა აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალური განვითარება-პროდუქტიულობისათვის გამოყოფილი იქნა აგროკლიმატური ზონები ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით, მიმდინარე (საბაზისო) და მომავლის სცენარის, ტემპერატურის 2°C-ით მატების (2020-2049 წწ.) გათვალისწინებით. აღნიშნულისათვის გამოყენებული იქნა ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღები, აქტიურ ტემპერატურათა ჯამები (>10°C) და ზღ.დონიდან სიმაღლეები (მ). დამყარებული იქნა მჭიდრო კორელაციური კავშირები, საიდანაც შედგენილი იქნა რეგრესიის განტოლებები:
$n=0.029h+55$ (1),

ჰაერის ტემპერატურის 10°C-ზე გადასვლის თარიღის დადგენისათვის (საბაზისო);

$\Sigma T=-30.923n-0.57h+6085$ (2),

აქტიურ ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრისათვის (საბაზისო);

$n=0.035h+38$ (3),

სცენარი, ტემპერატურის 2°C-ით მატება, ტემპერატურის 10°C-ზე გადასვლის თარიღის დადგენისათვის;

$\Sigma T=-44.25n-0.15h+6742$ (4),

სცენარი, ტემპერატურის 2°C-ით მატება, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრისათვის.
მოცემულ განტოლებებში: ΣT - აქტიურ ტემპერატურათა ჯამია (>10°C), n - დღეთა რიცხვია 1 - თებერვლიდან ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლის დადგომის თარიღამდე; h - ზღ. დონიდან სიმაღლე (მ).

კახეთის რეგიონი

რეგიონს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აქტუალურია განისაზღვროს თუ როგორ შეიცვლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარების აგროკლიმატური მახასიათებლები. რათა შემუშავდეს ნეგატიურად შეცვლილი ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლების გავლენისადმი შესაბამისი რეკომენდაციები. ცხრილში 3.2.1 მოცემულია კახეთის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები [24, 25, 26, 27].

ცხრილი 3.2.1 კახეთის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები
Table 3.2.1 Agroclimatic characteristics of the mountainous and highland zones of Kakheti, taking into account the baseline and scenario (temperature increase of 2°C)

ზონა/ ზღ.დონიდან სიმაღლე (მ)	მეტეო-სადგური	ჰაერის ტემპ-ის >10°C-ზე გადასვლის თარიღი	ჰაერის ტემპ-ის <10°C-ზე გადასვლის თარიღი	ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	აქტიური ტემპ-ის ჯამი (>10°C)
მთიანი, 802	საგარეჯო	11.IV	27.X	199	3440
მაღალმთიანი, 1880	ომალო	29.V	20.IX	114	1498
სცენარი (ტემპერატურის 2°C-ის მატება)					
მთიანი	საგარეჯო	1.IV	8.XI	221	3890
მაღალმთიანი	ომალო	22.V	29.IX	130	1748

ცხრილიდან ჩანს, რომ გაზაფხულზე ტემპერატურის 2°C-ით მატებისას (სცენარით), 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღი 10 დღით ადრე იწყება, შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა სცენარის მიხედვით 12 დღით გვიან დაიკვირვება საბაზისოსთან შედარებით. სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია 199 დღიდან 221 დღემდე, ე.ი. 22 დღით. რაც შეეხება ტემპერატურათა ჯამის ცვლილებას, 2°C-ით მატებისას აქტიურ ტემპერატურათა ჯამმა შეიძლება მოიმატოს 450°C-ით. აღნიშნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მთიანი ზონისათვის შეიქმნება ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებისა და გავრცელებისათვის, ნიადაგის შესაბამისი ტენიანობის შემთხვევაში [60, 61].

მაღალმთიან ზონაში გაზაფხულზე, სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას 10°C-ის ზევით გადასვლა 7 დღით ადრე იწყება, ხოლო შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა - 9 დღით გვიან. მაშასადამე, ვეგეტაციის პერიოდი მოსალოდნელია გახანგრძლივდეს 114 დღიდან 130 დღემდე ანუ 16 დღით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამის (>10°C) მატება მოსალოდნელია 250°C-მდე, რაც უკეთესი აღმოჩნდება აგროკულტურებისათვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და სხვა [27].

კახეთის რეგიონი ჰაერის ტემპერატურის მატების ტენდენციის პირობებში იმყოფება, სადაც ტემპერატურა საშუალოდ მომატებულია 0.5°C-ით. Aამიტომ, მოცემული რეგიონის მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიისათვის გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები, როგორც საბაზისო ასევე, მომავლის სცენარით (2020-2049), ტემპერატურის 2°C-ის მატებით [28].

I - ზონა ვრცელდება 1000 მ-დან 1500 მ სიმაღლემდე, ზღ.დონიდან და მოიცავს მთიან ტერიტორიებს. საბაზისო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2184°C. სცენარით, ჰაერის ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 2510°C. აღნიშნულ პირობებში 1300-1400 მ სიმაღლემდე შესაძლებელი იქნება ვაზის საადრეო ჯიშების გავრცელება. ასევე, შესაძლებელია გავრცელდეს ხორბლის, ქერის, კარტოფილის, ბოსტნეულის, სიმინდის კულტურები (მხოლოდ 1200-1300 მ სიმაღლეზე). მოცემული ზონაში ერთწლიანი კულტურების უკეთესი პროდუქტიულობისათვის, ცალკეულ წლებში საჭიროა ჩატარდეს ერთჯერადი მორწყვა და ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერება ტენის შენარჩუნებისათვის.

II - ზონა ვრცელდება ზღ.დონიდან 1500-2000 მ სიმაღლემდე და მოიცავს მაღალმთიან ტერიტორიებს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შედაგენს 1451°C (საბაზისო). სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 1663°C. ატმოსფერული ნალექების ჯამი V-IX პერიოდში შეადგენს 342 მმ, აქტიური ვეგეტაციის (VI-VIII) პერიოდში - 265 მმ, ხოლო ჰიდროთერმული კოეფიციენტები - 2.4 და 2.2 ნალექების შესაბამისად. მოცემულ პირობებში შესაძლებელია საშემოდგომო ხორბლის კულტურის გავრცელება 1600-1800 მ სიმაღლეზე, ხეხილოვანების - 1500-1600 მ-მდე. ასევე, შესაძლებელია

კენკროვანების და მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების და კულტურების გავრცელება.

III - ზონა ვრცელდება სუბალპური ზონის თითქმის ზედა საზღვრამდე, 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე. მოცემულ მაღალმთიან ზონაში საბაზისო აქტიურ ტემპარატურათა ჯამი აშკარად შემცირებულია 2500 მ სიმაღლეზე (717°C, საბაზისო), ხოლო მომავლის სცენარით, აქტიური ტემპერატურის 2°C-ით მატებისას მოსალოდნელია - 814°C. რაც კარტოფილის, ბოსტნეულის, ქერის, შვრიის, კენკროვანი კულტურების, კუნელის, უეკლო ქაცვის წარმოებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის წვნიანი ძირხვენა საკვების, სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის არარენტაბელურია. ზღ.დონიდან 2300 მ სიმაღლეზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი დაახლოებით 1010°C-მდეა (საბაზისო), თუმცა ამ ტემპერატურაზეც აღნიშნული კულტურების წარმოება ნაკლებად პროდუქტიული იქნება. იმავე სიმაღლეზე (2300 მ) მომავლის სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მოსალოდნელია 1153°C, რაც უკეთესი იქნება ამ ზონაში ზემოაღნიშნული კულტურების წარმოებისათვის. ზონა ატმოსფერული ნალექების რაოდენობით და ჰიდროთერმული კოეფიციენტების მაჩვენებლებით დამაკმაყოფილებელია.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

რთული მთაგორიანი რელიეფიდან გამომდინარე, რეგიონი ხასიათდება სხვადასხვა ტიპის კლიმატური პირობებით. რაც შესაძლებელს ხდის მარცვლეულის, ხეხილოვანების, ვაზის, ბოსტნეული კულტურების, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის კიდევ უფრო განვითარებას და მაღალი მოსავლის მიღებას. კლიმატის ცვლილების პირობებში, მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული გამოცდილება, იმის შესახებ შეიცვლება თუ არა მოცემული რეგიონის ტერიტორიაზე აღნიშნული კულტურების ნორმალური განვითარებისა და პროდუქტიულობის აგროკლიმატური მახასიათებლები. ამიტომ მიზანშეწონილია მათი ცვლილების გამოვლენა, უარყოფითი გავლენის მიმართ მითიგაციური ღონისძიებების შემუშავებისათვის. ცხრილში 3.2.2 მოცემულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები [29].

ცხრილი 3.2.2 მცხეთა-მთიანეთის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები
Table 3.2.2 Agroclimatic characteristics of Mtskheta-Mtianeti mountainous and highland zones taking into account the baseline and scenario (temperature increase of 2°C)

ზონა/ ზღ.დონიდან სიმაღლე (მ)	მეტეო-სადგური	ჰაერის ტემპ-ის >10°C-ზე გადასვლის თარიღი	ჰაერის ტემპ-ის <10°C-ზე გადასვლის თარიღი	ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	აქტიური ტემპ-ის ჯამი (>10°C)
მთიანი, 922	დუშეთი	18.IV	20.X	185	3095
მაღალმთიანი, 1744	ყაზბეგი	21.V	22.IX	124	1628
სცენარი (ტემპერატურის 2°C-ის მატება)					
მთიანი	დუშეთი	9.IV	31.X	205	3581
მაღალმთიანი	ყაზბეგი	12.V	1.X	142	2088

ცხრილის მიხედვით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიან ზონაში ვეგეტაციის პერიოდი გახანგრძლივებულია 185 დღიდან 205 დღემდე ანუ 20 დღით. ვეგეტაციის გახანგრძლივებული დღეები, გაზაფხულზე 9 დღე და შემოდგომაზე 11 დღე დაეხმარება აგროფერმერებს ხელსაყრელ პირობებში ჩაატარონ აგროტექნიკით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოები. უნდა აღინიშნოს ასევე, აქტიური ტემპერატურის ჯამის მატების ტენდენცია, სცენარიდან (2°C-ით მატებისას) გამომდინარე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მატება შეადგენს 486°C. მთიანი ზონისათვის ასეთი ტემპერატურის ჯამი (>10°C) ხელსაყრელი აღმოჩნდება მცენარეთა განვითარება-გავრცელებისათვის, შესაბამისი ტენიანობის შემთხვევაში [30].

მაღალმთიან ზონაში ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, გაზაფხულზე სცენარის მიხედვით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას, ჰაერის ტემპერატურის 10°C-ზე ზევით გადასვლა 9 დღით ადრე იწყება, ხოლო შემოდგომაზე 10°C-ზე ქვემოთ გადასვლა 9 დღით გვიან. მაშასადამე, ვეგეტაციის პერიოდი მაღალმთიან ზონაში საკმაოდ შეცვლილია. იგი გახანგრძლივებულია 124 დღიდან 142 დღემდე ანუ 18 დღით. ასევე, მომატებულია ტემპერატურის 2°C-ით მატებისას აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 460°C-ით. ეს ტემპერატურა დადებითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებაზე, შესაბამისი ტენიანობის პირობებში, რადგან მაღალმთიან პირობებში მცენარეულობა სითბოს ნაკლებობას განიცდიან. ზემოაღნიშნული გახანგრძლივებული ვეგეტაციის პერიოდის 18

დღე, აქედან გაზაფხულზე 9 დღე ვეგეტაციის ადრე დაწყების შესაძლებლობას იძლევა სათიბ-საძოვარი ბალახებისათვის. მოცემულ ზონაში წარმატებით შეიძლება ქერის, შვრიის წარმოება, ბოსტნეულისა და კენკროვანი კულტურების გავრცელება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიან და მაღალმთიან ტერიტორიაზე ვერტიკალური ზონების გამოყოფის მიზნით, სადაც შესაძლებელია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება, გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები [31, 62, 63, 64].

I - ზონა მოიცავს მთიან ტერიტორიებს და ვრცელდება 1000 მ-დან 1500მ სიმაღლემდე, ზღ.დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) საშუალოდ შეადგენს 2184°C, ხოლო სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 2512°C. ამ ზონის ტემპერატურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, 1200-1300 მ სიმაღლემდე შესაძლებელია საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალის, ქერის, კარტოფილის, სიმინდის და ბოსტნეული კულტურების გავრცელება. ასევე, პერსპექტიულია 1300-1400 მ სიმაღლემდე ვაზის საადრეო ჯიშების გავრცელება.

ატმოსფერული ნალექები რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში დამაკმაყოფილებელია მითითებული კულტურების განვითარება-პროდუქტიულობისათვის.

II - ზონა ვრცელდება 1500 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან და მოიცავს მაღალმთიან ტერიტორიებს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) რამდენადმე შემცირებულია და შეადგენს 1451°C (საბაზისო), ხოლო სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 1663°C. მოცემული ტემპერატურების პირობებში შეზღუდულია ვაზისა და სამარცვლე სიმინდის გავრცელება. ატმოსფერული ნალექების ჯამი სავეგეტაციო პერიოდში დაიკვირვება საშუალოდ 476 მმ, ხოლო აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII) საშუალოდ - 356 მმ. ზონაში მოცემული ნალექები მაღალმთიანი ზონისათვის დამაკმაყოფილებელია. ამ ზონაში შესაძლებელია საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის გავრცელება 1600-1800 მ და მეტ სიმაღლემდე, საადრეო ხეხილოვანების. ასევე, კენკროვანების და მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების გავრცელება.

III - ზონა ვრცელდება 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან. იგი თითქმის სუბალპური ზონის ზედა საზღვარს მოიცავს. ამ ზონაში 2500 მ სიმაღლეზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) მნიშვნელოვნად შემცირებულია (717°C, საბაზისო). სცენარის მიხედვით, იგი აღწევს 814°C. ასეთი ტემპერატურის პირობებში ქერის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეულის, კენკროვანების და მეცხოველეობის ძირხვენა საკვები კულტურების განვითარება და პროდუქტიულობა შეზღუდული და არარენტაბელურია. მომავლის სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას აქტიური ტემპერატურის ჯამი (>10°C) 2300 მ სიმაღლეზე შეადგენს 1153°C, რაც შედარებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის აღნიშნულ კულტურებს

განვითარებისათვის. ზონაში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დამაკმაყოფილებელია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთი რთული ოროგრაფიული პირობებით ხასიათდება. რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები 800 მ-დან 1400 მ სიმაღლემდე ხელსაყრელია მარცვლეულის, ხეხილოვანების, ბოსტნეულის, საადრეო ვაზის და სხვა კულტურების განვითარებისათვის. აღნიშნული სიმაღლის ზევით 1400-1500 მ-დან 2000 მ და მეტ სიმაღლეზე მითითებული კულტურების წარმოება და პროდუქტიულობა შეზღუდულია, მათი განვითარებისათვის. მაღალმთიან რეგიონებში ტემპერატურის, როგორც განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორის ნაკლებობა აშკარადაა გამოხატული. ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლიმატურ მახასიათებლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ცხრილში 3.2.3 მოცემულია სამცხე-ჯავახეთის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები [32, 33, 34, 35].

ცხრილი 3.2.3 სამცხე-ჯავახეთის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები
Table 3.2.3 Agroclimatic characteristics of mountainous and highland zones of Samtskhe-Javakheti, taking into account the baseline and scenario (temperature increase of 2°C)

ზონა/ ზღ.დონიდან სიმაღლე (მ)	მეტეო-სადგური	ჰაერის ტემპ-ის >10°C-ზე გადასვლის თარიღი	ჰაერის ტემპ-ის <10°C-ზე გადასვლის თარიღი	ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	აქტიური ტემპ-ის ჯამი (>10°C)
მთიანი, 982	Aახალციხე	8.IV	25.X	200	3412
მთიანი, 1716	ახალქალაქი	4.V	11.X	160	2125
მაღალმთიანი, 2100	ფარავანი (ნინოწმინდა)	1.VI	26.IX	117	1292

სცენარი (ტემპერატურის 2°C-ის მატება)					
მთიანი	ახალციხე	21.IV	15.X	177	2959
მთიანი	ახალქალაქი	18.V	29.IX	134	1875
მაღალმთიანი	ფარავანი (ნინოწმინდა)	12.VI	14.IX	94	1192

მთიან ზონაში გაზაფხულზე, 2°C-ით მატებისას (სცენარი) 10°C-ზე გადასვლის თარიღი 13 დღით ადრე იწყება, შემოდგომაზე კი 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 10 დღით გვიან წყდება, საბაზისოსთან შედარებით. სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია 177 დღიდან 200 დღემდე ანუ 23 დღით. აღნიშნული დღეები გაზაფხულზე (13 დღე), შემოდგომაზე (10 დღე) ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მუშაკებს საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებაში. მომატებულია ასევე, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) - 447°C, რომელიც სასარგებლოა ნაყოფების სრულფასოვანი მომწიფებისათვის. Aატმოსფერული ნალექების მაჩვენებლები სავეგეტაციო პერიოდში რამდენადმე დამაკმაყოფილებელია, თუმცა აქტიური ვეგეტაციის პერიოდში არასაკმარისია მცენარეების შეუფერხებელი განვითარებისათვის. აღნიშნულ პერიოდში საჭირო იქნება ნიადაგში ტენიანობის გაზრდა.

მაღალმთიან ზონაში გაზაფხულზე ტემპერატურის 2°C-ით მატებისას ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლა 14 დღით ადრე იწყება, 1716 მ სიმაღლეზე, ხოლო უფრო მაღლა 11 დღით ადრე 2100 მ სიმაღლეზე. შემოდგომაზე, ტემპერატურის 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 12 დღით გვიან მთავრდება 1716 მ სიმაღლეზე, უფრო მაღლა 12 დღით გვიან 2100 მ სიმაღლეზე. მაშასადამე, ვეგეტაციის პერიოდი გახანგრძლივებულია 134 დღიდან 160 დღემდე, 1716 მ სიმაღლეზე, უფრო მაღლა 94 დღიდან 117 დღემდე, 2100 მ სიმაღლეზე. მაღალმთიან ზონაში გახანგრძლივებული დღეები (23-26 დღე) ხელსშეუწყობს აგროფერმერებს ეფექტურად ჩაატარონ საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოები. ჰაერის ტემპერატურის 2°C-ით მატებისას, მომატებულია აქტიური ტემპერატურის ჯამი - 250°C (1716 მ სიმაღლეზე), უფრო მაღლა - 100°C (2100 მ სიმაღლეზე). მომატებული ტემპერატურები მცირეა, მაგრამ მას მაღალმთიანი ზონის პირობებში მნიშვნელოვანი წლილის შეტანა შეუძლია მარცვლეულის, ბოსტნეულის, კენკროვანების, მეცხოველეობის საკვები ძირხვენა კულტურების და სათიბ-საძოვარი ბალახების განვითარებაში.

მოცემული რეგიონის ტერიტორიაზე გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები, სადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება [65, 66, 67, 68].

I - ზონა მოიცავს მთიან ტერიტორიებს ზღ.დონიდან 800-1000 მ და ოდნავ მეტ სიმაღლეზე. აქტიური ტემპერატურის ჯამი (>10°C) შეადგენს 2917°C (საბაზისო), ხოლო სცენარით, ჰაერის ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 3362°C.

მოცემული ტემპერატურის პირობებში შეიძლება გავრცელდეს ვაზის საგვიანო ჯიშები 1000-1100 მ და ოდნავ მეტ სიმაღლეზე, საადრეო ჯიშები - 1300-1400 მ სიმაღლემდე (ხეხილოვანი, მარცვლეული, ბოსტნეული და კენკროვანი კულტურები). სავეგეტაციო პერიოდში ზონა ნაკლებადაა უზრუნველყოფილი ატმოსფერული ნალექებით, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII).

II - ზონა ვრცელდება 1000 მ-დან 1500 მ სიმაღლემდე, ზღ.დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) აღწევს 2184°C, სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 2512°C. აღნიშნული ტემპერატურების პირობებში შეიძლება გავავრცელოთ საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, შვრია, ჭვავი, სამარცვლე სიმინდი (1200-13000 მ სიმაღლემდე), ხეხილოვანები, კენკროვანი და ბოსტნეული კულტურები. მოცემულ ზონაში კულტურების ტენით უზრუნველყოფა ძირითადად უნდა მოხდეს გვალვების შემთხვევაში.

III - ზონა ვრცელდება ზღ.დონიდან 1500-2000 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) რამდენადმე შემცირებულია და შეადგენს 1451°C (საბაზისო), ხოლო სცენარით ტემპერატურის 2°C-ით მატებისას - 1663°C. ამ ზონაში შეზღუდულია შედარებით სითბოსმოყვარული (ვაზი, სამარცვლე სიმინდი, საგვიანო ხეხილოვანები) კულტურების განვითარება-გავრცელება. მოცემულ ზონაში შეიძლება ხორბლეულის გავრცელება 1600-1800 მ და მეტ სიმაღლეზე, საადრეო ხეხილოვანების 1500-1600 მ-მდე, კენკროვანების 1800-2000 მ და მეტ სიმაღლეზე. ასევე, შესაძლებელია მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების გავრცელება. აღნიშნული კულტურები, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII) მოითხოვს ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას სასურველი რაოდენობის და ხარისხის მოსავლის მიღებისათვის.

IV - ზონა ვრცელდება 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე. ამ უკანასკნელის სიმაღლეზე ტემპერატურის ჯამი (>10°C) აშკარად შემცირებულია. მოცემულ ზონაში ზემოაღნიშნული კულტურების პროდუქტიულობა შეზღუდული და არარენტაბელური იქნება. სცენარის მიხედვით, 2°C-ით მატებისას 2300 მ სიმაღლეზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აღწევს 1153°C, ამ პირობებშიც შედარებით უკეთესი იქნება აღნიშნული კულტურების განვითარება-გავრცელება.

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის რეგიონი იმყოფება ნაწილობრივ მთიან და მაღალმთიან პირობებში. იგი მნიშვნელოვანი რეგიონია სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. არსებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აწარმოებენ სხვადასხვა სახის მარცვლეულს, ვაზს, ხეხილოვანებს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ეთერზეთოვან ტექნიკურ, ზოგიერთ

მშრალ სუბტროპიკულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, მნიშვნელოვანია შეფასდეს რეგიონის ტერიტორიაზე აგროკლიმატური მახასიათებლები, რასთანაც პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნული კულტურების ნორმალური განვითარება და პროდუქტიულობა. საჭიროა ამ ცვლილების გამოვლენა, აგროკლიმატური მახასიათებლების ნეგატიური გავლენის მიმართ შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად. ცხრილში 3.2.4 მოცემულია ქვემო ქართლის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები [69, 70, 71].

ცხრილი 3.2.4 ქვემო ქართლის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები

Table 3.2.4 Agroclimatic characteristics of mountainous and highland zones of Kvemo Kartli, taking into account the baseline and scenario (temperature increase of 2°C)

ზონა/ ზღ.დონიდან სიმაღლე (მ)	მეტეო-სადგური	ჰაერის ტემპ-ის >10°C-ზე გადასვლის თარიღი	ჰაერის ტემპ-ის <10°C-ზე გადასვლის თარიღი	ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	აქტიური ტემპ-ის ჯამი (>10°C)
მთიანი, 1256	დმანისი	30.IV	13.X	166	2599
მაღალმთიანი, 1464	წალკა	12.V	30.IX	141	1999
სცენარი (ტემპერატურის 2°C-ის მატება)					
მთიანი	დმანისი	22.IV	22.X	183	2949
მაღალმთიანი	წალკა	1.V	12.X	164	2349

ცხრილის მიხედვით, მთიან ზონაში გაზაფხულზე, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას 10°C-ის ზევით გადასვლის თარიღი 8 დღით ადრე იწყება, ხოლო შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 9 დღით გვიან წყდება საბაზისოსთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია 166 დღიდან 183 დღემდე ანუ 17 დღით. მოცემულ ზონაში, გახანგრძლივებული დღეები (17 დღე), ხელშემწყობია გაზაფხულზე და შემოდგომაზე აგროტექნიკით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების

ორგანიზებულად და ეფექტურად ჩასატარებლად. ზონაში ასევე, მომატებულია აქტიური ტემპერატურის ჯამი (>10°C) 350°C-ით. რაც შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს მცენარეთა განვითარება-გავრცელებისათვის ნიადაგის შესაბამისი ტენიანობის პირობებში.

მაღალმთიან ზონაში, გაზაფხულზე სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას, ჰაერის ტემპერატურის 10°C-ის ზევით გადასვლა 11 დღით ადრე იწყება, შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 12 დღით გვიან მთავრდება. სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია - 141 დღიდან 164 დღემდე ანუ 23 დღით. ასევე, მომატებულია ტემპერატურის 2°C-ით მატებისას აქტიური ტემპერატურის ჯამი (>10°C) 350°C-ით. ეს ნამატი ტემპერატურის ჯამი გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებასა და პროდუქტიულობას [36, 37, 38].

ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე, ვერტიკალური ზონების გამოყოფის მიზნით, სადაც შეიძლება გავრცელებული იქნას შესაბამისი პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურები გამოყენებულია თავში 4.2 მოცემული რეგრესიის განტოლებები. მოცემული განტოლებებით გათვალისწინებულია მომავლის სცენარი (2020-2049 წწ.), ტემპერატურის 2°C-ით მატება და საბაზისოსთან ერთად, შედარებისათვის გამოყოფილია შესაბამისი აგროკლიმატური ზონები [39, 40].

I - ვრცელდება ზღ.დონიდან 1000-1500 მ სიმაღლემდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2184°C (საბაზისო), ხოლო სცენარით, 2°C-ით მატებისას - 2512°C. ამ უკანასკნელი ტემპერატურის პირობებში შესაძლებელია გავრცელებული იქნას მარცვლეული კულტურები (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შვრია), კარტოფილი, სიმინდი, 1200-1300 მ სიმაღლემდე, ბოსტნეული, საადრეო ხეხილოვანები, ვაზის ჯიშები: საგვიანო ჯიშები 1100-1200 მ სიმაღლემდე, საადრეო - 1300-1400 მ სიმაღლემდე. სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექები შეადგენს 460 მმ, ხოლო აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII) - 234 მმ. მოცემული მახასიათებლები დამაკმაყოფილებელია აღნიშნული კულტურების განვითარებისა და პროდუქტიულობისათვის. თუმცა, გვალვების შემთხვევაში, მოსავლის შენარჩუნებისათვის საჭირო იქნება ნიადაგში ტენის რაოდენობის გაზრდა.

II - ზონა ვრცელდება 1500 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე, რომელიც მოიცავს მაღალმთიან ტერიტორიებს. აქტიური ტემპერატურის ჯამი შემცირებულია 1451°C-მდე (საბაზისო), ხოლო ტემპერატურის სცენარით, 2°C-ით მატებისას შეადგენს 1663°C. ასეთი ტემპერატურების პირობებში შეზღუდულია სამარცვლე სიმინდის და ვაზის გავრცელება. შეიძლება საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის გავრცელება 1600-1800 მ სიმაღლემდე, ქერისა და შვრიის კულტურების გავრცელება უფრო მაღალ სიმაღლეზე, საადრეო ხეხილოვანების 1500-1600 მ სიმაღლემდე. ასევე, შესაძლებელია კენკროვანების და მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების გავრცელება და სათიბ-საძოვარი

ბალახების განვითარება. ატმოსფერული ნალექები რამდენადმე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ გვალვების შემთხვევაში მცენარეებისათვის საჭირო იქნება ტენით უზრუნველყოფა.

III - ზონა ვრცელდება 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (>10°C) შემცირებულია 717°C-მდე (საბაზისო), ხოლო სცენარით, 2°C-ით მატებისას ტემპერატურის ჯამი შეადგენს 814°C. ასეთი ტემპერატურების პირობებში, ერთწლიანი და კენკროვანი კულტურების განვითარება და პროდუქტიულობა საკმაოდ შეზღუდულია. 2300 მ სიმაღლეზე სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას, აქტიური ტემპერატურის ჯამი შედარებით მაღალია - 1153°C. აქ შესაძლებელი იქნება ბოსტნეულის, კარტოფილის, ქერის, შვრიის, კენკროვანების, მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების და საძოვრების განვითარება. მოცემულ ზონაში არსებული ნალექები, თუ მომავალში შენარჩუნდება დამაკმაყოფილებელი იქნება მცენარეებისათვის.

შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლის რეგიონს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, პროდუქტების წარმოებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. გააქტიურებული კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ როგორ შეიცვლება მოცემული რეგიონის ტერიტორიაზე დღემდე არსებული ზემოაღნიშნული კულტურების ნორმალური განვითარების აგროკლიმატური მახასიათებლები. ცხრილში 3.2.5 მოცემულია შიდა ქართლის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები [41, 42, 43].

ცხრილი3.2.5 შიდა ქართლის მთიანი და მაღალმთიანი ზონების საბაზისო და სცენარის (ტემპერატურის 2°C-ის მატება) გათვალისწინებით აგროკლიმატური მახასიათებლები
Table 3.2.5 Agroclimatic characteristics of the mountainous and highland zones of Shida Kartli, taking into account the baseline and scenario (temperature increase of 2°C)

ზონა/ ზღ.დონიდან სიმაღლე (მ)	მეტეო-სადგური	ჰაერის ტემპ-ის >10°C-ზე გადასვლის თარიღი	ჰაერის ტემპ-ის <10°C-ზე გადასვლის თარიღი	ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	აქტიური ტემპ-ის ჯამი (>10°C)

მთიანი, 690	ხაშური	18.IV	20.X	185	3143
მაღალმთიანი, 1124	ჯავა	29.IV	12.X	166	2593
სცენარი (ტემპერატურის 2°C-ის მატება)					
მთიანი	ხაშური	6.IV	31.X	208	3637
მაღალმთიანი	ჯავა	20.IV	22.X	185	2943

ცხრილის ანალიზდან გამომდინარე, მთიან ზონაში, გაზაფხულზე სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას 10°C-ზე ზევით გადასვლის თარიღი 12 დღით ადრე იწყება, ხოლო შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 11 დღით გვიან მთავრდება, საბაზისოსთან შედარებით. მაშასადამე, მთიან ზონაში ვეგეტაციის პერიოდი გახანგრძლივებულია 185 დღიდან 208 დღემდე ანუ 23 დღით. ასევე, იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10°C-ის ზევით. სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას შეადგენს 494°C. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთიანი ზონისათვის, საკმაოდ ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები შეიქმნება მცენარეთა განვითარებისა და გავრცელებისათვის, იმ შემთხვევაში თუ ნიადაგი შესაბამისად იქნება ტენით უზრუნველყოფილი.

მაღალმთიან პირობებში, გაზაფხულზე, ჰაერის ტემპერატურის 2°C-ით მატებისას ტემპერატურის 10°C-ზე ზევით გადასვლა 9 დღით ადრე იწყება, ხოლო შემოდგომაზე 10°C-ის ქვემოთ გადასვლა 10 დღით გვიან მთავრდება. ვეგეტაციის პერიოდი გახანგრძლივებულია 166 დღიდან 185 დღემდე ანუ 19 დღით. აღნიშნული გახანგრძლივებული დღეების პირობებში, გაზაფხულზე 9 დღით, შემოდგომაზე 10 დღით, საშუალებას იძლევა ჩატარდეს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები [44, 45].

შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე, ვერტიკალური ზონების გამოყოფის მიზნით, სადაც შეიძლება გავრცელებული იქნას შესაბამისი პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურები გამოყენებულია თავში 4.2 მოცემული რეგრესიის განტოლებები. მოცემული განტოლებებით გათვალისწინებულია მომავლის სცენარი (2020-2049 წწ.), ტემპერატურის 2°C-ით მატება და საბაზისოსთან ერთად, შედარებისათვის გამოყოფილია შესაბამისი აგროკლიმატური ზონები [72, 73].

I - ზონა მოიცავს მთიან ტერიტორიებს და ვრცელდება 1000-1500 მ სიმაღლემდე. მოცემულ ზონაში რამდენადმე შეზღუდულია ვაზის, სამარცვლე სიმინდის და საგვიანო ხეხილოვანი კულტურების განვითარება-გავრცელება. აქ შესაძლებელია საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის გავრცელება. Aასევე, საადრეო ხეხილოვანების და კენკროვანი კულტურების გავრცელებაც. აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII), ძირითადად გვალვების შემთხვევაში

მცენარეები საჭიროებენ ფესვთა სისტემისათვის ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას.

II - ზონა მოიცავს მაღალმთიან ტერიტორიებს და ვრცელდება 1500 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე. აქტიური ტემპერატურის ჯამი 10°C-ის ზევით შემცირებულია და შეადგენს 1451°C (საბაზისო), ტემპერატურის 2°C-ით მატებისას 1663°C. მოცემულ ზონაში შესაძლებელია ხორბლეულის (საშემოდგომო და საგაზაფხულო), ქერის, ჭვავის, შვრიის განვითარება-გავრცელება 1600-1800 მ და მეტ სიმაღლეზე, ბოსტნეულის, კარტოფილის, საადრეო ხეხილოვანების 1500-1600 მ სიმაღლემდე, კენკროვანების - 1800-2000 მ და მეტ სიმაღლემდე, ბოსტნეულის, კარტოფილის, ასევე მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების განვითარება-გავრცელება. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში (V-IX) დამაკმაყოფილებელია. აქტიური ვეგეტაციის პერიოდში, გვალვების შემთხვევაში საჭირო იქნება მითითებული კულტურების ტენით უზრუნველყოფა.

III - ზონა მოიცავს მაღალმთიანი ზონის ტერიტორიებს და ვრცელდება 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე. ამ უკანასკნელ სიმაღლეზე ზემოაღნიშნული კულტურების განვითარება-გავრცელება არარენტაბელურია, აქტიური ტემპერატურების ჯამის ნაკლებობის გამო. მომავლის სცენარით, ტემპერატურის 2°C-ით მატებისას აქტიური ტემპერატურის ჯამი 2300 მ სიმაღლეზე რამდენადმე ხელსაყრელია და შეადგენს 1153°C. ასეთ პირობებში ქერის, შვრიის, ბოსტნეულის, კენკროვანების, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების, ასევე სათიბ-საძოვრების განვითარება-გავრცელება რენტაბელურია.

3.3 საქართველოს მაღალმთიან აგროკლიმატურ პირობებში ალტერნატიული მიწათმოქმედება მდგრადი განვითარებისათვის (სამხრეთ საქართველოს მაგალითზე)

ორგანული მიწათმოქმედების მსოფლიო პრაქტიკა

XX საუკუნის მიწურულს კაცობრიობამ მდგრადი განვითარების იდეები აღიარა ჩვენი პლანეტის გადარჩენის ერთადერთ რეალურ გზად. ჩვენი და მომავალი თაობის კეთილდღეობა და უფრო მეტიც, არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰარმონიული ურთიერთობა გვექნება ბუნებასთან. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა გარდა არსებული აგროკლიმატური რესურსების ეფექტურად მართვისა, გულისხმობს მდგრადი განვითარების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მდგრადი

განვითარების პრინციპების უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივი პერიოდით მოსახლეობის მომარაგებას ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ასევე, ითვალისწინებს გარემოს დაცვას, მის შენარჩუნებას და განვითარებას. არსებული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მთიან და მაღალმთიან პირობებში ალტერნატიული გზა არის ორგანული მიწათმოქმედების განვითარება. ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ალტერნატიული მიწათმოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ორგანული მიწათმოქმედების გლობალური განვითარება გარემოს დაცვაზე ორიენტირებული გარდაქმნის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია, რომელსაც მდგრადი განვითარების ტენდენცია ახასიათებს. აღნიშნულმა სისტემამ ეკოლოგიური თვალსაზრისით, განავითარა უვნებელი და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო კვლევის მეთოდები და პრინციპები. იგი ითვალისწინებს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის უსაფრთხო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს გვერდითი მოვლენები.

ორგანული მიწათმოქმედება, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, გასული საუკუნის დასაწყისში, სხვადასხვა ეკოლოგიურ მოძრაობათა საფუძველზე წარმოიშვა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ევროპელი მეცნიერები და ფილოსოფოსები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს უსასუქო და უქიმიკატო მიწათმოქმედების შესახებ, მაგრამ მასიური მოძრაობა ორგანული მეურნეობების შექმნისათვის დაიწყო მხოლოდ 70-80-იან წლებში. ევროპაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მეცნიერებისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებას სოფლის მეურნეობაში, ხელოვნური (ქიმიური) სასუქებისა და შხამქიმიკატების დანერგვა მოჰყვა. რამაც გაზარდა მოსავლიანობა და შეამცირა შრომატევადობა. ამ დროისათვის ევროპაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილება გაზრდილი იყო და ამდენად, ეს ერთი შეხედვით პრობლემას წყვეტდა, მაგრამ შენიშნეს, რომ ქიმიური სასუქი ნიადაგს ფიტავდა და ყოველ მომდევნო წელს იგი მზარდი რაოდენობით უნდა შეეტანათ, რაც გლეხს დამოკიდებულს ხდიდა ქიმიურ წარმოებაზე; უფრო მეტი ახალი მავნებელი და დაავადება ჩნდებოდა, რომლებიც რეზისტენტული ხდებოდნენ ქიმიური სასუქის მიმართ, ეს კი დოზის მომატებას საჭიროებდა. ასევე, იგი იწვეწვდა ადამიანის სხვადასხვა სახის დაავადებას და მავნე გავლენას ახდენდა გარემოზე. აღნიშნულის შესწავლის საფუძველზე, რ.შტაინერმა ჩამოაყალიბა ე.წ. ბიოდინამიური მეურნეობრიობის ძირითადი საფუძვლები, ხოლო ჰ.მიულერმა დასაბამი დაუდო ბიოორგანულ მიწათმოქმედებას. მან შეიმუშავა ბიოორგანული მეურნეობრიობის საფუძვლები, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გლეხურ მეურნეობას, საკუთარი დამოუკიდებლობით, მიეღწია მდგრადი განვითარებისათვის. ევროპაში, გასული საუკუნის ბოლოს, აგრარულ სფეროში შექმნილი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მცდელობა იყო ფრანგული ინტენსიური მეთოდი. 1920-60

წლებში ა.ჩედვიკმა გააერთიანა ფრანგული ინტენსიური და ბიოდინამიური მეთოდები. მეურნეობრიობის ასეთი ტიპი დღეს ცნობილია, როგორც ბიოინტენსიური. 1974 წელს ბ.მოლისონმა და დ.ჰოლმგრენმა შეიმუშავეს ეკოლოგიურად მიზანშეწონილი სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელიც ძირითადად ეფუძვნება მრავალწლიანი კულტურების მრავალფეროვნებას (,,პერმაკულტურა''). ეს არის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა დედამიწაზე ვიარსებოთ შედარებით უვნებელი ენერგიის გამოყენებით, რომელიც ბუნებრივ მოძრაობაშია. ყველა აღნიშნული მიწათმოქმედების მიმართულება გულისხმობს: გარემოს დაცვას, აგროეკოსისტემებში ნივთიერებების წრებრუნვის და ენერგიის გადატანის გააქტიურებას, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მის გარანტირებულ რაოდენობას და აგროეკოსისტემების მდგრადობის უზრუნველყოფას [46].

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ალტერნატიული მიწათმოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესი. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში მან მიიღო ,,სოფლის მეურნეობის გადარჩენის" სახელწოდება. 1972 წელს ვერსალში (საფრანგეთი) შეიქმნა ორგანული მიწათმოქმედების საერთაშორისო ორგანიზაცია (IFOAM), სადაც გაერთიანდნენ მეცნიერ-აგრარიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ რომ ორგანული მიწათმოქმედებაა ის სისტემა, რომელიც ეფუძვნება თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზრუნველყოფს მოსახლეობას ჯანმრთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. IFOAM-ის მთავარი ფუნქციაა მსოფლიოს ორგანული მოძრაობების კოორდინირება.

თანამედროვე ეტაპზე არსებობს ორგანული მიწათმოქმედების მსოფლიო პრაქტიკა, რომლის ერთ-ერთ ლიდერად შვეიცარია ითვლება. აქ პირველი ბიოდინამიური და ორგანული ფერმები გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გაჩნდა. ორგანულ მეურნეობათა საერთო ფართი მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 8,9%-ია. ორგანული ფერმების კონცენტრაცია გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იცვლება. საერთო რაოდენობის 20% ბარშია, 11% მთაგორიან ნაწილში და 69% ალპურ ზონაში. 90-იანი წლებიდან შვეიცარიაში დაიწყო ორგანულ მეურნეობათა რაოდენობის ინტენსიური ზრდა, რასაც ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებს: 1. მომხმარებელი არჩევს ჯანმრთელი პროდუქციის შეძენას; 2. სახელმწიფო გამოყოფს სუფსიდიებს ორგანული ფერმების დასახმარებლად; 3. ორგანული პროდუქცია გამოჩნდა სუპერმარკეტების ორ მთავარ ქსელში: ,,Coop" და ,,Migros."

ორგანული მიწათმოქმედების მსოფლიო პრაქტიკაში ფიგურირებს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ალტერნატიული მიწათმოქმედება განიხილება, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომლის მეთოდებიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ

გამოყენებას, ხოლო შემუშავებული კანონთა კრებული იცავს მომხმარებელს და ბუნებას ჭარბი ქიმიკატებისაგან. ორგანული მიწათმოქმედების ეფექტურობის შემფასებელ ექსპერტთა დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ ,,ორგანული მიწათმოქმედება ეკონომიურად ეფექტურია, უზრუნველყოფს ენერგიის ეკონომიას, გარემოს დაცვას, პროდუქტიულია, სტაბილურია და გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტენდენცია".

გასული საუკუნის 80-იან წლებში, საგრძნობლად გაიზარდა ორგანული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ჰოლანდიაში. ამჟამად ბიოლოგიური მეთოდებით იმართება საერთო სასოფლო-სამეურნეო ფართის 30%. ჰოლანდიის ორგანული სოფლის მეურნეობის მთავარი მიზანია პროდუქციის ზრდა ბიოწარმოების სტანდარტების მკაცრი დაცვით და განაწილების სისტემის პროფესიული დონისა და ეფქტურობის ამაღლება. ჰოლანდიელ მომხმარებელთა სურვილი, შეიძინონ ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ორგანული სოფლის მეურნეობის წარმატების საწინდარია [47].

ორგანული მიწათმოქმედება განუწყვეტლივ ვითარდება გერმა-ნიაში. რაც ევროგაერთიანების აგრარული პოლიტიკის შედეგია. აგრარული ქვეყანაა დანია და სხვა ქვეყნები, სადაც სახელმწიფო დიდ ფინანსურ დახმარებას უწევს ორგანულ მიწათმოქმედებას.

სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან აგროკლიმატურ პირობებში ორგანული მიწათმოქმედების პერსპექტივები

საქართველოს მთიან ზონაში ორგანული მიწათმოქმედების განვითარების ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის საფუძველს წარმოადგენს მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის ჰარმონიული დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ზონაში ორგანულ მეურნეობებს შეუძლიათ ძირითადი საწარმოო რესურსებით საკუთარი თავი უზრუნველყოს და ნაკლებად იყოს დამოკიდებული შემოტანილ ნედლეულზე.

საქართველოს მიწის ფართობების ორი მესამედი მთიან და მაღალმთიან ზონებს უკავია, სადაც მიწის სავარგულების უმეტეს ნაწილზე ზღ.დონიდან 1500 მ სიმაღლემდე მიმდინარეობს აგროკულტურების ინტენსიური წარმოება. 1600-2400 მ სიმაღლემდე ზღ.დონიდან შეზღუდულია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოება, შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების გამო. ამ ზონაში აგრომეტეოროლოგიურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგროკულტურების ზრდა-განვითარებასა და მაღალი მოსავლის მიღებაში. ამიტომ, პერსპექტიული ისეთი კულტურების წარმოება, რომლებიც ამ ზონის პირობებისადმი რამდენადმე გამძლეობის უნარით გამოირჩევიან.

მაღალმთიან რეგიონებში ტემპერატურის, როგორც განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორის ნაკლებობა აშკარადაა გამოხატული. ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლიმატურ მახასიათებლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, გავრცელებული უნდა იქნას ისეთი კულტურები, რომლებმაც უკეთ გაიარეს გამოცდა მთიან პირობებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაღალმთიან აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე (ზღ.დონიდან 2200 მ სიმაღლეზე, ფარავნის ტბის მახლობლად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი), ოთხი ათეული წლის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მიერ (შ.ცერცვაძე, ნ.სტოლიპინი, თ.თურმანიძე, გ.მელაძე, მ.თუთარაშვილი, მ.არდია, ღ.არველაძე, ე.კვაჭანტირაძე, მ.მელაძე, ექსპერიმენტული ბაზის ხელმძღვანელები: დ.ფერაძე, ლ.ვარდიაშვილი, ა.თოდუა, ლ.წერეთელი, გ.მელაძე) ტარდებოდა სამეცნიერო კვლევები სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებაზე, მოსავლის ფორმირებაზე და მათ ქიმიურ შემადგენლობაზე. კვლევის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან ზონაში ორგანული მიწათმოქმედების სისტემის საფუძველზე, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, აგრომეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით. მთიანი და მაღალმთიანი ზონებისათვის გამოვლენილი იქნა პერსპექტიული ბოსტნეული, სურნელოვან-არომატული, სუფრის და მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენა (,,კუუზიკუ'', ,,ესკო'') კულტურები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ხარისხის და პროდუქტიულობის მაჩვენებლებით [74].

ფარავნის ექსპერიმენტალური ბაზის ტერიტორია მდებარეობს, ზღ.დონიდან 2200 მ სიმაღლეზე, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის 6°-მდე დაქანების ფერდობზე. ნიადაგი ვულკანური წარმოშობისაა, გავრცელებულია ტიპიური შავმიწები [75]. აღნიშნული ნიადაგი ხასიათდება მტკიცე აგრეგატული შემადგენლობით, სტრუქტურულია. მის ყველა ჰორიზონტს აქვს მცირე მოცულობითი წონა, რაც აიხსნება ნიადაგის ჰუმუსის მაღალი შემცველობით (6%-მდე) და ფხვიერი აგებულებით. მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა საკმაოდ მაღალი. მექანიკური შემადგენლობით იგი განეკუთვნება საშუალო თიხნარ ნიადგებს. ნიადაგის PH საშუალოდ 7-ის ტოლია. საცდელი ნაკვეთის ეკოლოგიური შეფასების მიზნით, ნიადაგის ნიმუშებში (ნიადაგის ზედაპირი, 0-5, 5-10, 10-20 სმ) განსაზღვრულია საერთო β აქტივობა. მიღებული შედეგებიდან დადგინდა, რომ რადიონუკლიდებით ნიადაგის დაბინძურება არ აღინიშნება. კერძოდ, მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები: ფონი - 0,58 ბეკ/წმ, თვლის კოეფიციენტი - η-0,14 ნიადაგის ზედაპირზე - 5,5 ბეკ/წმ, 0-5 და 5-10 სმ სიღრმეზე - 5,73 ბეკ/წმ, ხოლო 10-20 სმ სიღრმეზე 5,98 ბეკ/წმ (100 გრ. ნიადაგზე გადაანგარიშებით). მაჩვენებლები

შეესაბამება ნიადაგის ბუნებრივ ფონს. მძიმე ლითონებით და ნიტრატებით ნიადაგი დაბინძურებული არ არის [48, 49, 50, 51].
მაღალმთიან ზონაში ორგანული მიწათმოქმედების წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენება. აღნიშნული ზონა ხასიათდება მოკლე სავეგეტაციო პერიოდით (ცხრილი 3.3.1).

ცხრილი 3.3.1 საცდელი კულტურების ფენოლოგიურ ფაზებს შორის აგროკლიმატური მახასიათებლები

Table 3.3.1 Agroclimatic characteristics between the phenological phases of the test crops

ფენოლოგიური ფაზები	ჰაერის ტემპერატურა (°C)			ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)	ნალექების ჯამი (მმ)
	ΣT	საშუალო			
		მინ.	მაქს.		
უცხო სუნელი					
თესვა - აღმოცენება	138.9	4.0	13.5	75	47
აღმოცენება - I წყ. ფოთოლი	111.4	5.5	15.1	74	25
I წყ.ფოთოლი - III წყ.ფოთ.	68.0	5.2	15.0	77	22
III წყ.ფოთ. - აღერება	216.6	6.9	17.3	76	26
აღერება - ყვავილობა	235.6	8.5	19.0	77	33
ყვავილობა - თესლის სიმწ. დასაწყისი	328.5	8.4	19.9	78	29
თესლის სიმწ. დასაწყისი - არასრული სიმწიფე	424.0	5.0	16.2	75	60
სუფრის ჭარხალი					
თესვა - აღმოცენება	168.0	4.2	15.0	68	54
აღმოცენება - I წყ. ფოთოლი	79.5	6.0	16.0	69	23
I წყ. ფოთოლი - III წყ.ფოთ.	77.3	6.0	17.0	72	21

III წყ.ფოთ. - ძირხვენების ზრდის დასაწყისი	192.7	7.0	17.5	72	21
ძირხვენების ზრდის დასაწ. - ტექნიკური სიმწიფე	989.1	5.7	16.2	74	117
ქერი					
თესვა - აღმოცენება	131.6	4.0	12.1	71	67
აღმოცენება - I წყ. ფოთოლი	85.4	6.7	14.2	70	57
I წყ. ფოთოლი - III წყ.ფოთ.	66.3	5.7	16.8	69	9
III წყ.ფოთ. - დაბუჩქება	150.3	7.0	15.3	77	21
დაბუჩქება - აღერება	83.2	8.0	18.0	74	20
აღერება - დათავთავება	211.0	8.7	18.7	76	19
დათავთავება - რძისებრი სიმწიფე	410.0	9.4	20.5	80	43
რძისებრი სიმწიფე - ცვილისებრი სიმწიფე	199.0	8.0	19.0	75	31
ცვილისებრი სიმწიფე - სრული სიმწიფე	169.2	6.2	17.7	73	25

სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანი ტერიტორიები ხასიათდებიან მაღალი ენერგეტიკული რესურსებით და ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების გონივრული შერჩევის (მაღალმთიანი კლიმატის თავისებურებების გათვალისწინებით), შემთხვევაში ფართოდ განვითარებული მრავალდარგობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებას იძლევა. რაც იმას ნიშნავს, რომ მცენარეთა მაღალი პროდუქტიულობისათვის უნდა შევქმნათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროცენოზები, სადაც ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაციის ან ჯამური რადიაციის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი (მქკ) მაქსიმალური იქნება.

მაღალმთიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმრავლესობა გამოირჩევა მაღალი ფოტოსინთეზური პროდუქტიულობით და პროდუქციის მაღალი ხარისხით, რაც ეფუძვნება მაღალმთიანი კლიმატის თავისებურებებს. კერძოდ, ეს არის მზის სხივების მდიდარი სპექტრული შემადგენლობა და მათში მაღალი ფარ-ის შემცველობა, რაც მცენარეში

აქტიურებს ფოტოსინთეზურ და ბიოქიმიურ პროცესებს. აღნიშნულ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები განიცდიან უფრო მეტ ინტენსიურ დასხივებას და მოკლეტალღოვანი რადიაციის ზემოქმედებას [52].
მაღალმთიანი კლიმატური პირობები რამდენადმე ნიველირდება ორგანული სასუქის გამოყენებით, რაც დადასტურდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ფარავნის მაღალმთიან (2200მ ზღ.დონიდან, ნინოწმინდის რ-ნი) აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე ჩატარებული მრავალწლიური კვლევებით. აღნიშნულ ბაზაზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა ნახევრად გადამწვარი ნაკელი (10, 15, 20 ტ/ჰა), რომელიც მაღალეფექტურია და ზრდის მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების მოსავალს. გათვალისწინებულია ასევე, პერსპექტიული საცდელი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები (მოკლე სავეგეტაციო პერიოდი). ცხრილში 3.3.2 მოყვანილია საცდელი კულტურების საშუალო მოსავალი [53].

ცხრილი 3.3.2 საცდელ კულტურათა მოსავალი ორგანული სასუქის სხვადასხვა დოზის ფონზე
Table 3.3.2 Yield of test crops under different doses of organic fertilizer

ვარიანტი	საჰექტრო მოსავალი (ტ)	გადახრა საკონტროლოდან (ტ)
ქერი		
1. საკონტროლო (უსასუქო)	2.2	-
2. 10 ტონა	3.8	1.6
3. 15 ტონა	5.0	2.8
4 20 ტონა	6.0	3.8
სუფრის ჭარხალი		
1. საკონტროლო (უსასუქო)	23.6	-
2. 10 ტონა	44.2	20.6
3. 15 ტონა	51.8	28.2
4 20 ტონა	64.5	41.0
უცხო სუნელი		
1. საკონტროლო (უსასუქო)	5.0	-

2. 10 ტონა	7.6	2.6
3. 15 ტონა	13.6	8.6
4 20 ტონა	16.4	11.4

ცხრილიდან ჩანს, რომ ცდის ყველა ვარიანტში მიღებული მოსავალი აშკარად აღემატება საკონტროლოს. საცდელი ვარიანტებიდან მაღალი მოსავლით გამოირჩევა ყველა კულტურის 20 ტ/ჰა ვარიანტი.

მაღალმთიანი ზონის პირობებში მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მაქსიმალური მოსავლიანობისათვის, ნიადაგის ნაყოფიერებასთან ერთად ძირითად აგრომეტეოროლოგიურ ფაქტორებს წარმოადგენს ჰაერის აქტიური ტემპერატურის ჯამი (10°C-ის ზევით), ნიადაგის ტემპერატურა და ტენით უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰიდროთერმული კოეფიციენტი (ჰთკ) აგროკულტურების ზრდა-განვითარების და მოსავლის ფორმირებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან აგრომეტეოროლოგიურ ფაქტორს. Aამიტომ, მარცვლეულ (ქერი) და ბოსტნეულ (სუფრის ჭარხალი, უცხო სუნელი) კულტურებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მოსავლის მაჩვენებლები (ტ/ჰა) მაღალ კორელაციურ კავშირშია ჰიდროთერმულ კოეფიციენტთან (ჰთკ), ნიადაგის ტემპერატურასა (20სმ სიღრმეზე) და ორგანული სასუქის სხვადასხვა დოზასთან (ტ/ჰა), ცხრილი (3.3.3).

ცხრილი 3.3.3 კორელაციის კოეფიციენტები ორგანულ სასუქს, ჰთკ-ს, ნიადაგის ტემპერატურასა და მოსავალს შორის, შესაბამისი რეგრესიის განტოლებებით
Table 3.3.3 Correlation coefficients between organic fertilizer, HTC, soil temperature and yield, with corresponding regression equations

კულტურა	კორელაციის კოეფიციენტი R	რეგრესიის განტოლება u	საშუალო კვადრატული ცდომილება σ_u±t/ha
ქერი	0.97	0.20x+0.75y+0.44z -3.46	0.8
სუფრის ჭარხალი	0.95	1.75x+ 5.15y+1.77z - 4.28	8.3
უცხო სუნელი	0.96	0.78x+1.70y+0.36z - 5.9	2.9

რეგრესიის განტოლებებში u - მოსავალია, x - ორგანული სასუქი, y - ჰთკ, z - ნიადაგის ტემპერატურა.

აღნიშნული კულტურებისათვის, შესაბამისი რეგრესიის განტოლებებით, განისაზღვრა მოსავალი და შედარებული იქნა ფაქტიური მოსავლის მონაცემებთან. მიღებული შედეგები საშუალო კვადრატული ცდომილების ფარგლებშია. მოცემული რეგრესიის განტოლებებით, შეიძლება განისაზღვროს მაღალმთიანი ზონის პირობებში აგროკულტურების მოსავალი (ტ/ჰა). მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლის გაანგარიშება მნიშვნელოვანია მაღალმთიანი ზონის რაიონების ბიოფერმებისათვის. მოსავლის მიღების ზუსტი გაანგარიშების სრული გარანტია შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ ორგანული სასუქი შეტანილი იქნება დადგენილ ვადებში და შესაბამისი დოზებით.

მაღალმთიანი ზონის პირობებში წარმოებული სუფრის ჭარხლის კვებითი ღირებულების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 3.3.4

ცხრილი 3.3.4 სუფრის ჭარხლის ქიმიური მაჩვენებლები
Table 3.3.4 Chemical indicators of feast beet

ქიმიური მაჩვენებლები	ექსპერიმენტული მონაცემები		ლიტერატურული მონაცემები
	საშუალო	მერყეობის ზღვარი	
მშრალი ნივთიერებები (%) მათ შორის რეფრაქტომეტრით	15.92 12.07	13.17-21.36 8.90-16.0	6.50-18.31 15.0-18.6
შაქრები (%) მათ შორის რედუციული	15.62 0.01	2.52-9.29 0-0.05	3.0-12.2 0.32
საქაროზა	5.61	2.52-9.29	10.61
პექტინური ნივთიერებები (%) მათ შორის ხსნადი პექტინი, პროტოპექტინი	0.62 0.36 0.26	0.41-0.79 0.22-0.57 0.13-0.39	0.2-0.5
ნედლი უჯრედანა (%)	1.60	0.89-2.03	1.02
ტიტრული მჟავიანობა ვაშლის	0.22	0.01-0.46	-

მჟავაზე გადაანგარიშებით (%)			
PH	6.55	6.20-6.95	-
მთრიმლავი და მღებავი ნივთიერებები (%)	0.15	0.08-0.19	-
საერთო ფენოლები (მლ/100გრ)	32583	1500-680	-
P-აქტიური ნივთიერებები (მლ/100გრ)	185.0	67.5-302.5	-
ვიტამინი C (მლ/100გრ)	102.45	39.13-160.0	15.3-19.0
ნაცარი (%)	1.00	0.91-1.19	0.65-2.00
ნედლი ცილა (%)	2.17	1.92-2.42	1.0-3.0
წვენის მღებავი ნივთიერებები (მლ/100გრ)	14.4	10.10-18.70	3.5-12.0

ზემოაღნიშნულ მაღალმთიან აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მაღალმთიან პირობებში ზოგიერთი ბოსტნეული კულტურები, მეცხოველეობის საკვები ძირხვენები, სურნელოვან-არომატული სანელებლები და სხვა, კულტურები გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი მოსავლით და კვებითი ღირებულებით (ცხრილი 3.3.5, 3.3.6).

ცხრილი 33.5 მაღალმთიან ზონაში წარმოებული ზოგიერთი ბოსტნეულის და მეცხოველეობის საკვები ძირხვენის ქიმიური მაჩვენებლები
Table 33.5 Chemical parameters of some vegetable and animal fodder root crops produced in the highlands

ქიმიური მაჩვენებლები	შავი ბოლოკი	სტაფილო	ხახვი	თვის ბოლოკი	Yყვავილოვანი კომბოსტო	თალგამი	საკვები ძირხვენა „ესკო"

მშრალი ნივთიერება (%)	16.6	20.3	16.3	6.1	12.1	10.0	12.7
საერთო შაქრები (%)	5.8	6.7	5.3	3.6	3.8	4.3	7.0
პექტინები (%)	1.72	1.47	1.1	0.48	0.4	0.53	1.26
მჟავიანობა ვაშლის მჟავიანობაზე გადაანგარიშებით	0.28	0.12	0.19	0.20	0.2	0.17	0.09
მთრიმლავი ნივთიერებები (%)	0.17	0.12	0.11	0.07	0.1	0.11	0.03
საერთო ფენოლე ბი მგ/100გრ	400	160	370	410	361	380	206
P-აქტიური ნივთიერებები მგ/100გრ	52.5	65.5	47.5	-	56.4	40	78.7
ვიტამინი C მგ/100გრ	81.8	31.3	66.7	16.0	6.9	47.1	63.5
კაროტინი მგ/100გრ	0.1	9.2	8.4	-	0.9	-	0.07
ნაცარი (%)	1.1	0.8	1.20	0.67		0.80	0.69

ცხრილი 3.3.6 მაღალმთიან ზონაში წარმოებული სურნელოვან-არომატულ კულტურათა ქიმიური მაჩვენებლები (%)
Table 3.3.6 Chemical indicators of fragrant-aromatic crops produced in the highlands (%)

ქიმიური ნივთიერებები (%)	ქონდარი	ქინძი	მაიორანი	კვლიავი

ეთერზეთები	0.48	0.54	1.2	3.3
საერთო აზოტი	2.38	2.50	2.45	2.1
ხსნადი აზოტი	0.88	0.80	1.0	-
ცილოვანი აზოტი	1.50	1.70	1.45	8.5
ცილა	9.40	10.6	9.1	-
საერთო აღმდგენი ნივთიერებები	3.50	9.7	4.5	2.0
მონოსაქარიდები	3.0	6.8	1.9	1.8
ხსნადი ნახშირწყლები	6.50	11.0	11.0	5.1
დისაქარიდები	3.50	4.0	8.6	3.1
პოლიფენოლები	0.50	2.9	2.6	0.8
საერთო ნაცარი	11.04	7.6	11.9	6.41
უხსნადი ნაცარი 10%-იან HCl-ში	1.31	0.3	0.86	0.09

როგორც ცხრილებში მოყვანილი ქიმიური მაჩვენებლები გვიჩვენებს, აღნიშნული კულტურები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოირჩევიან მაღალი კვებითი ღირებულების ქიმიური მაჩვენებელით, ვიდრე დაბალ ზონაში წარმოებული კულტურები. რაც, კიდევ ერთხელ ადასტურებს მაღალმთიან პირობებში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის კარგად ადაპტაციის და მაღალი პროდუქტიულობის უნარს. ჩატარებული ექსპერიმენტული დაკვირვებები და შედეგები საფუძველს იძლევა, რომ აღნიშნული კულტურები გავრცელდეს სხვა მაღალმთიანი რეგიონის ანალოგიურ აგროკლიმატურ პირობებში [76].

ბიორაგი. თანამედროვე მიწათმოქმედების სტრატეგია გულისხმობს, არა სასაოფლო-სამეუნეო სავარგულების გაზრდას, არამედ მათი ექწსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნულ აგროკლიმატურ პირობებში ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაღალმთიანი (2200მ ზღ. დონიდან) ფარავნის აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე ნინოწმინდის რ-ში ჩატარებული იქნა ექსპერიმენტული კვლევები მარცვლეულ (ქერი) და ბოსტნეულ (სუფრის ჭარხალი, სურნელოვან-არომატული - უცხო სუნელი) კულტურებზე

ბიოენერგოაქტივატორი - ,,ბიორაგის" გამოყენებით. აღნიშნული ბიოენერგოაქტივატორი - ,,ბიორაგი" (შექმნილია აკად. რ.გახოკიძის მიერ) ახალი თაობის ბიოპრეპარატია, რომლის გამოყენებით შესაძლებელია, როგორც მოსავლიანობის გაზრდა, ასევე მისი ხარისხის გაუმჯობესება. იგი ამაღლებს ადაპტაციას მაღალმთიანი ზონის ექსტრემალური ფაქტორების მიმართ (ტემპერატურის ცვალებადობა და სხვა). ცხრილში 3.3.7 მოგვყავს ფარავნის მაღალმთიან აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე საცდელი კულტურების ფენოლოგიურ ფაზებს შორის აგრომეტეოროლოგიური მაჩვენებლები [54].

ცხრილი 3.3.7 ფარავნის მაღალმთიან აგრომეტეოროლოგიურ ბაზაზე საცდელი კულტურების ფენოლოგიურ ფაზებს შორის აგრომეტეოროლოგიური მაჩვენებლები
Table 3.3.7 Agrometeorological indicators between the phenological phases of the test crops at the Faravani highland agrometeorological base

კულტურა	ფენოლოგიური Fფაზები	აქტიურ ტემპ. ჯამი (>10°C)	ნიადაგის სიღრმეში (სმ) საშუალო ტემპ. (°C)		ნალექების ჯამი (მმ)
			5	20	
სუფრის ჭარხალი	თესვა - აღმოცენება	202	13.1	11.4	37
	აღმოცენება - ძირხვენების ზრდის დასაწყისი	402	13.1	12.5	105
	ძირხვენების ზრდის დასაწ. - ტექნიკური სიმწიფე	982	13.6	14.5	148
უცხო სუნელი	თესვა - აღმოცენება	107	10.8	9.1	9.1
	აღმოცენება - აღერება	186	11.3	12.0	91
	აღერება - ყვავილობა	338	13.2	14.7	39
	ყვავილობა - თესლის სიმწიფის დასაწყისი	338	15.6	15.2	55
	თესლის სიმწიფის დასაწ. - სრული სიმწიფე	459	9.2	10.0	41
ქერი	თესვა - აღმოცენება	117	9.9	8.5	62

	აღმოცენება - აღერება	489	12.3	11.7	92
	აღერება - დათავთავება	202	13.2	14.7	39
	დათავთავება - ცვილისებრი სიმწიფე	392	12.5	14.0	69
	ცვილისებრი სიმწიფე - სრული სიმწიფე	88	8.6	10.3	24

ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემული მაღალმთიანი ზონის მეტეოროლოგიური პირობები დამაკმაყოფილებელია აღნიშნული კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

ცხრილში 3.3.8 მოცემულია საცდელი კულტურების ფენოლოგიური ფაზების დადგომის თარიღები, როგორც ,,ბიორაგის" გამოყენებით, ასევე შესაბამისი საკონტროლო ვარიანტებით.

ცხრილი 3.3.8 საცდელი კულტურების ფენოლოგიური ფაზების დადგომის თარიღები

Table 3.3.8 Dates of occurrence of phenological phases of test crops

კულტურა	ფენოლოგიური ფაზები	ფაზათა დადგომის თარიღი	
		,,ბიორაგის" ვარიანტი	საკონტრო-ლო ვარიანტი
სუფრის ჭარხალი	თესვა	29.V	29.V
	აღმოცენება	19.VI	20.VI
	ძირხვენის ზრდის დასაწყისი	18.VII	19.VII
	ტექნიკური სიმწიფე	30.IX	1.X
უცხო სუნელი	თესვა	29.V	29.V
	აღმოცენება	20.VI	21.VI
	აღერება	18.VII	19.VII
	ყვავილობა	27.VII	29.VII

	თესლის სიმწიფის დასაწყისი	31.VIII	2.IX
	სრული სიმწიფე	1.X	3.X
ქერი	თესვა	29.V	29.V
	აღმოცენება	11.VI	12.VI
	აღერება	11.VII	12.VII
	დათავთავება	26.VII	27.VII
	ცვილისებრი სიმწიფე	10.IX	11.IX
	სრული სიმწიფე	18.IX	20.IX

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ,,ბიორაგის" გამოყენებისას ფენოლოგიური ფაზების დადგომა 1-2 დღით ადრე აღინიშნება შესაბამის საკონტროლო ვარიანტის ფაზებთან შედარებით და ამასთანავე აშკარაა მოსავლის ზრდა (ცხრილი 3.3.8).

ცხრილი 3.3.9 საცდელი კულტურების ბიომეტრია და მოსავალი (ტ/ჰა) ,,ბიორაგი"-ს ფონზე
Table 3.3.9 Biometry and yield of test crops (t/ha) on the background of "Bioragi"

ვარიანტი	სუფრის ჭარხალი		უცხო სუნელი		ქერი	
	ძირხვენების დიამეტრი	მოსავალი	ნაზარდი	მოსავალი	ნაზარდი	მოსავალი
,,ბიორაგი''	7.5	32	62	10	54	3
საკონტროლო	5.7	18	51	6	44	2

ცხრილში 3.3.9 მოცემულია საცდელი კულტურების მოსავალი (ტ/ჰა) და ნაზარდების ბიომეტრიული მაჩვენებლები, როგორც ბიორაგის გამოყენებით, ასევე შესაბამისი საკონტროლო ვარიანტებით. ყველა ექსპერიმენტალურ წელს ,,ბიორაგის" გამოყენებისას მიღებული მოსავლის და ნაზარდების ბიომეტრული

მაჩვენებლები აღემატება შესაბამის საკონტროლო ვარიანტებს. მეტად საყურადღებო ასპექტია ის, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მეთოდიკა თავიდანვე ითვალისწინებდა სასუქებზე უარის თქმას, რამდენადაც ,,ბიორაგი" რიგ შემთხვევებში სასუქების გამოუყენებლადაც, მცენარეთა სასიცოცხლო პოტენციალის გაზრდით მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა, რაც დადასტურდა ჩატარებული ექსპერიმენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბიოენერგოაქტივატორი - ,,ბიორაგი" ეკოლოგიურად უსაფრთხოა და უზრუნველყოფს გარემოს დაბინძურების შემცირებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბუნებრივ ნორმალიზაციას - პროდუქტიულობისა და მდგრადობის არსებით გაზრდას.

დასკვნა

III თავში განხილულია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წესს განსაზღვრავს კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელი კლიმატი, რომლის ცვლილებასთან ერთად იცვლება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაც. ახლო მომავალში, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგად მაღალი ალბათობით შეიცვლება მთიანი რეგიონების მცენარეული კულტურების პროდუქტიულობა და მათი ვერტიკალური ზონალობით ტრანსფორმაცია. ამიტომ, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ახლებური მიდგომა გულისხმობს დარგის გარდაქმნას იმგვარად, რომ გაიზარდოს მისი ეფექტურად მართვისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები, რაც ფორმულირებულია, როგორც კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა. იგი პასუხობს კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელ კლიმატის ცვლილების გამოწვევებს. სწორედ, აღნიშნული აგროკლიმატური რესურსების ეფექტური მართვა და მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება უდევს საფუძვლად, ჩვენს მიერ ჩატარებულ სამეცნიერო გამოკვლევებს მთიანი რეგიონებისათვის. საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მთიანი რეგიონებისათვის მუნიციპალიტეტების მიხედვით, შეფასებულია ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები, სავეგეტაციო პერიოდში განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სითბოთი და ტენით უზრუნველყოფა. მთიანი რეგიონებისათვის გაანალიზებულია აგროკულტურებისათვის საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა - წაყინვები და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა. აქტიურ ტემპერატურათა და ნალექების ჯამების მიხედვით, გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისათვის, შესაბამისი პერსპექტიული კულტურების გავრცელების მითითებით. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა ითვალისწინებს კლიმატური

პარამეტრების მოსალოდნელ ცვლილებას და ხელს უწყობს ისეთი ფერმერული მიდგომების დანერგვას, რომელიც შეცვლილ პირობებს შეესაბამება და ზრდის მოსავლიანობას. კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა ტემპერატურის და ნალექების რეჟიმების ცვლილებამ, სეზონების წანაცვლებამ და ამ სეზონებისთვის დამახასიათებელმა ვეგეტაციის პერიოდების, ნიადაგის ტენიანობის ცვლილებებმა შეამცირა ტრადიციული მეთოდით სოფლის მეურნეობის დარგებში მოსავლის რაოდენობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ ჩატარებული საქართველოს მთიანი რეგიონების აგროკლიმატური მახასიათებლების შეფასება რეალური პრობლემების გათვალისწინებით (მომავლის კლიმატური სცენარებით), რომლებიც შეინიშნება კლიმატის ცვლილების პირობებში. ჩვენი სამეცნიერო კვლევის შედეგები, კლიმატის ცვლილების მომავლის სცენარის გათვალისწინებით, რეგიონალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიციულ და პერსპექტიულ მიმართულებებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დარგის მდგრად განვითარებას. მთიან რეგიონებში გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ალტერნატიული გზა უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვას, მის შენარჩუნებას, ნეგატიური ტენდენციების თავიდან აცილებას და აუცილებელ განვითარებას არის ორგანული მიწათმოქმედება. საქართველოს მაღალმთიან ზონაში ორგანული მიწათმოქმედების განვითარების ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის საფუძველს წარმოადგენს მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის ჰარმონიული დამოკიდებულება. აღნიშნული მიმართულებით ერთიანი კომპლექსური, მრავალწლიანი კვლევები სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში (2200 მ ზღ. დონიდან, ნინოწმინდის მაღალმთიანი აგრომეტეოროლოგიური ბაზა), რაც გულისხმობს სოფლის მეურნეობის წარმართვას ბუნებრივი, ეკოლოგიურად უვნებელი მეთოდების (ორგანული სასუქი, bioenergoaqtivatori - ,,bioragi”) გამოყენებით და ამდენად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღებას, აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ პირველად იქნა ჩატარებული. მაღალმთიან ზონაში პერსპექტიული კულტურების პროდუქტიულობაზე და მის ხარისხზე აგრომეტეოროლოგიური პირობების გავლენის შესწავლის საფუძველზე, კონკრეტულად შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები მარცვლეული, ბოსტნეული და სურნელოვან-არომატული კულტურების წარმოებისათვის. ექსპერიმენტით მიღებული შედეგები უზრუნველყოფს: 1. საქართველოს მაღალმთიან ზონაში ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას; 2. მაღალმთიანი ზონის მოსახლეობის დასაქმებას და ახალგაზრდა თაობის მიგრაციის შემცირებას; 3. მიღებული პროდუქციით საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის გამდიდრებას; 4. ადგილობრივი

მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას; 5. მაღალმთიან ზონაში ფერმერული მეურნეობების განვითარებას; 6. ადგილობრივ წარმოებას მდგრადი საკვები ბაზის შექმნას.

თავი 4. მდგრადი განვითარება- მიზნები და ამოცანები

4.1. მდგრადი განვითარების ისტორია

მდგრადი განვითარება დღესდღეობით გახდა ფუნდამენტური სტრატეგია მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვისთვის და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თითქმის ყველა დარგში. მდგრადი განვითარების აქტუალურობა 21-ე საუკუნეში და მისი მიღწევები უკავშირდება საკმაოდ გრძელვადიან პროცესს. ამ პროცესში ეტაპობრივად იცვლებოდა დამოკიდებულება და ცნობიერება საზოგადოების, სახელმწიფოს თუ ბიზნეს სექტორის მხრიდან. სწორედ ქვემოთ განვიხილავთ მნიშვნელოვან თარიღებს და მოვლენებს მდგრადი განვითარების სფეროში, რომლებმაც გარდამტეხი როლი ითამაშა მის ფორმირებაში.

მდგრადი განვითარება ადრეულ პერიოდში

ტერმინის „მდგრადი განვითარება" ისტორიული ფესვები იწყება 1713 წელს, როდესაც დაიწერა გერმანული სატყეო ცნობარი, სადაც პირველად იქნა გამოყენებული სიტყვა: Nachhaltigkeit, რაც ინგლისურად ითარგმნება, როგორც sustained yield (შენარჩუნებული მოსავალი). ტერმინი გულისხმობს იმ პრაქტიკის შემოღებას, რომლითაც მოიჭრებოდა გარკვეული რაოდენობის ხე, რაც მომავალში ხელს არ შეუშლიდა ტყის რეგენერაციას. აღნიშნული ტერმინი მხოლოდ 100 წლის შემდეგ დამკვიდრდა ინგლისურ სატყეო ცნობარში, თუმცა ის უკვე მოიცავდა არა მხოლოდ ხეების დაცვას, არამედ ტყის, როგორც ერთიანი სისტემის, შენარჩუნებას თავისი ფლორითა და ფაუნით.

1968 წელს ეკოლოგმა და ფილოსოფოსმა გარეტ ჰარდინმა დაწერა ესსე „საერთო რესურსების ტრაგედია", სადაც აღნიშნა ინდივიდუალური ქმედებების საფრთხე საერთო რესურსების ამოწურვის კუთხით. ჰარდინი მიიჩნევდა, რომ ადამიანების ულიმიტო მოხმარებისკენ მისწრაფება საბოლოოდ გამოიწვევდა დედამიწის რესურსების ჭარბ მოპოვებას. ჰარდინის ესსეს გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1972 წელს, რომის კლუბის მხარდაჭერით შეიქმნა კომპიუტერული სიმულაცია, რომელიც ასახავდა რეალობას შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით. სიმულაცია მოიცავდა 5 განზომილებას: მსოფლიო მოსახლეობის ზრდა, ინდუსტრიალიზაცია, დაბინძურება, საკვების წარმოება და არაგანახლებადი რესურსების ამოწურვა.

საბოლოო სცენარის მიხედვით, სოციალური და ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალი იქნება 21-ე საუკუნის დასასრულისთვის.

ჯერ კიდევ 1970 წელს, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი ამბობდა, რომ ბიზნესის მხოლოდ ერთი სოციალური პასუხისმგებლობა არსებობს: გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები ისე, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს, და რაც მთავარია, დარჩეს საკანონმდებლო ჩარჩოში. სამწუხაროდ, სწორედ ეს შეხედულება დაედო საფუძვლად ბიზნესის განვითარებას მე-20 საუკუნის ბოლოს და რიგ შემთხვევებში, ახლაც სწორედ ასე გრძელდება. რეალურად კი დღეს განვითარებულ სამყაროში არსებული ყველა კომპანია თანხმდება ერთ საკითხზე: ბიზნესის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღება არ არის!

საერთო რესურსების ტრაგედია

1972 წელს რომის კლუბის მხარდაჭერით გამოიცა ანგარიში „ზრდის შეზღუდვები" (The Limits to growth). ამ პროცესში 17 მეცნიერი იყო ჩართული, მათ შორის, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის მკვლევრები, ცოლ-ქმარი – დონელა და დენის მიდოუები, რომელთაც შექმნეს კომპიუტერული მოდელი World3 რომლის მიზანი საკმაოდ ამბიციური იყო. ჯგუფმა გამოიკვლია ინდუსტრიალიზაცია, მოსახლეობა, საკვები, რესურსების მოხმარება და დაბინძურება. მათ შეძლეს 1970 წლამდე არსებული მონაცემების მოდელირება და შექმნეს რამდენიმე სცენარი 2100 წლისთვის. სცენარები განსხვავდებოდა იმის მიხედვით, შეცვლიდნენ თუ არა ადამიანები საკუთარი დამოკიდებულებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები გააგრძელებენ გარემოს უგულებელყოფას და რესურსების ჭარბ მოხმარებას, მოდელის მიხედვით, 2070 წლისთვის ეკონომიკა, გარემო და მოსახლეობა გადაიტვირთება და „ჩამოიშლება". ამ სცენარს დაერქვა "business-as-usual scenario", ანუ საქმიანობის ტრადიციული გზით გაგრძელების სცენარი. წიგნის ცენტრალური იდეა არის ის, რომ დედამიწა განსაზღვრულია და მოსახლეობის ზრდისკენ, რესურსების ჭარბი მოხმარებისკენ, წარმოებისკენ დ ა.შ. სწრაფვა საბოლოოდ მის განადგურებას გამოიწვევს.

მდგრადი განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღი იყო 1972 წელი, როდესაც სტოკჰოლმში ჩატარდა გაეროს პირველი კონფერენცია გარემოსა და მდგრად განვითარებაზე. კონფერენციაზე შეიკრიბნენ მსოფლიო ლიდერები, რათა განეხილათ ადამიანთა გავლენა გარემოზე და მის მიერ გამოწვეული შედეგები ეკონომიკურ განვითარებაში. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი იყო

იმ ძირითადი პრინციპების პოვნა, რომლებიც უბიძგებდა მსოფლიო მოსახლეობას საკუთარი გარემოს დაცვისკენ. სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (United Nations Environment Programme, UNEP) შექმნა.

ბრუნდტლენდის ანგარიში

1987 წელს გამოიცა ბრუნდტლენდის ანგარიში, რომელიც ცნობილია, როგორც "ჩვენი საერთო მომავალი" (Our Common Future). რეპორტი გამოიცა გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ და სახელი დაერქვა კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის, გრო ჰარლემ ბრუნდტლენდის საპატივსაცემოდ. ანგარიშში პირველად განიმარტა მდგრადი განვითარება ოფიციალურად და ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა მდგრადი განვითარების დღეს არსებულ აღქმას. ბრუნდტლენდის ანგარიშის მიხედვით, მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომლის დროსაც ამჟამინდელი საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება მომავალი თაობების მიერ, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების დღეს არსებული აღქმა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ორგანიზებას იმგვარად, რომ შეძლოს გრძელვადიან პერიოდში არსებობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვით, ასევე, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა/შენარჩუნებით, ეფუძნება სწორედ ბრუნდტლენდის ანგარიშის განმარტებას.

1988 წელი – კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება

ცნობიერების გაზრდამ იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კლიმატის ცვლილებამ პლანეტაზე და ადამიანის სიცოცხლეზე, განაპირობა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის შექმნა.

როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში 43/53 არის აღნიშნული, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიზანია ყოვლისმომცველი ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ არსებულ მეცნიერულ ცოდნაზე, კლიმატის ცვლილების სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე, აგრეთვე, სტრატეგიებსა და იმ პოტენციურ ელემენტებზე, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელია კლიმატის ცვლილების სამომავლო კონვენციებში.

1998 წლიდან დღემდე კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიერ მომზადებულია შეფასების 5 ციკლი და 5 ანგარიში, რომლებიც წარმოადგენს მსოფლიოში ყოვლისმომცველ სამეცნიერო დოკუმენტებს კლიმატის ცვლილების მიმართულებით.

სტაბილური ბიზნესი 1.0

ჯერ კიდევ 1994 წლამდე, მდგრადი მენეჯმენტის დამკვიდრების საწყის ფაზაში, ბიზნესს ჰქონდა სურვილი, გამკლავებოდა მის წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, ბიზნესი იყო ისევ ეკონომიკურ წარმატებაზე ორიენტირებული. უმეტეს შემთხვევაში, ეს იწყებოდა კომპანიის მიერ იმის გააზრებით, რომ მდგრადი მენეჯმენტი ამცირებდა ხარჯებს, რისკებს ფინანსურ ბაზრებზე, ან ზრდიდა მათ რეპუტაციას სამუშაო ბაზარზე და პროდუქციის ბაზარზე მათ განსხვავებებს წარმოაჩენდა, თუ, რა თქმა უნდა, მდგრადი განვითარების საკითხები აქტიურად და წარმატებით იყო მიწოდებული. მდგრადი მენეჯმენტის გაგება, ამ შემთხვევაში, ითვალისწინებდა მოგების მაქსიმიზაციას, თუმცა, ეკონომიკური, ეკოლოგიური და საზოგადოებრივი შესაძლებლობებისა და რისკების მართვით. ამას შეიძლება ვუწოდოთ “Business Sustainability 1.0” (ბიზნესის მდგრადობა 1.0), და აქ იგულისხმება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

სტაბილური ბიზნესი 2.0

1994 წელი იყო გარდამტეხი მდგრადი ბიზნესის განვითარებაში. სწორედ ამ წელს ჯონ ელკინტონმა შემოგვთავაზა მოდელი, სადაც ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნები ერთდროულად არის კომპანიისთვის მნიშვნელოვანი. ეს უკავშირდება “three-dimensional value creation” ან the “triple bottom line”-ს (ანუ, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთმნიშვნელოვნების აღიარებას). ამ მიზნის მისაღწევად ბიზნესმა განახორციელა მდგრადი განვითარების სხვადასხვა სტრატეგია და გეგმა. ამავე დროს, შეინიშნება ამ მოდელის ბიზნეს პროცესებში ინტეგრირების მზარდი ტენდენცია. აღნიშნულ ფაზაში უკვე აღარ არსებობს კონკრეტული პოზიცია ან სამსახური, რომელიც მდგრად განვითარებაზე მუშაობს, არამედ, ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირება, სწორედ, ამ პრინციპებზეა დაფუძნებული და ყოველი სამსახური თუ დეპარტამენტი მდგრადი განვითარების ინტეგრირებას ახორციელებს მათ მიზნებში. ამ გაგებას ჩვენ დავარქვათ: “Business Sustainability 2.0” or “managing for the triple bottom-line”

კიოტოს ოქმი

კიოტოს ოქმი მიღებულ იქნა იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წლის 11 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. ოქმის განხორციელების დეტალური წესები დადგინდა 2001 წელს მაროკოში, კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია მარაკეშის შეთანხმების სახელით. კიოტოს ოქმს საქართველო 1999 წლის ივნისში შეუერთდა. კიოტოს ოქმი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა. ოქმის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება ისეთ დონეზე, რომელიც დედამიწის კლიმატისთვის საშიში არ იქნება. იმის აღიარებით, რომ სათბურის აირების არსებულ მაღალ დონეებზე უმთავრესად პასუხისმგებელნი არიან განვითარებული ქვეყნები, 150-წლიანი აქტიური სამრეწველო საქმიანობის გამო, ოქმი მათ „საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის პრინციპიდან" გამომდინარე, ვალდებულებებს აკისრებს. კიოტოს ოქმი ბუნებრივ გარემოსთან მიმართებით ერთადერთი რეალურად მოქმედი მექანიზმი – ჩარჩო დოკუმენტია იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიმართულია ატმოსფეროში ადამიანის მოქმედების შედეგად მოხვედრილი ნახშირორჟანგის მოცულობის სტაბილიზაციისა და შემცირებისკენ.

გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია

2000 წლის 8 სექტემბრის გაეროს მე-8 პლენალურ სხდომაზე, ნიუ იორკში, 147 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს "გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია". მასში ჩამოყალიბებულია მსოფლიოს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხები, აგრეთვე, წარმოდგენილია გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის პრინციპები.

დეკლარაციაში განსაზღვრულია ათასწლეულის განვითარების მიზნები:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
2. დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა;
3. გენდერული თანასწორობა;
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. აივ/შიდსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
7. ეკოლოგიური მდგრადობა;
8. მსოფლიო თანამშრომლობა განვითარებისათვის.

9.

გაეროს გლობალური შეთანხმება

გაეროს 2000 წლის გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას. აღნიშნულის მისაღწევად გაეროს გლობალური შეთანხმება ბიზნესს მოუწოდებს, რომ:

(1) პასუხისმგებლობით აწარმოოს თავისი საქმიანობა, რაც გულისხმობს, შეთანხმებით გათვალისწინებული ათი პრინციპის ინტეგრირებას მუშაობის სტრატეგიასა და ყოველდღიურ ოპერაციებში. გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მიზანია, ბიზნესის ყურადღების მიპყრობა შემდეგი მიმართულებებით: ადამიანის უფლებები, შრომის უფლებები, გარემოს დაცვა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

(2) ხელი შეუწყოს ზოგადი საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას, როგორიცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები.

იოჰანესბურგის 2002 წლის სამიტი

იოჰანესბურგის 2002 წლის სამიტი – მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ – აერთიანებდა ათიათასობით მონაწილეს, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურებს, ეროვნულ დელეგატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს, ბიზნესებსა და სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებს, რათა ყურადღება გაემახვილებინათ მსოფლიოში არსებულ რთულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, როგორიცაა ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მოსახლეობის ზრდის, საკვებსა და წყალზე, თავშესაფარზე, სანიტარიაზე, ენერგეტიკაზე, ჯანმრთელობის სერვისებსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნის პირობებში.

ბიომრავალფეროვნების საკითხები

2010 წელს ნაგოიაში (იაპონია) ჩატარდა COP10 (მხარეთა კონფერენცია 10) ბიომრავალფეროვნების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ნაგოიას ოქმი , რომელიც ეხება გენეტიკურ რესურსებზე დაშვებას და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ გადანაწილებას.

მდგრადი განვითარების მიზნები

2012 წლის 20-22 ივნისს ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში, ჩატარდა გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია – Rio+20. მას შედეგად მოჰყვა პოლიტიკური შედეგების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მკაფიო და პრაქტიკულ ნაბიჯებს მდგრადი განვითარების მისაღწევად. სწორედ ამ კონფერენციაზე დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შემუშავების პროცესი. აღნიშნული უნდა ყოფილიყო ათასწლეულის განვითარების მიზნების ბუნებრივი და ბევრად ეფექტური გაგრძელება. ამავე კონფერენციაზე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის მიმართულებით.

სწორედ 2012 წლის გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია – Rio+20-ზე ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარებისთვის (High-level Political Forum on Sustainable Development (HLPF), რომელიც პირველად 2013 წლის 24 სექტემბერს შეიკრიბა. აღნიშნულმა ჩაანაცვლა 1993 წლიდან არსებული მდგრადი განვითარების კომისია. სწორედ 2013 წლიდან, ყოველი წლის სექტემბერში ტარდება აღნიშნული შეხვედრა.

2012 წლიდან 2015 წლამდე მიმდინარეობდა კონსულტაციები გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების შესამუშავებლად. ამ პერიოდში:

- 100-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარდა ადგილობრივი კონსულტაციები;
- 7.3 მილიონზე მეტმა ადამიანმა დააფიქსირა თავისი აზრი გლობალური მიზნების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა 11 გლობალური თემატიკის კონსულტაცია;
- გაერთიანებული ერების 32 ქვეორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში;

აღნიშნული მაღალი ჩართულობა მიზნად ისახავდა, მდგრადი განვითარების მიზნების თითოეული ადამიანის, ბიზნესისა და მთავრობისთვის პრიორიტეტად ქცევას.

2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის – მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ. განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე – 2016 წლიდან 2030 წლამდე.

პარიზის შეთანხმება

პარიზში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში 2016 წლის 22 აპრილს მიიღეს პარიზის შეთანხმება. პარიზის შეთანხმება, რომელსაც 200-მდე ქვეყანა უერთდება, გლობალური ძალისხმევაა „სათბურის ეფექტის" შესაჩერებლად, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგად „სათბურის გაზების" ემისიებმა და, შესაბამისად, ატმოსფეროში მათმა ჭარბმა კონცენტრაციამ

გამოიწვია. პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას, მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრისკენ ძალისხმევის მიმართვას. ასევე, იგი მოიაზრებს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის უნარის გაზრდას.

პარიზის შეთანხმების მიზანია 2030 წლისთვის გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 °C-მდე შეზღუდვა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, აგრეთვე, ხელშეკრულებაში აღნიშნულია ტემპერატურის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის მცდელობაც.

მწვანე შეთანხმება

ევროკავშირი მსოფლიო ლიდერია, როგორც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე პლანეტის დაცვის საქმეში. 2019 წლის დეკემბერში წარდგენილი ახალი "მწვანე შეთანხმების" ინიციატივის ფარგლებში, ევროკავშირი აპირებს, რომ გადადგას შემდეგი ნაბიჯი და 2050 წლისთვის გახდეს პირველი კლიმატ-ნეიტრალური კონტინენტი, სადაც:

1) 2050 წლისთვის აღარ მოხდება სათბურის აირების გაფრქვევა;

2) ეკონომიკური ზრდა არ იქნება დამოკიდებული რესურსების მოხმარებაზე;

3) არცერთი ქვეყნა და არცერთი ადამიანი არ დარჩება ამ ინიციატივის მიღმა;

მდგრადი განვითარების ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვასთან ერთად, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ იგი უმეტესწილად ორიენტირებულია მომავალზე და მსოფლიოს წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა დგას. აღნიშნული პრობლემები მოითხოვს სახელმწიფოების, საზოგადოებისა და სხვადასხვა ინსტიტუტის კოორდინირებულ და ეფექტიან თანამშრომლობას. მდგრადი განვითარების ისტორია იწერება დღეს და თითოეულ მხარეს შეუძლია, შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი მდგრადი მომავლის შენებაში.

მთის მდგრადი განვითარების ისტორია

"მდგრადი მთის განვითარების" გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარების ისტორია სათავეს იღებს სტოკჰოლმის 1973 წლის გარემოს კონფერენციიდან. მისი შემდგომი გაგრძელება იყო საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის კომისიისა და გაეროს უნივერსიტეტის (UNU) მთის პროექტები, რომელიც ამ უკანასკნელებმა დაიწყეს 1978 წელს. მთებზე მთელი ეს კვლევა და

ინტელექტუალური აქტივობა მომწიფდა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ დედამიწის სამიტის დროს, სადაც პირველად საყოველთაოდ შეთანხმებული მთავარი დოკუმენტი მიიღეს - „დღის წესრიგი 21“, - მე-13 თავით, რომელშიც კონცენტრირებულია მთის გარემოს გლობალური თემატური პრობლემები და ხედვები, რაც საფუძველი გახდა, რომ 2002 წელი მთების საერთაშორისო წლად გამოცხადებისა, ხოლო 11დეკემბერი მსოფლიო კალენდარზე მთის საერთაშორისო დღედ დამკვიდრებისა.

ზემო აღნიშნულმა განაპირობა, რომ 1980 წელს მთის საერთაშორისო საზოგადოება, ხოლო მის წიაღში 1981 წელს კვარტალური ჟურნალი "მთის კვლევა და განვითარება".სამუშაო გაფართოვდა შემდგომ კვლევით მცდელობებში, მათ შორის ბუნებრივი გარემოს პროგნოზირებული ძირითადი კატასტროფების სპეციფიკური შეფასებები, როგორიცაა მყინვარის ტბების პოტენციური აფეთქების სტატუსი (GLOFs), კლიმატის დათბობის ზემოქმედება და მთის თემების საარსებო ინკორპორაცია, რომელიც თავდაპირველად გარემოსდაცვითი ცოდნის შემეცნების ენთუზიაზმით იყო აღიარებული და დაკავებული.

ევროპის მთები და კლიმატის გლობალური ცვლილება

სხვა კონტინენტებთან შედარებით ზომიერი სიმაღლის მთების მიუხედავად, ევროპას ბევრი მთათა დიაპაზონი აქვს. ისინი გვხვდება ევროპის კონტინენტის თითქმის ყველა ნაწილში და ევროპის უმეტეს ქვეყნებში. კონტინენტის ყველაზე ჩრდილოეთი მთებია ისლანდიისა და

სკანდინავიის, ყველაზე სამხრეთი არის ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე,

ხმელთაშუა ზღვის მრავალ მთიან კუნძულზე ბალეარის კუნძულებიდან

კვიპროსი და თურქეთის უმეტეს ნაწილში. კონტინენტის დასავლეთ მხარეს არის მთები

პორტუგალიისა და ესპანეთის (იბერიის ნახევარკუნძულის ნახევარზე მეტი მთიანია) და

ბრიტანეთის კუნძულები. ურალი განსაზღვრავს კონტინენტის ყველაზე აღმოსავლეთ ნაწილს და მათ სამხრეთ-დასავლეთით არის კავკასიონი, რომელიც მოიცავს კონტინენტის უმაღლეს მწვერვალს (მთა იალბუზი 5633 მ).

მთების ყველაზე გრძელი ჯაჭვი გვხვდება სკანდინავიის ხერხემლის გასწვრივ, მეორე ყველაზე გრძელი არის ურალი, ხოლო სიგრძით მესამე არის კავკასია. ალბათ ყველაზე ცნობილი და რა თქმა უნდა ყველაზე ტურისტულად დატვირთული მთები არის ალპები, რომლთა ყველაზე მაღალ სიმაღლეს საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთით საზიარო საფრანგეთ- შვეიცარია - იტალის მასივზე 4807 მ-მდე აღწევს მწვერვალი მონბლანი. თუმცა ზემოთ ნახსენები მთათა სისიტემებისა ევროპაში არის ასევე სხვა მთის ჯაჭვები კერძოდ ტიპიურ დასავლეთ ევროპაში, როგორიცაა ბებერი პირენეები, აპენინები და მრავალი ევროპული მთები, როგორიცაა კარპატები, დინარული ბალკანეთის მთები.

აღსანიშნავია, რომ დღემდე მეცნიერულად შეთანხმებული მთის სტანდარტული განმარტება არ არსებობს მათ შორის ევროპის მასშტაბითაც, რაც წინაპირობაა მისი განმარტებით ნაწილში ეროვნული განსხვავებებისა

და ეროვნული განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება. გლობალური მთის მონაცემთა ბაზის ჩანაწერის გამოყენებით დედამიწაზე ყოველი კვადრატული კილომეტრის საშუალო სიმაღლე მთების განსაზღვრავის საფუძველია, რომელიც აღირიცხება ყოველ კვადრატულ კილომეტრზე და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს;

• > 2500 მ; ან

• 1500 მ-დან 2499 მ-მდე, თუ დახრილობა >2°; ან

• 1000 მ-დან 1499 მ-მდე, თუ დახრილობა >5° და ლოკალური სიმაღლის დიაპაზონი (რადიუსი 7

კმ) > 300 მ; ან

• 300 მ-დან 999 მ-მდე, თუ ადგილობრივი სიმაღლის დიაპაზონი (რადიუსი 7 კმ) > 300 მ.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, ევროპის მთები მოიცავს კონტინენტის 19%-ს (გარდა

რუსეთის ფედერაცია და კავკასიის სახელმწიფოების). პროპორციები განსხვავდება

მნიშვნელოვნად: მთებს უკავია ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ტერიტორიის 15% და

აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის 24%. მთები გადაჭიმულია არქტიკიდან ხმელთაშუა ზღვამდე და სუბტროპიკულ ადგილებშიც კი.

კავკასია და კლიმატი, რომელიც ასევე მერყეობს ოკეანურიდან კონტინენტურამდე, ფიზიკურად ევროპის მთების ბუნებრივი პირობების

მრავალფეროვანების ალტერნატული ქმნილებაა. კონკრეტული მთის ქედი ან მასივი არის მიკროკლიმატის დიაპაზონი ვარიაციებში, სიმაღლეში, ფერდობზე და ასპექტში. მიკროკლიმატის დიაპაზონი ერთ-ერთი ფაქტორია რაც იწვევს ეკოსისტემის დიდ მრავალფეროვნებას. ისინი ძალიან მრავალფეროვანია ევროპის მთებში, რომლებიც მოიცავს ზოგიერთ მდიდარ საზოგადოებრივ, მაღალ ინდუსტრიულ და/ან მთის ტურიზმზე დაფუძნებული მაღალ ეკონომიკის მქონე დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპულ ნაწილებს და

ასევე ღარიბი ევროპის რეგიონებს საარსებო მინიმუმზე დაფუძნებული ეკონომიკით,

განსაკუთრებით სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. თუმცა მთელ ევროპაში მთის

ლანდშაფტი ასახავს ადამიანთა ურთიერთქმედებას ბიოფიზიკურ სისტემებთან

საუკუნეების განმავლობაში, რომლის თვალსაჩინო მაგალითია სკანდინავიის ტყეები, გლუვი

ალპების მწვანე საძოვრები ან ბალკანეთის დიდი ნაწილის უნაყოფო საძოვრები. ამიტომ

კლიმატის მკვეთრი დღიური და სეზონური ცვალებადობა ყოველთვის მთავარი

ფაქტორია, რომელიც გასათვალისწინებელია სამთო მიწათმოქმედებისა და ეკონომიკური საქმიანობის ვარიანტების განხილვისას.

მთებში მცხოვრები ევროპის მოსახლეობის წილი რთულია შეფასება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ცალკეულ ქვეყნებსა და ევროკავშირს არ აქვთ თანმიმდევრული მათი მთების განსაზღვრის კრიტერიუმები; გამოიყენება როგორც სიმაღლე, ისე ფერდობის ციცაბო რელიეფი. მეორე ის, რომ მთების აღწერის საანგარიშო რაიონები, რომლებიც მოიცავს მთებს, ასევე მთები მთისწინებსაც მოიცავს მიმდებარე დაბლობებისაგან. მთის ხალხი ახლა უფრო დაბალ სიმაღლეზე ცხოვრობს, ვიდრე საუკუნის წინ და მოსახლეობა

მჭიდროდ დასახლებულ ხეობებში სიმჭიდროვე შეიძლება იყოს დაბლობების სიმჭიდროვის მსგავსი. მაგალითად, მაშინ როცა ალპების მოსახლეობა 7 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზარდა 1870 წლიდან 1990 წლამდე მთებში მცხოვრები პროპორცია 7,4%-დან 5,8%-მდე შემცირდა. 1990 წელს ალპური მოსახლეობის მხოლოდ 7% ცხოვრობდა 1000 მ სიმაღლეზე.

ზოგადად, მთიან რეგიონებში, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულნი არიან სოფლის მეურნეობაზე და მეტყევეობაზე, მოსახლეობა მცირდება და ბერდება, ძირითადად ემიგრაციის გამო. სადაც კარგად განვითარებული ტურისტული ეკონომიკა არსებობს, მოსახლეობა შეიძლება სტაბილიზდეს ან გაიზარდოს.

მთაში კარგი ხელმისაწვდომობა ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია. მდებარეობები დიდ ქალაქთან ახლოს

ცენტრები, ან განსაკუთრებით მიმზიდველი კლიმატით ან პეიზაჟებით, სულ უფრო იზიდავს

ახალი მაცხოვრებლებს, ან კეთილმოწყობის მიგრანტები, რომლებიც მოდიან მთის ცხოვრების შესაძლებლობებით სარგებლობისთვის და სპორტი (ხშირად კვირის განმავლობაში ურბანულ ცენტრებში გადაადგილება) ან პენსიაზე გასვლისას უბრუნდებათ მამა პაპური მთის ნოსტალგია. მოსახლეობის ცვლილებები მჭიდრო კავშირშია დასაქმების შესაძლებლობებსა და სტრუქტურების ცვლილებებთან. ევროპის მთებში, მაგრამ განსაკუთრებით ზოგადად ევროკავშირში, იყო ტენდენცია მრავალსექტორული და მრავალფუნქციური მუშაობის ტრადიციული ნიმუშები იცვლება დასაქმებაზე დამოკიდებულებით ერთ სექტორში, ხშირად მთების გარეთ. ▯ევრი ხალხი რომლებიც ჯერ კიდევ ამუშავებენ მიწას, ინახავენ ცხოველებს ან იყენებენ ტყის რესურსებს, ამას აკეთებენ მხოლოდ საღამოობით, შაბათ-კვირას და/ან დასვენების პერიოდში. ისინი ინარჩუნებენ კავშირებს მთებთან ისინი ძირითადად კულტურულები არიან და არა შემოსავლის მომტანი.

მთების ძირითადი ფასეულობები

მიუხედავად იმისა, რომ ევროპელების შედარებით მცირე ნაწილი ცხოვრობს მთებში, ისინი

სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კონტინენტის მოსახლეობისთვის მრავალი თვალსაზრისით და აღიარებულია ევროპის მთა, როგორც „ევროპის დაუფასებელი ეკოლოგიური ხერხემალი“. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია მთების როლი, როგორც წყლის კოშკები, ჰაერის მასებიდან წყლის ამოღება და შენახვა, თოვლის სახით, ან ტბებსა და წყალსაცავებში მისი დაგროვება. გაზაფხულზე და ზაფხულში წყალი მოდის მთის მდინარეები ავსებენ ადრინდელ მაღალ დინებას. მთები უზრუნველყოფენ წლიური ნაკადის 31%-ს და ზაფხულში როცა

წყალი განსაკუთრებით საჭიროა დაბლობი ზონის სოფლის მეურნეობისთვის უზრუნველყოფენ 50%-ზე მეტით. მშრალ ადგილებში ხმელთაშუა და ბალკანეთის ევროპისათვის მთის წყალს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც კონტინენტური, ისე რეგიონალური მასშტაბით, ევროპის მთების მეორე საკვანძო როლი არის, როგორც მრავალფეროვნების ცენტრები. მთები

მოიცავს კონტინენტის ბევრ ბიოლოგიური მრავალფეროვნების ცენტრს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნებულია როგორც ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა სახის დაცული ტერიტორიები.

ბიოლოგიური მრავალფეროვნება მოიცავს ევოლუციას და მიგრაციას გეოლოგიურ დროში, კონტრასტული პირობები სიმაღლეების ფართო დიაპაზონში და სხვადასხვა ასპექტზე და არსებობა მრავალი მიკროჰაბიტატის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ევროპის ბევრი მთა არქტიკის სამხრეთით შეიცავს სახეობებს, რომლებიც ყინულის ხანის რელიქვიებია - დარჩენილი მყინვარების უკან დახევისას - და მრავალი ჰაბიტატი და სახეობა, რომლებიც დაიკარგა საუკუნეების განმავლობაში ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდებარე დაბლობებზე. მაღალი ბიოლოგიური მრავალფეროვნების ერთ-ერთი საზომია, ის რომ ორი მესამედია ევროპის ფლორისა ძირითადად ან მთლიანად მთიან რაიონებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ სახეობების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული ბიოფიზიკური ფაქტორების გავლენაზე, ზოგიერთი მთის ჰაბიტატი და სახეობა არის შედეგი და უნდა შენარჩუნდეს ადამიანის საქმიანობისას: როგორიცააბუნებრივი ალპური მდელოები და საძოვრები.

მთის პეიზაჟები ფლორის, ფაუნის, რელიეფის და კლიმატური პირობების მდიდარი მრავალფეროვნების სახლია, მაგრამ ასევე სახეზეა მთაში ბუნებრივი საფრთხის რისკები. მთიან რეგიონებს ბევრი ყველაზე ძლიერი მიწისძვრა ახსოვს, რომელთა უნიკალური, ისტორიული ტოპოგრაფიაა ძირითადად აქტიური ტექტონიკისა და ვულკანური ამოფრქვევის შედეგი. მხოლოდ სამი ბოლო მიწისძვრა - ჩინეთის მთებში (2008), ჰაიტი (2010) და იაპონია (2011) - გამოცხადებულია, რომ ამ მიწისძვრებს დაახლოოებით 320 000- ზე მეტი სიცოცხლე სიცოცხლე შეეწირა. დაღუპულთა უმეტესობა მეწყერმა იმსხვერპლა, შედეგით კი დატოვა მიწის ჩაძირული მიწის ლოკაციები, ბუნებრივი კაშხლებისა და ბარიერების რღვევა და ხშირი ცუნამი. კლიმატის ცვლილება, სავარაუდოდ, წაახალისებს მთებში ბუნებრივი რისკების რაობას, როგორიცაა წყალდიდობა, მეწყერი ან გვალვა.

მთის ქედები ხშირად ქმნიან მკაფიო კლიმატურ ბუნებრივ ბარიერებს, რომლებიც ხელს უწყობეს კლიმატისა და ამინდის ფორმირების პროცესს და მტკნარი წყლის რესრურუსის ხელმისაწვდომობასა და შენახვას. თუმცა, მთებს შეუძლიათ, ასევე წვიმის მატების სტიმულირება, სადაც წლიური ნალექის რაოდენობა შეიძლება აღემატებოდეს 20 მ. მთების ტოპოგრაფია, რომელიც გადაჭიმულია ზღვის დონიდან თითქმის 9 კმ სიმაღლეზე, ხელს უწყობს წვიმის წყალის საგრძნობ მატებას თანმდევი ეროზიული პროცესების შესაბამისი მგრძნობელობით მატებას, ასევე მყინვარული წყალის მდინარეები, რომლებიც გადიან ძალიან განსხვავებულ რელიეფურ სადინარებს, ძირს უთხრის კალაპოტის ფერდობებს და საბოლოოდ იწვევს ნიადაგის ეროზიას და ნგრევას

მთის ფერდობისას მწვერვალებადე. შედეგად მეწყერს შეუძლია ათობით კილომეტრის გადაადგილება კლდისა და ნაშალი მიწისა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება და არ ემორჩილება რისკის მართვის ყველაზე მძლავრ სტრატეგიებსაც კი.

საშიშროების სხვადასხვა ფორმების მიხედვით მთები ასევე მასპინძლობს მსოფლიოს უდიდეს კაშხლებს - ტბებს, როგორც ბუნებრივ, ასევე ადამიანის მიერ შექმნილს, რომლებიც მომეტებული სიხშირისა და სიმძლავრის მიწისძვრების ეპიცენტრებში მოხვედის შემთხვევაში პოტენციური საფრთხის შემცველნი არიან მთისწინეთისა და ბარის ზონებისათვის. ციცაბო და ვიწრო ხეობათა მთის მდინარეები უხვნალექიანობისას კალაპოტისპირეთისათვის ხშირად აგრესიულები ხდება, რაც საშიში წყალდიდობის გამოუსწორებელი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს. მთის ფერდობთა ხანგრძლივი ეროზია განუწყვეტლივ ახალ ლანდშაფტურ პეიზაჟებს აყალიბებს ბარის ზონებში, ხოლო ასეთი პეიზაჟები კი ხშირად მაცდურობს მოსახლეობის ცდუნებეზე პეიზაჟების გამოყენება ხდება სასოფლო სამეურნეო თუ ინფრასტრუქტურული მშენებლობებისათვის, რაც სამომავლოდ გამოუსწორებელი შედეგის მომნტანია.

მთები ბუნებრივად აქტიური ლანდშაფტებია და ხშირად განიხილება, როგორც ძალიან ციცაბო ან საფრთხისკენ მიდრეკილი დასახლებისთვის. თუმცა, მოსახლეობის მთისადმი მზარდმა სურვილმა და მისმა დაუდევარმა წინდაუხედაობამ აღნიშული სახის ტერიტორიების ათვისებით ბუნებრივი რისკის საფრთხე შეუქმნა თავისთავს.

მთა, ადამიანი და კლიმატი

მთებში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მათ შორის დემოგრაფიული ცვლილებები გავლენას ახდენს თვით დაუცველობაზე და ფერდობთა ექსპოზიციაზე, მაშინ როცა კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს საფრთხის სიხშირეზე და სიდიდეზე, მთის სარტყლებში ტემპერატურის, ქარისა და ნალექის სავარაუდო ცვლილებები თანდართულად იმოქმედებს წყლის ციკლზე და, შესაბამისად, თოვლის, ყინულის და წყლის განაწილებაზე. დნობადი მყინვარები ციცაბო მოჩუქურთმებული ფსკერის პეიზაჟებს ავლენს, რომლებიც დიდი დნობის მყინვარული წყლის ქვემდებარეა და ნალექთა რაოდენობის მატებით, პოტენციური, პერიოდული მეწყერის, წყალდიდობის და ნამსხვრევი მასის ერთად მიედინება სადინარებში.

არის თუ არა კლიმატის ცვლილება მზარდი საფრთხეების შემცველი? ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში უკვე რამდენიმე ყველაზე თბილი და ნოტიო წელი იყო დაფიქსირებული. (2003-2010) ამ წლების ზაფხულში კლიმატის ინსტრუმენტული დაკვირვებით ევროპის ალპების მწვერვალებიდან ინტენსიურად დაიწყო კლდექვის გახშირებული ცვენა, ალპებში ფართო შეშფოთებას იწვევს მუდმივი ყინვის დეგრადაციის შესახებ კლდის ფერდობის

გამჭოლი ავარიის მიზეზები. არანორმალურმა მუსონურმა წვიმებმა გამოიწვია დამანგრეველი წყალდიდობები და ნამსხვრევები პაკისტანში, ინდოეთსა და ჩინეთში, ათასობით ადამიანი დაიღუპა და გაანადგურეს ორ მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

მთაში ბუნებრივი საფრთხეები, რისკები და კატასტროფები ხდება იქ, სადაც ადამიანის საქმიანობა კვეთს გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ, ბიოლოგიურ ან სხვა ბუნებრივ დაბალასებულ პროცესებს. საშიშროება შეიძლება გავიგოთ, როგორც მოცემული გვერდითი ზემოქმედების ალბათობა მოცემულ რეგიონსა და პერიოდში. ამის ნაცვლად, რისკი შეიძლება გავიგოთ, როგორც საშუალო მოსალოდნელი ზარალი კონკრეტულისგან საშიშროება, რომელიც იზომება ყოველწლიურად ან სხვაგვარად. რისკი ხშირად გამოითვლება როგორც მათემატიკური საფრთხის, დაუცველობის (ან დაზიანების პოტენციალის) პროდუქტი და ღირებულება რისკის ქვეშ მყოფი ელემენტები. კატასტროფები და რისკების ინტეგრირებული მართვა მოიცავს პაკეტებს სტრატეგიული ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს რისკის შემცირებას. რისკის შემცირების მიღწევა შესაძლებელია რისკების, დაუცველობისა და ექსპოზიციის შემცირებით (გამოვლენილი ელემენტების რაოდენობა საშიშროებამდე), ან მათი ნებისმიერი კომბინაციით. და ბოლოს, კატასტროფა ეხება უარყოფითს ბუნებრივი საფრთხეების შედეგებს, მაგ. ძირითადი სტრუქტურული დაზიანება ან სიცოცხლის დაკარგვა.

მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესებულნი არიან ბუნებრივი საფრთხის შერბილებისთვის გადაწყვეტილების მხარდაჭერით მთიან რელიეფში. კერძოდ, მკვლევარებმა პრიორიტეტად მიიჩნიეს მეწყერი, წყალთან და ნალექთან დაკავშირებული საფრთხეები კვლევისთვის. როგორც ჩანს სავარაუდოა, რომ კლიმატის ცვლილება ცვლის წყალზე გამოწვეული საფრთხეების სიდიდეს და სიხშირეს, როგორიცაა მუდმივი ყინვაგამძლე კლდე-კედლების არასტაბილურობა, ყინულის ზვავები, მყინვარის ჩავარდნა და კაშხლები. მიუხედავად ამისა, ტერმინი „კლიმატის ცვლილება მოსახლეობის “ მხოლოდ 10 პროცენტს აქვს გათვიცნობიერებული. მთის რეგიონებმა საფრთხეთხეებმა სახეობა-რაობის მიხედვით ჩინეთში, იტალიაში, ტაივანი, ირანი და ინდოეთი კვლევის შედეგების კუთხით ცენტრალური ადგილი დაიკავეს. ეს მიუთითებს უამრავ პრობლემაზე, რომელიც გამოწვეულია აქტიურ მოსახლეობაში მაღალი სიმჭიდროვით მთის ტერიტორიებზე, ასევე ცუდად დოკუმენტირებული რეგიონების გადახედვის საშიშროება ბუნებრივ საფრთხეებთან ურთიერთობისას.

მთიან რეგიონებში მიდგომები და ადაპტაციის სტრატეგიები გარკვეული ტენდენციებით შესამჩნევია სტიქიური კატასტროფების ისტორიული ჩანაწერის მიუხედავად. ზემოქმედების მრავალფეროვნება და შესაძლო არასაკმარისი ანგარიშგება გარკვეულწილად მთიან ტერიტორიებზე გეოფიზიკური

პროცესები, როგორიცაა მიწისძვრები და ვულკანური ამოფრქვევები (და მათი შედეგები) იყო პასუხისმგებელი ლომის წილზე ეკონომიკური ზარალით და ადამიანის სიცოცხლით დამთავრებული მთიან რაიონებში მეოცე საუკუნეში. თუმცა, ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეები - როგორიცაა ქარიშხალი, წყალდიდობა და გვალვები - დაზარალდა ადამიანების უდიდესი რაოდენობა, რაც ასახავს გლობალურ ტენდენციას თუ წარსული ჩანაწერი არის რაიმე ნიშანი, მაშინ კლიმატის ცვლილების გავლენა მთის რაიონებში სავარაუდოდ ყველაზე მეტად იგრძნობა დაზარალებული ხალხის მზარდი რაოდენობის თვალსაზრისით. ადაპტაციის სტრატეგიებმა უნდა გაითვალისწინოს ეს და თანაბარი ყურადღება დაეთმოს რისკის ციკლის თითოეულ კომპონენტს- კერძოდ, პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევის გზით, რეაგირება და აღდგენა მოცემულ სტიქიურ უბედურებაზე. პრევენციის მცდელობები არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ძვირადღირებულ საინჟინრო ღონისძიებებს. ამის ნაცვლად, დაუცველობა მთის პოპულაციებში შეიძლება შემცირდეს შესაძლებლობების ამაღლებისა და ხელშეწყობის გზით საზოგადოების გამძლეობით, და დაბოლოს, გადაუდებელი მომზადების თემატური სწავლება-წვრთნა გვჭირდება ბუნებრივი საფრთხის რისკების შერბილებისათვის.

